19
997








# დროშა

№7-8
1997





ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეხვედრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ და საეკლესიო მოღვაწეებთან



აშშ პრეზიდენტ ბილ კლინტონთან.



თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ თანსულ ჩილერთან.



ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ალი აქბარ ვილაიათთან.



გფრ კანცლერ ჰელმუტ კოლთან.



აშშ ყოფილ სახელმწიფო მდივანთან ჯორჯ შულცთან.



ვატიკანის აღმოსავლეთის ეკლესიების კონგრეგაციის კარდინალ აკიმ სილვესტრინისთან.



საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო სამინისტროს სახელმწიფო მდივან მარჟი სუდრისთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის ფრაგმენტები ონასისის პრემიის გადაცემის ცერემონიალზე

ვინ წარმოიდგენდა სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ, რომ საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის მიერ შექმნილი დიალოგის კულტურა, რომლის სათავეებშიც ელინები იდგნენ, ბოლოს მოუღებდა „ცივ ომს“, მსოფლიოს ორად გახლეჩას, კლასობრივ და შეურიგებელ იდეოლოგიათა დაპირისპირებას და ადამიანებს ბირთვული ომის კოშმარებისაგან იხსნიდა. ეს არის XX საუკუნის დასასრულის ნამდვილი სასწაული და ბედნიერი ვარ, რომ ამ ისტორიული პროცესის ერთ-ერთი ჯარისკაცი გავხდი.

ვიღებ რა დღევანდელობის ერთ-ერთ უმაღლეს ჯილდოს, მიმაჩნია, რომ იგი ეკუთვნის აგრეთვე ჩემს მეგობრებსაც, თანამოაზრეებსაც და ოპონენტებსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რომლებიც ამ სასწაულის ნამდვილი შემოქმედნი არიან...

...ახლა, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, კაცობრიობა უნდა დაეწაფოს დიალოგის კულტურას და ხელოვნებას, ვინაიდან იგი გვაძლევს შანსს, დავძლიოთ რეაქციული წარმოდგენები სახელმწიფოთა და ადამიანთა შორის ურთიერთობაზე, როგორც ბატონობისა და ქვემდებარობის, ძალადობისა და მორჩილების ურთიერთობაზე. ეს უნიკალური შანსია და მისი ხელიდან გაშვება არ გვეპატიება.

მასთან არის დაკავშირებული ჩვენი დიადი ქართველური ნატვრაც. ამ ოცნებას მე ოქროს საწმისის ნატვრას ვუწოდებ. არსებითად ხომ ოქროს საწმისის იდეა — ეს არის იდეა მოპოვებული და დაკარგული განძისა, იდეა კუთვნილებისა, თვალისჩინივით რომ უფრთხილდებოდი, მაგრამ თვალსა და ხელს შუა აგაცალეს, იდეა ბედისწერისა, ერთნაირად რომ ემუქრება მკარგველსაც და გამტაცებელსაც.

ეს მეტაფორაა სრულიად საქართველოსი, რომლის ისტორიაც არის თავგადასავალი ქვეყნისა, რომელსაც განუწყვეტლივ უქადიან მისი კუთვნილების წართმევას. მშვიდობა მის მიწა-წყალზე, თვით მიწა-წყალი, ენა, მამული, სარწმუნოება, სახელმწიფოებრიობა — ყოველივე ეს არის ჩვენი ოქროს საწმისი.

ამიტომ ჩვენი ოცნება, ჩვენი მთავარი და ერთად-ერთი ნატვრაა — დავიბრუნოთ დაკარგული და წართმეული. ნუ გვინდა ნართაული და ეზოპესეული მინიშნებანი, ჩვენ გვინდა დავიბრუნოთ და დავიბრუნებთ კიდეც! — ისტორიული კოლხიდის ნაწილს — აფხაზეთს.

რაც შეეხება საკუთრივ ოქროს საწმისის მითს, ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს ბერძნებთან. რაც უნდა წერონ ანტიკურმა ავტორებმა საწმისისა და მისი გამტაცებლების ხვედრზე, თქვენ, ბერძნებმა, ჩინებულად განკარგეთ ჩვენი დაკარგული: თქვენ დაგვიბრუნეთ იგი ჩვენ, დაუბრუნეთ მსოფლიოს ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, არისტოფანეს ქმნილებებით...

ვინაიდან, მე აქ კოლხეთის ხალხს წარმოვადგენ, ჩავთვალოთ, რომ ჩემი სახით სწორედ ის იღებს ონასისის პრემიას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აიეტისა და მედეას შთამომავალნი იაზონის მემკვიდრეთაგან იღებენ ოქროს საწმისის უძვირფასეს ნაწილს.

მადლობა თქვენდა ყოველივე ამისათვის.



ჩემთვის ეს საერთაშორისო პრესტიჟული ჯილდო ძალიან ძვირფასია. მარტო ის მოღვაწეები რომ ჩამოვთვალოთ, რომლებმაც ეს ჯილდო დაიმსახურეს, საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება და მათ გვერდით დგომა საამაყოა. იგი არა მარტო წარსულ დამსახურებათა შეფასებაა, არამედ იმ პროცესების აღიარებაც არის, ჩემი წარმოდგენით, და მხარდაჭერა, ჩემს ქვეყანაში რომ მიმდინარეობს. მხედველობაში მაქვს დემოკრატიის დამაჯერებელი მიღწევები, ეკონომიკურ რეფორმათა მასშტაბურობა და სიღრმე, რეგიონის უშიშროებისათვის ჩვენს მიერ არჩეული გზის სისწორის დადასტურება. დიდ მადლობას მოვახსენებ საერთაშორისო ჟიურის გამოჩენილ მოღვაწეებს – წევრებს, საბერძნეთის მთავრობას საქართველოს მხარდაჭერისათვის. როცა საბერძნეთში ვიქნები, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტს ვიტყვი.

ედუარდ შევარდნაძე

---

ჟურნალ "დროშის" სარედაქციო კოლეგია და თანამშრომლები ულოცავენ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ამ დიდ ჯილდოს და იმედოვნებენ, რომ თავისი საპრემიო თანხიდან, ცოტას ჩვენი ჟურნალისათვის გამოიმეტებს.

რედაქციის სახელით ჯანსუღ ჩარკვიანი

დროშა
№7-8 1997 (692)
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი.

სარედაქციო კოლეგია:
ჯანსუღ ჩარკვიანი -- თავმჯდომარე,
გულნარა ბახტაძე -- პასუხისმგებელი რედაქტორი,
ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი,
ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე,
დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),
ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იმედის სხივი

***

წელს აღმოსავლეთ საქართველოში სულ ასაღებია 200,9 ათასი ჰექტარი მარცვლეული, საიდანაც ელოდებიან დაახლოებით 379 ათას ტონა ხორბალსა და ქერს.

***

ამიერიდან საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ქვეყანას სხვადასხვა რეგიონებთან აკავშირებს, აღინიშნება ევროპის ყველა ოფიციალურ რუკაზე. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სატრანსპორტო კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ ჰელსინკში მუშაობდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლები.

საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ტრანსპორტის მინისტრი მერაბ ადეიშვილი.

***

სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა შვეიცარული კომპანია "ნოვარტისის" გენერალურ მენეჯერს რენე დაპეუკლეს და ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელს ჟერარდ ნემელს. "ნოვარტისი" მსოფლიოში ყველაზე დიდი კომპანიაა, რომელიც სოფლის მეურნეობისათვის მინერალურ სასუქებს აწარმოებს. შვეიცარული კომპანია დაინტერესებულია საქართველოს აგროსექციასთან თანამშრომლობით. მათი განცხადებით ინტერესის საფუძველს იძლევა ქართული პროდუქციის სიიაფე და რაც მთავარია, მაღალი ხარისხი.

***

ამას წინათ გაიმართა საქართველოსა და კვიპროსს შორის საჰაერო მიმოსვლის ხელშეკრულების ცერემონიალი. ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობის სახელით ტრანსპორტის მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა და კვიპროსის კომუნიკაციების სამინისტროს მდივანმა ვასოს პირგორმა მოაწერეს ხელი. ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლა სახელმწიფოებრივ დონეზე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების დაცვით განხორციელდება.

***

ბათუმის ნავსადგურში ორ დღეს იდგა საიალქნო გემი, რომელზეც შვეიცარიის გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა. ჟურნალისტებმა ბათუმიდან თავიანთ სამშობლოში პირდაპირ ეთერში გადასცეს სატელევიზიო პროგრამა, რომელიც მდიდარ ინფორმაციას იძლეოდა საქართველოს ისტორიის, ბუნების, აქ მცხოვრებთა ხასიათისა და დღევანდელობის შესახებ.

***

სინგაპურში საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დელეგაციამ რუსეთის დელეგაციასთან ფოთსა და სოჭს შორის წყალქვეშა ოპტიკურბოჭკოვანი კავშირის დამყარებაზე გააფორმა ხელშეკრულება.

ხაზების გაყვანა კომერციულ საფუძველზე განხორციელდება.

***

საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მერაბ ადეიშვილის ინფორმაციით ევრო-აზიის სატრანსპორტო სისტემაში ბათუმის ნავსადგურის ინტეგრაციის საკითხი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიურად განიხილება. გაისიდან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სერიოზულ ინვესტიციებსა და ბათუმის სარკინიგზო ბორნის მშენებლობას უნდა ველოდოთ.

მინისტრის განცხადებითვე ფოთის ნავსადგურში ფოთის ტერმინალის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდება - ეს ტერმინალი ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებისათვის ორ მილიონ ტონა ხორბალს გაატარებს. პროდუქციის საერთო ღირებულება 17 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

***

მიღწეული შედეგების თანახმად მიმდინარე წლის ოქტომბრიდან საერთაშორისო რადიოსადგური "საფრანგეთი" მაუწყებლობას დაიწყებს საქართველოს ტერიტორიაზე. მაუწყებლობა დაიწყება ფრანგულ ენაზე, რაც პროექტის ორგანიზატორების - საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს, საფრანგეთის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და რადიოკორპორაციის თანამშრომელთა აზრით, არსებით დახმარებას გაუწევს მსმენელებს ამ ენის შესწავლაში. გადაცემათა პროგრამაში საფრანგეთის ახალი ამბები, ერთობლივი გადაცემები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ პრობლემებზე. თბილისის შემდეგ ამგვარი გადაცემები მოეწყობა საფრანგეთიდან ერევნისა და ბაქოს რადიოსადგურებისთვისაც.

***

ბათუმის საზღვაო სამშენებლო საწარმო "შელფი" და გაერთიანება "საქართველოს შავი ზღვის ნაპირების დაცვა" ერთობლივად განახორციელებენ ინტენსიურ აღდგენით სამუშაოებს.

ბათუმში მიმდინარეობს გოგებაშვილის ქუჩის განახლება. დაგეგმილია კატარღების, კაფე-ბარების აშენება.

***

ბოლო თორმეტი წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ ჟინვალჰესის წყალსაცავი შეივსო საპროექტო ნიშნულამდე - 810 მეტრამდე, იტყობინება "საქენერგოს" პრესსამსახური. სპეციალისტების პროგნოზების თანახმად ეს საშუალებას მოგვცემს, რომ მომავალ ზამთარში გამოვიმუშავოთ 120 მილიონი კილოვატსაათი, რაც მესამედით აღემატება ადრინდელ მაჩვენებლებს.

ამჟამად ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურზე მწყობრშია ოთხივე აგრეგატი, გარდა სარეზერვოსი. მათი საერთო სიმძლავრე 80 მეგავატია.

***

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტემპი ხესტაფონის რაიონში სტაბილურობით ხასიათდება. მიმდინარე ექვს თვეში მოზიდული თანხების პროცენტმა 100,2 შეადგინა. გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკური ბიუჯეტი. შარშანდელთან შედარებით ზრდის ტემპმა 196 პროცენტს მიაღწია.

რუსთაველი მეცემენტეები ენგურჰესზე კიდევ 2000

ტონა ცემენტს გააგზავნიან. სადგურის სარემონტო სამუშაოების პირველ ეტაპზე რუსთაველებმა სპეციალური მარკის წყალგამძლე ცემენტის დიდი პარტია მიაწოდეს მშენებლებს. რუსთაველები ასევე ამარაგებენ ჟინვალჰესსაც.

ცემენტის ეს ქარხანა ერთადერთია ამიერკავკასიაში, რომელიც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლო—ბისათვის პორტლანდცემენტს ამზადებს.

***

სამცხე-ჯავახეთის მხარეში გლეხურ-ფერმერულ მეურნეობების დასახმარებლად მცირე გაბარიტიანი ჩინური ტრაქტორების შეღავათიან ფასებში შემოტანა-რეალიზაცია დაიწყო. უკვე გაყიდულია ოცზე მეტი ტრაქტორი. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთში წელს პირველად ამოქმედდა საერთაშორისო ამერიკული ორგანიზაცია “ქეა”-ს პროექტი, რომელიც ახალციხის, დმანისის და ასპინძის რაიონებში ასზე მეტ ფერმერს დაეხმარება.

***

ჯვარ-მესტიის ავტომაგისტრალის ერჩო-ეწერის მონაკვეთში ე.წ. შავ ღელეზე,ადგილობრივი მკვიდრის არეთო კვიციანის თაოსნობით რკინა-ბეტონის ხიდი გაიდება.

***

ზუგდიდის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების დირექტორის ნუგზარ მოლაშხიას განცხადებით, მსოფლიო ბანკის მუნიციპალური მომსახურების დამოუკიდებელი სააგენტოს მენეჯერმა კახა არდიამ გაერთიანებას კომუნალური მომსახურების სპეციალური მანქანა უსასყიდლოდ გადასცა, რომლის ღირებულება 35 200 აშშ დოლარია.

***

დმანისის რაიონის ქართულ მოსახლეობას სალოცავი ადგილი არ გააჩნია. ვიცე-გუბერნატორის გოჩა ლორიას ინფორმაციით, ძეგლთა დაცვის სამმართველოს პროექტით ძველი ბაზილიკის ნაფუძვარზე ეკლესიის მშენებლობა დაიწყო.

სამშენებლო მასალების შესყიდვა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და შემოწირულობებით მოხდება. როგორც ვარაუდობენ, ეკლესიის გახსნა ოქტომბრის თვის მესამე კვირას უნდა მოესწროს. ეს თარიღი კი დმანისის რაიონში საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ვიზიტის ერთი წლის თავს უკავშირდება.

***

ფოთის მერის ვანო ზოდელავას განცხადებით ქალაქში აღდგენილია ტროლეიბუსების ხაზები და მოსახლეობას უკვე სამი ტროლეიბუსი ემსახურება უფასოდ. მომსახურების ხარჯები მერიამ ქალაქის ბიუჯეტიდან გაიღო. მალე გაიყვანენ დამატებით ხაზებს ქალაქის ერთერთი უბნის - ნაბადას მიმართულებით.

ფოთელები თავიანთი მერის მადლიერნი არიან.

***

ბაქოს საერთაშორისო ტენდერში, რომელიც აზერბაიჯანის მთავრობამ მოაწყო, გაიმარჯვა საქართველომ დეპარტამენტის სახით და მიიღო 100 ათასი ტონა მაზუთის შესყიდვის უფლება. ეს მაზუთი, უწინარეს



ყოვლისა, გათვალისწინებულია თბილსადგურების მუშაობისათვის. ტენდერში მონაწილეობდენ მსოფლიოში ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა "მევრინი", "ტოტალი", "ელფი". სულ 25 კომპანია. დეპარტამენტს ამ პროექტის განხორციელებაში ეხმარება მსოფლიოს ბანკი და "ჰანკა ენერჯი".

***

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში სტრუქტურული გარდაქმნების პირველი ეტაპის დასასრულებლად და სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად გამოიყო 60 მილიონი აშშ დოლარი გრძელვადიანი კრედიტი. ამის თაობაზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული ვაშინგტონში.

აღნიშნული ფაქტი ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩევლის თემურ ბასილიას განცხადებით ხელს შეუწყობს ლიბერალური რეფორმების პირველი ეტაპის წარმატებით დასრულებას ჩვენს ქვეყანაში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ოფიცერთა დინასტიის ღირსეული შთამომავალი

გიორგი შერვაშიძეს პირველად მის სამუშაო კაბინეტში შევხვდი.... მისმა გვარმა ჩემში უცნაური ასოციაცია გამოიწვია — თვალწინ დამიდგა საქართველოდან საფრანგეთს გადახვეწილი ხანდაზმული და მაინც მშვენიერი მანდილოსანი მერი შერვაშიძე. რამდენიმე წლის წინ იგი საქართველოს ტელევიზიით გვიჩვენეს. დღეს ეს ქალბატონი აღარაა ცოცხალი, არც ისაა დანამდვილებით ცნობილი, მართლაც მას უმღერა თუ არა დიდმა გალაკტიონმა, მაგრამ თვით ეს გვარიც ჩემთვის რაღაცის მიმანიშნებელი იყო... და, ეტყობა ინტუიციამ არც მიმტყუნა. ჩემს შესახვედრად წამოიმართა ახოვანი, ლამაზი ჭაბუკი, აი, სწორედ ისეთი აღნაგობისა, ძველ ფოტოებზე რომ მინახავს სამხედრო ფორმაში გამოწკეპილი ქართველი ვაჟკაცები. მას თბილი ღიმილი, მოციმციმე, ოდნავ ეშმაკური თვალები, რაინდული მოძრაობა და გალანტურობა შევნიშნე და, პირველი, რაც გავიფიქრე იყო: მართლაც შერვაშიძეა, როგორ ამშვენებს სამხედრო ფორმა...

— თქვენ დღეს მოქმედ გენერალთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ხართ. როგორ მიხვედით ამ მაღალ წოდებამდე?

— არ ვიცი, შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ რაც თავი მახსოვს, მამაჩემი ფორმაში დადიოდა — ჯერ სამხედრო იყო, შემდეგ შინაგან საქმეთა ორგანოებში მსახურობდა. ბავშვობიდან მინდოდა, სამხედრო გამოვსულიყავი, — თქვა გენერალმა.

აბა, ის რა ჯარისკაცია, ვინც გენერლობაზე არ ოცნებობს, — გავიფიქრე გულში. კაცს უოცნებია და აღსრულებია კიდევაც ოცნება.

სინამდვილეში კი ყველაფერი უფრო პროზაული ყოფილა. გიორგი ზუგდიდში დაბადებულა 1955 წლის 10 თებერვალს, სწავლა გალის საშუალო სკოლაში დაუწყია, შემდეგ მამა, შინაგანი ჯარების მაიორი, თბილისში გადმოუყვანიათ და ყმაწვილს თბილისის 30-ე საშუალო სკოლაში გაუგრძელებია სწავლა. 1972 წელს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაუბარებია მისაღები გამოცდები და საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარა. ჯარისადმი ლტოლვა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მეორე კურსიდან ჯარში დაუპირებია წასვლა, მაგრამ მამამისს არ მიუცია ამის ნება.

— თუ ჯარში ასე გსურს სამსახური, — უთქვამს მამას, — გადადი „ტაუში“ (ასე რუსული აბრევიატურით ეძახდნენ თბილისის საარტილერიო სასწავლებელს, რომელიც მოგვიანებით ეროვნულ სამხედრო აკადემიად გადაკეთდა). გიორგიმ იქ გადაიტანა საბუთები, და, 1978 წელს მიიღო ინჟინერ-არტილერისტის წოდება.

საბჭოთა ჯარის ახალგაზრდა ოფიცერი გერმანიაში გაგზავნეს სამუშაოდ. ჯერ ლეიფციგში, შემდეგ კი თავის სპეციალობით პატარა ქალაქ ვურცენში მსახურობდა, სადაც სარაკეტო ჯარები იყო დისლოცირებული. შემდეგ კი იყო სხვა ქალაქებიც — ორდრუფი, გოტა და სხვა. აქვე, გერმანიაში, მას პირველი ქალიშვილი შეეძინა და სამსახურის გარდა დიდი მოვალეობაც გაუჩნდა ცხოვრებაში (დღეს იგი სამი შვილის მამაა, ჰყავს ერთი ქალიშვილი სოფიკო, ორი ვაჟიშვილი მიშიკო და სერგო, რომელიც მამასავით სამხედრო სამსახურზე ოცნებობს).

— თქვენ თუ გინდათ, რომ თქვენი შვილიც სამხედრო იყოს?

— დიახ, — პასუხობს გიორგი, ჩვენს ოჯახში თითქმის ყველა მამაკაცი საკადრო ოფიცერი იყო (ბაბუაც, პაპაც სამხედროები ყოფილან). მინდა ჩემმა შვილმაც ჩვენი გზა გააგრძელოს...

გერმანიიდან დაბრუნებული სამხედრო სპეციალისტი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მე-3 განყოფილების უფროსად დაუნიშნავთ, 29 წლის ასაკში უკვე თეთრიწყაროს სამხედრო კომისარი გამხდარა. 1989 წელს გიორგი მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხულა და მუშაობასთან ერთად წარმატებით დაუმთავრებია იგი. შემდეგ მცხეთის სამხედრო კომისრად უმუშავია, საიდანაც ამიერკავკასიის ჯარების კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში გადაუყვანიათ და პარალელურად მეტად პასუხსაგები საქმე იტვირთა — „ტაუს“ ბაზაზე ქართული ჯარის ოფიცერთა და ზემდეგთა მომზადება. ამ დროისათვის საქართველოში წყალი (ვინ იცის ისტორიაში მერამდენედ?!)ამღვრეულა და რუსის ჯარსაც, ისევე, როგორც მთელს საქართველოს, ციებ-ცხელება შეყრია.

გიორგის არჩევანი გაუკეთებია — დაუტოვებია რუსის ჯარი და გენერალ ფირცხალაიშვილის განკარგულებით საქართველოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო რუსეთის არმიის სარდლობასთან.

— ერთი-ორჯერ ჩავედი მოსკოვში, — იხსენებს გენერალი. გადასაწყვეტი ბევრი რამ გახლდათ. მაგრამ დავრწმუნდი, რომ ჩემი მისია წყლის ნაყვა იყო და თბილისში სწორედ მაშინ დავბრუნდი, ომი და ქაოსი რომ დაიწყო. ვიყავი პრეზიდენტის სამხედრო მრჩევლის — ვლადიმერ ჩიქოვანის სამსახურში, აფხაზეთის ომის დროს ჩავდიოდი წინა ხაზზე, ვამუშავებდი ოპერატიულ რუქებს...

1994 წლიდან გიორგი შერვაშიძე შინაგანი ჯარების საჯარისო სამსახურის უფროსია, ერთი წელი ქუთაისში შინაგანი ჯარების ბრიგადას მეთაურობს. შემდეგ ისევ თბილისში შინაგანი ჯარების შტაბის უფროსად ინიშნება და სარდლის მოვალეობას ასრულებს. 1996 წლის 25 მაისს ყოფილი რუსის ჯარის პოდპოლკოვნიკი, 42 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შერვაშიძე ქართველი გენერალი ხდება...

— ჩემში, როგორც დილეტანტში (საქართველოში გარკვეული მოვლენების შემდეგ)შინაგანი ჯარები ცუდ მოგონებებს იწვევს — მორიდებით ვეუბნები გიორგის.



— რას ბრძანებთ, — სწორედ შინაგანი ჯარების მისიაა თქვენი და სახელმწიფოს დაცვა. ჩვენ ვეხმარებით შინაგან საქმეთა სამინისტროს წესრიგის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფაში. საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში მოვალე ვართ, ვიბრძოლოთ ორგანიზებული დანაშაულის, ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ, ვიცავთ სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებს, უზრუნველვყოფთ ფასეულობათა გადაზიდვის, სასჯელთა აღმასრულებელი ორგანოების უსაფრთხოებას.

ჩვენს სამსახურში მოხვედრა არ არის იოლი. ვმუშაობთ სამხედრო კომისარიატებთან ერთად, ვარჩევთ ფიზიკურად კარგად განვითარებულ, ჯანიან ბიჭებს, რომლებიც არ არიან ნამყოფი სამართალში, არ არიან შემჩნეული რაიმე ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში. ორი წლის სამსახურის შემდეგ იმ პირებს, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, გამოიჩენენ თავს, და რაც მთავარია, აქვთ სურვილი იმსახურონ ჯარში, რეკომენდაცია გაეწევათ პოლიციისა და სამხედრო აკადემიებში შესასვლელად. რომ გაგიქარწყლოთ თქვენი მცდარი შეხედულება ჩვენი ჯარების მიმართ, — განაგრძობს გენერალი (მის ხმაში ოდნავ ნაწყენ ინტონაციას ვამჩნევ), — გიამბობთ შემდეგს: ჩვენი ბიჭები თუ სახელმწიფოსათვის საჭირო არის, მონაწილეობენ სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციებში. ავადსახსენებელ ახლო წარსულში ისინი იცავდნენ ქუთაისს, მესტიას, სამეგრელოს. ჯვარში და წალენჯიხაში გატარებული ოპერაციის შედეგად ავიყვანეთ თოთხმეტკაციანი ბანდიტური ჯგუფი. წალენჯიხიდან, შეიძლება ითქვას, თვით თბილისამდე მიტაცებული იყო ელექტროგადამცემი ხაზები, მათ აღდგენაზე მუშაობდნენ ბრიგადები, რომელთა უსაფრთხოებას ჩვენი ბიჭები იცავდნენ. პირველად ჯვარში და წალენჯიხაში რომ შევედით, მოსახლეობა ისე იყო დაშინებული, ლამის აგვიჯანყდა — არ უნდოდათ ჩვენი შესვლა. სამი თვე იდგა იქ ჩვენი ჯგუფები და საქმე იმით დამთავრდა, უკან აღარ გვიშვებდნენ.

— დარჩით, უთქვენოდ რა გვეშველებაო. ჩვენი თოთხმეტკაციანი ჯგუფი ახლაც დგას იქ და ადგილობრივ პოლიციას ეხმარება. თუმცა არ მინდა იფიქროთ, რომ ჩვენც და ჩვენი ჯარებიც ანგელოზები ვიყოთ. ჯარი დიდი ორგანიზმია, იგი თვით სახელმწიფოს ანარეკლია, ისეთივეა, როგორც თვით სახელმწიფო. არ შეიძლება სახელმწიფოში არეულობა სუფევდეს და ჯარში ყველაფერი რიგზე იყოს. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენა ცხოვრებამ.

— რუსის ჯარში „დედოვშინას“ რომ ეძახდნენ, ის თუა ჩვენში?!

— რომ გითხრათ, არ არის-თქო, ტყუილი გამომივა. არის, მაგრამ რა თქმა უნდა არა იმ მასშტაბებით, წინათ რომ იყო. ჩვენ მას სასტიკად ვებრძვით... თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი სხვა გასაჭირიც გვადგია. დაუდევრობის, ყურადღების მოდუნების შედეგად დამნაშავეს შესაძლებლობა მიეცა გაქცეულიყო უზენაესი სასამართლოს შენობიდან, შემზარავი ფაქტი მოხდა საგარეჯოს რაიონის სპეცკომენდატურაში. ამ და სხვა უმსგავსო ფაქტების ირგვლივ ჩვენ არამც თუ მკაცრი ზომები მივიღეთ, არამედ ისეთი ღონისძიებები გავატარეთ, რომლებმაც უნდა გამორიცხოს შემდგომში ასეთი შემთხვევები. დღეს ჩვენს სისტემაში მრავალი კეთილსინდისიერი, საქმის ღრმა მცოდნე კადრის ოფიცერი მუშაობს. ახალგაზრდებს გვერდში უდგანან უფროსი თაობის შესანიშნავი სამხედრო სპეციალისტები — პოლკოვნიკები დიმიტრი მეფარიშვილი, ჯემალ ქუთათელაძე, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს, იბრძოდა აფრიკაში, ბრიგადის მეთაური გელა ქუშაშვილი, რომელმაც მოსკოვის ფრუნზეს სახელობის აკადემია დაამთავრა და ბევრი, ბევრი სხვა. წელს საქართველოს სამხედრო აკადემიაში პირველი გამოშვება იყო. ჩვენთან სამსახურში რვა უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე ლეიტენანტი მოვიდა.

— ხალხში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ ჩვენი ჯარი მშიერია, თქვენ რას იტყვით ამაზე?

— ეს ნამდვილად არ შეეფერება დღევანდელ რეალობას. ორი-სამი წლის წინათ, რა თქმა უნდა, ბევრად ცუდი მდგომარეობა იყო. შედარებისათვის გეტყვით, რომ რუსეთის ჯარისკაცის ერთი დღით შენახვა ჯდება რუბლიდან ლარზე გადმოყვანით 80 თეთრი, ჩვენი ჯარისკაცებისა კი 1 ლარი და 60 თეთრია. ეს თანხა სავსებით საკმარისია, მაგრამ, საუბედუროდ, არის ფაქტები, როცა ჯარისკაცამდე არ მიდის ამ თანხის მთლიანი რაოდენობა. ამას წინათ სამხედრო საბჭოზე გვქონდა მსჯელობა, შევქმენით ჯარისკაცთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის საბჭო, შევიმუშავეთ დებულება, რომლის თანახმად ყველა სამხედრო ნაწილში იქმნება ანალოგიური ჯგუფები. მათში, ძირითადად, ჯარისკაცები იქნებიან გაერთიანებული. მათ უშუალო კონტროლი უნდა გაუწიონ ამ მტკივნეულ საკითხს. და პირდაპირ გეტყვით, ვაი, იმას, ვინც მხილებული იქნება ჯარისკაცის ულუფის მითვისებაში!

— ჯარი სახელმწიფოს სიმტკიცის საწინდარია, — მტკიცე ხმით თქვა სარდალმა, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ქვეყნის საკადრისი ჯარი შევქმნათ...

სიამოვნების გრძნობა დამეუფლა იმის გამო, რომ ქართველ ხალხს ასეთი ღრმა, სანდო, თავის საქმის უზადო მცოდნე ახალგაზრდები ჰყავს.

ლამარა იასონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარდაბნის პირველი "აბორიგენი" თავკაცი

დღეს გარდაბანში და მის შემოგარენში ვერ ნახავთ კაცს, განურჩევლად ეროვნებისა, რომ როზა და გივი ჯაფარიძეების ოჯახს არ იცნობდეს. ორმოცდაათი წლის წინ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდე, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი განაწილე-ბით ჩამოვიდა გარდაბანში და ორი-სამი წლის ნაცვლად სამუდამოდ დაუკავშირეს ბედ-იღბალი ამ მრავალფეროვან და მადლიან მხარეს. წასასვლელიც ადარსად ჰქონდათ, როზას მამა მიხეილ ჯინჭველეიშვილი, რომელთანაც ახალ შეუღლებულები ცხოვრობდნენ, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი და მეცნიერი მუშაკი ყოფილა და 1937 წელს დაუხვრეტიათ, ბინაც ჩამოურთმე-ვიათ და, ოჯახი, შეიძლება ითქვას, ქუჩაში დარჩენილა...

თითქმის ნახევარი საუკუნე მეუღლეებმა სოფლის მეურნეობის სამსახურში გაატარეს. მუშაობდნენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის "თავთავის" გარდაბნის ფილიალში. ბატონი გივი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატიც გახდა, ქალბატონი როზა ინსტიტუტის საცდელ სადგურში მუშაობდა და მეუღლეების სამეცნიერო თუ პრაქტიკულმა მუშაობამ ბევრად განაპირობა გარდაბნის რაიონის სოფლის მეურნეობის წარმატებები. ჯაფარიძეებმა მტკიცე, მოსიყვარულე და, რაც მთავარია, მთელ რაიონში თავისი სისპეტაკით გამორჩეული ოჯახი შექმნეს, სამშობლოს სამი სასახელო ვაჟკაცი აღუზარდეს. იყო დიდი სიხარულიც და დიდი ტკივილიც - ერთი ვაჟი ოჯახმა უდროოდ დაკარგა... და მაინც, ამ საშინელმა უბედურებამაც ვერ გატეხა ცოლ-ქმარი. ძველებურად ილვწოდნენ, ისე, რომ შემხიდებელიც არავინ ჰყავდათ, თანაც "ტროცკისტების" ჩამომავალთ წინ ბევრი რამ ეღობებოდათ. საკუთარი შრომით აიშენეს სახლი, ასწავლეს შვილებს - სოსოს და ლევანს, მათ წარმატებით დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ერთი სიტყვით, თავიანთი შრომისმოყვარეობა, მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებები მშობლებმა შვილებს შეუსისხლხორცეს. შვილებიც ღირსეულად მიჰყვნენ მშობლების კვალს. ამიტომ არავის გაჰკვირვებია რაიონში, როცა სოსო გარდაბნის მერად დანიშნეს, ცოტა ხნის შემდეგ კი ლევანი გარდაბნის გამგებელი გახდა. უფრო მეტიც, ლევანის გამგებლად დანიშვნა მთელმა რაიონმა დიდი სიხარულით აღიქვა - ის ხომ პირველი "აბორიგენია". საბჭოურ წლებში და შემდეგაც გარდაბანს სათავეში ყოველთვის თბილისიდან ან საქართველოს სხვა კუთხიდან ჩამოსული თავკაცი ჰყავდა. თუმცა ბევრი მათგანი ნამდვილად კარგი ხელმძღვანელიც იყო, მაგრამ ვინ, თუ არა აქ შობილმა და აღზრდილმა კაცმა, რომელმაც აქვე გაიარა ცხოვრების და საქმიანობის დიდი სკოლა,უკეთ იცის თავისი კუთხის პრობლემები. ამიტომაც იყო, რომ ჩვენთან საუბრისას გამგებელი არაერთგზის უბრუნდებოდა სასმელი და სარწყავი წყლის საკითხს, რომელიც ყოველთვის აქტუალური იყო და რჩება გარდაბნის რაიონისათვის. მან დიდი სიხარულით



გვაუწყა, რომ სოფლებს ახალ სამგორსა და ლემშვენიერას ჩატარებული სამუშაოების შედეგად მთლიანად მოეხსნათ წყლის პრობლემა. ახლა ცდილობენ, შეღავათიან ფასებში საქნავთობ-პროდუქტების დეპარტამენტისაგან შეიძინონ მილები და ნაწილობრივ გამგეობის, ნაწილობრივ კი მოსახლეობის ხარჯზე - მთლიანად მოგვარდეს რაიონის სარწყავი წყლით მომარაგების საქმე. თხუთმეტი წელია არ გაწმენდილა არხი და ეს გამგებლის ძალისხმევით მოხერხდა. ახლა კი წამში 1,5 კუბურ მეტრ სარწყავ წყალს ატარებს. მწვავედ დგას გამწოვი ნაგებობის შეკეთების საკითხი და პირველ რიგში ამის მოგვარებასაც ცდილობს გამგებელი.

ამ ეტაპზე მთავარ ამოცანად იგი რაიონის საწარმოების და საზოგადოებრივი მეურნეობების ამოქმედებას მიიჩნევს. უნდა ითქვას, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის საბიუჯეტო გეგმა რაიონმა 120%-ით შეასრულა, წარმატებით შეასრულა თვის გეგმაც, მაგრამ გამგებელი მიღწეულით მაინც არაა კმაყოფილი, მან ხომ კარგად იცის თავისი რაიონის შესაძლებლობები...

რაიონში 25 სააქციო საზოგადოებაა ჩამოყალიბებული, შექმნილია მეწარმეთა ფირმა, გამგებელი კმაყოფილებით გვამცნობს, რომ სულ მალე გარდაბანი თბილისის მოსახლეობას ყოველთვიურად სამასი ტონა ბროილერის ქათმის ხორცს მიაწვდის, შემდეგ კი დაგეგმილია თვეში ექვსასი ტონა ხორცის მიწოდება. ეს მოხერხდა გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის იჯარით გადაცემისა და ისრაელის მხარესთან ერთობლივი ფირმის დაარსების საშუალებით. ანალოგიური მოლაპარაკება მიმდინარეობს რუსეთის ერთ-ერთ ცნობილ ფირმასთან, რომელიც აგრეთვე იჯარით აიღებს თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკას. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოების ამუშავება მთლიანად უზრუნველყოფს დედაქალაქის მოსახლეობას ქათმის ხორცითა და კვერცხით, საგრძნობლად გააიაფებს ამ პროდუქტებს.

დღეს მრავალი უცხოური ფირმა გამოთქვამს სურვილს გარდაბნის რაიონში ერთობლივი საწარმოების შექმნის თაობაზე, უკვე გაფორმდა ხელშეკრულება ჰოლანდიურ ფირმასთან, რომელმაც საქმეში ოთხი მილიონი ამერიკული დოლარი დააბანდა. ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება "სოკო", შემოზიდულია მოწყობილობა და დანადგარები, მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები და უკვე სექტემბრისათვის პირველ მოსავალს მიიღებენ - 1200 ტონა ქამა სოკო, რომელიც შიდა ბაზარსაც დააკმაყოფილებს და ჰოლანდიაშიც გაიგზავნება. შენდება სოკოს კონსერვის საამქროც.

წარსულში გარდაბნის რაიონის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია განთქმული იყო. დღეს, მიუხედავად მისი ეკოლოგიური სისუფთავისა, ეს პროდუქცია ძირითადად, თავისი გაფორმების, დოზირების გამო (იგი სამ და ერთლიტრიან ქილებში იყო დაფასოებული) კონკურენტუნარიანობას მოკლებულია. გადაწყდა ქარხნის რეორგანიზაცია, მცირე საწარმოებად დაყოფა. ორი საამქრო უკვე ემზადება სეზონისათვის და მცირე გაბარიტის ქილებში გამოუშვებს აჯიკას, რომელიც კარგად გადის რუსეთის ბაზარზე.

კარგ მოსავალს მოელიან კუმისისა და ჯანდარის ტბების მეთევზეობის მეურნეობებიდან. ამჟამად მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, დადებულია ხელშეკრულება მეზობელი აზერბაიჯანის მეთევზეობის ფირმასთან. მარტო ჯანდარის მეურნეობა სეზონში ორმოცდაათ ტონა თევზს მიაწვდის თბილისს.

მთლიანად რაიონში ხორბალი წელს დათესილია 10 200 ჰექტარზე. როგორც ყოველთვის, დიდ ფართობზეა გაშენებული ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები. იჯარა-გამოსყიდვის უფლებით მუშაობს და ძალას იკრებს 39 საზოგადოებრივი მეურნეობა, 230 ინდივიდუალური მოიჯარე. ამუშავდა გარდაბნის რუბეროიდის ქარხანა, მიმდინარეობს მუშაობა სხვა საწარმოების ასამოქმედებლად.

- თუ ნაწილობრივ მაინც შევძელით დასახული გეგმების განხორციელება, - ამბობს ბატონი ლევანი, - ქვეყნის ბიუჯეტსაც წავადგებით და ჩვენს თავსაც. "ჩვენს თავში" იგი გარდაბნის მოსახლეობას გულისხმობს და სინანულით ამბობს, რომ ჯერ კიდევ დიდია უმუშევართა რიცხვი, რომ რაიონის თექვსმეტი ათასი პენსიონერისათვის ჯერჯერობით მხოლოდ მარტის პენსიების გაცემა მოხერხდა. სამხარეო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით რაიონში შეიქმნა და მუშაობს კომისია. საწარმოების ამოქმედება ხელს შეუწყობს პენსიონერების, საერთოდ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გამგებელი ისეთი ღრმა რწმენით ლაპარაკობს ყოველივე ამის შესახებ, რომ ძნელია მას არ დაუჯერო. ამ იმედს ისიც განამტკიცებს, რომ იგი მხოლოდ თავის თავს როდი მიაწერს მიღწეულ და მოსალოდნელ შედეგებს. დიდი სიყვარულით ლაპარაკობს იმ ადამიანებზე, ვინც დღენიადაგ შრომობს - თავის მოადგილე მემედ მამედოვზე, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის საცდელი ბაზის დირექტორზე შალვა ბექაურზე, რომლის მცდელობით ფაბრიკაში მთლიანად შენარჩუნებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მებოსტნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორზე მაგარამ გასანოვზე, რომელიც ჩინებულად უძღვება საქმეს და შეძლო სახელმწიფოსათვის მიწის რენტის მთლიანად გადახდა, ჯანდარის მეთევზეობის მეურნეობის დირექტორზე ვასილ საკანაძეზე, სოსო კაპანაძეზე და სხვებზე.

დრო და დრო, ტელეფონით, თუ კაბინეტში შემოსულ მოქალაქეებს, ბატონი ლევანი აზერბაიჯანულად ელაპარაკება. საუბრიდან ჩანს, რომ ამ ენას იგი თავისუფლად ფლობს. ანდა რა გასაკვირია, ის ხომ დაიბადა და გაიზარდა იქ, სადაც ქართველები და აზერბაიჯანელები ძმურად, მეგობრულად და მხარდამხარ ცხოვრობენ.

გამგებელი რაიონის კულტურულ ცხოვრებაზეც მოგვითხრობს. განთქმული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ "ბეთანიაზე", რომელიც ეკონომიკური სირთულეების გამო დაშლის პირას იყო და გამგეობამ ყველა ღონე იხმარა, რომ ეს არ მომხდარიყო. თურმე, გარდაბნის რაიონში 70 ქრისტიანული ეკლესია და ტაძრის ნანგრევია. -ეკონომიკურად, რომ მოვღონიერდებით, - ამბობს გამგებელი, - მათაც უნდა მივხედოთ...

ვუსმენ ბატონ ლევან ჯაფარიძეს და მჯერა, რომ ეს რაიონი მართლაც აღორძინდება. ამის საწინდარი სწორედ ის გახლავთ, რომ მას სათავეში უდგას გამოცდილი და ამ კუთხეზე უზომოდ შეყვარებული თავკაცი.

**ლამარა ბაბუა**



**ლადო ლეფსვერიძე**

# იმედი

ვუძღვნი პატარა ლტოლვილ ბიჭუნას - დათო ფიფიას და მის თანატოლებს, რომლებიც გავიცანი პირველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი დროებით ცხოვრობენ

ანთებული ფიჭვისა
ცეცხლის ალთან მივედი,
მერცხალივით ბიჭისა
წინ შემომხვდა იმედი!

სათუთი და მგზნებარე
მზერა შემომაფეთა,
აფხაზეთში მდებარე
სახლში შემომახედა...

იმ ფიჭვივით ავენთე,
გულში ალი ავარდა!
მის ფიქრებში ჩავერთე,
ვარაიდა - ვარადა...

ბიჭი დაკაცებულა,
მომწონს მისი მარჯვენა,
ის არ დამარცხებულა:
- ლომის გული მაჩვენა!

ბიჭო, შენ გენაცვალე,
რომ ქართველობ მეგრულად...
(ცოტა გაზრდა აცალეთ:
ცას შეჰყურებს მეფურად)

ეხვევიან ალერსით
მისი თანატოლები,
ნეტავ, როგორ დაგვხვდება
სახლი დანატოვები?

ბაბუ, თან წამიყვანე
როცა სახლში დაბრუნდე,
ენგურზე გამიყვანე,
- მშვიდობაში დავრწმუნდე...

გამოგყვებით მაყრებად,
გუნდი - გოგო-ბიჭების...
დაგიდგებით თავდებად,
იქაც გამოგიჩნდებით!

03.07.97 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნოდარ ხუნდაძე

## შენდობას ვითხოვ

ვერ დავიცავი, ჯვარს მიცვეს ქრისტე,
ირმების ჯოგი ყვითელ ბალახს ძოვს,
დამშვიდდა მტერი, არ იტეხს კისერს,
ჩემი ბრალია, შენდობას ვითხოვ.

იმატა სენმა, გახშირდა ურვა,
გრილი ნიავი აღარ ქრის გორით,
მხოლოდ მტრობაა, ძიძგნა და მდურვა,
ვაგლახ, არ გვახსოვს ჩვენი დიდგორი.

ქვეყანა მექცა ნაფლეთ-ნაკუწად,
ქართული სისხლით იკლავენ წყურვილს,
თავს მოიკლავდა ნაღდად ქაქუცა,
რომ გაიგებდა მტრის ნამდვილ სურვილს.

მჯერა, უფალი არის გამწყრალი,
შენდობას ვითხოვ, ჩემია ბრალი.

## უფერული დღეები

სიცოცხლე თავქვე მიექანება
და მიაჭენებს დარახტულ ცხენებს,
და ბედი, თუმცა არ მეჩქარება,
შორ, ხიფათიან გზას გამიყენებს.

შეჩვეულ ჰანგებს გულს ვეღარ ვუდებ,
უკვე დავტოვე ძველი ბუნაგი,
სულს სადმე ახალ ტაძარს ავუგებ
და ჩემს ბედაურს ვუცვლი უნაგირს.

ჩემი წარსულის ჩამესმის ექო,
ვით დასარქული გულის გოდება,
გულს ერთხელ მაინც რომ დაეჭექოს,
არა, რატომღაც არ მაგონდება.

შურით გავცქერი გადაწვდილ კლდეებს
და ვეთხოვები უფერულ დღეებს.

## მიეცი, ღმერთო!

მიეცი, ღმერთო, რაც კი უნდა, კაცმა ის მომკას -
ვარდის სურნელი, სუნთქვა ტყისა და მზის არილი.
თუკი ღირსია, არ მოაკლო თაფლი, მარილი,
მადლით პირთამდე აავსებდე, ვით წყარო კოკას.

შენი სიკეთე ელვრებოდეს ლივლივა ბროლად,
იყოს ვულკანი მოგუგუნე და ჩაუმქრალი,
ვით დაჭიმული საგალობოდ ჩონგურის ლარი,
ცისკრის კამკამი,ფოთლის თრთოლვა, ნიავის ქროლა.

შენ დაუმკვიდრე ქართულ მიწას მადლი, სიმშვიდე, -
ხელმიუწვდომი, გაფრენილი, სამოთხის ჩიტი,
და აუხდინე საქართველოს ოცნება დიდი:
სულის მოთქმას და ფრთების გაშლას ვერვინ
უშლიდეს.
აი, ეს არის... სულ ეს არის, გიმხელ ჩემს დარდებს,
მე სხვა სათხოვარს, დიდო ღმერთო, ვერ შემოგკადრებ.

## "ზეჩხომა"*

ჩემს აფხაზ მეგობრებს

დაირღვა წესი, მოგვეშალა ადათი ძველი,
გვქონდა სიმდიდრე - ჩვენი ძმობა და გვაქვს აღარა,
საძმოს არ უკრავს ჩვენი ბუკი, ჩვენი ნაღარა
და მეუფლება სამძიმილი მტანჯველი, მწველი.

არად ვაგდებდით არცა ზამთარს და არცა ზაფხულს,
ჭირის და ლხინის მაგიდასთან ერთად ვსხდებოდით,
ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით მხოლოდ ვთვრებოდით,
რა დამავიწყებს თქვენს "აჯიკას" თუ მჟავე "ახულს".

გვქონდა საბაბი თუ არ გვქონდა, მუდამ ვეძებდით,
გაშლილ ტაბლასთან თავს ვიყრიდით ძმები ნამდვილი,
ალერსს ვაფრქვევდით, არ გვჩვეოდა კვეხნა-ქადილი,
და ერთმანეთის უნახავად დიდხანს ვერ ვძლებდით.

სულ მეხსომება თქვენებური ტკბილი "ზეჩხომა",
ვინც აგვირია გზა და კვალი, - ნუთუ შერჩება?

## ვინ დაგარწმუნა?

ვინ დაგარწმუნა, - უწინდელი აღარ მაქვს, ჩაქრა,
სნეული გული ვერ გაუძლებს დრო-ჟამის გრიალს,
გამოვეთიშე ამქვეყნიურ ცრუ ორომტრიალს
და აღსასრულის, თითქოს ჟამი დარეკავს ჩქარა.

ვინ დაგარწმუნა, - გვერდს ავუვლი აღსავლის კარებს,
აღარ მახარებს მშობლიური ცის წმინდა ნამიც,
რომ გამეძლება უამქვეყნოდ თუნდ ერთი წამით
და ვერ ვარისხებ მის საქებრად ზეციურ ზარებს?

ვინ დაგარწმუნა, - დამიდუმდა ჩონგური, ქნარი,
ოცნების კოშკებს ძველებურად ვეღარ ავაგებ,
ჩემი ხალხისთვის თვით სიცოცხლეს რომ არ წავაგებ
და ბრძოლის ჟინით ვერ ამანთებს მაისის ქარი?

...როცა მოვკვდები, ჩემი ქვეყნის გამყვება, ჯავრი, -
მე შემთხვევითი ამ მიწაზე როდი ვარ მგზავრი.

## ვისი ბრალია?

ვისი ბრალია, რომ აიშვა თავი იუდამ,
კაენმა ისევ ძმას უმუხთლა, ვისი ბრალია?
მინდა გავიგო, მიტომ ამას ვკითხულობ მუდამ,
რადგანაც იცით, ქვეყნის ბედი არ მაბარია.

თავი აიშვეს გამხედვართა, სისხლი დასთხიეს,
მიწა წაგვტაცეს და დღესაც რომ მორჭმით არიან,
ჩვენს ქვეყანაში ლტოლვილებად გადაგვაქციეს,
აუცილებლად, უნდა მითხრათ, ვისი ბრალია!?

რომ გავნადგურდით უსაშველოდ სულით ხორცამდე,
გამყიდველობა რომ გახშირდა ასე ძალიან,
გუშინ არ იყო, ძმები ერთურთს უღვთოდ ხოცავდნენ,
ვის დავაბრალო, მსურს ვიცოდე - ვისი ბრალია!?

უძლური რომ ვარ, გული სწორედ იმაზე მწყდება, -
კაცმა არ იცის დღეს რა ხდება, ხვალ რა მოხდება.

* "ზეჩხომა" - ახალი წელიწადი ძვ. სტილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარხვა და ხაჭაპური

კიმოთე ილიაშვილი

– პაპა, ჩვენ სკოლაში ისეთი გემრიელი ხაჭაპურები იყიდება, ვერ წარმოიდგენ, – უთხრა ერთ დილას სკოლაში მიმავალმა ირინემ პაპას.

შეწუხდა პაპა. ჯიბეში ხუთი თეთრი რომ თეთრია, ისიც კი არ ედო. გაწბილებული ბავშვი დედამ სკოლისკენ წაიყვანა.

მიდის პაპა სამსახურში და ფიქრობს: – "მაშ, მე ვარ კაცი?! ეს არის ჩემი სამოცწლიანი სიცოცხლის ბოლო?!"

სამსახურშიც ვერ გაეხსნა გული. მთელი დღე მოუსვენრად იყო. შესვენებაზე თანამშრომლებმა შეიყარეს თავი მის ოთახში.

– ხალხნო, შვილმა ათლარიანი მაჩუქა, თითო ხაჭაპური და თითო ჭიქა პეფსი დღეს ჩემზე იყოს – თქვა ერთმა შემოსულთაგანმა და ოთახიდან გავიდა.

– ხაჭაპურს, თორემ მოუხდელი ყველით იქნება სავსე?! – სიტყვა დაადევნა მეორემ.

– ბერო, მადლი წაგიწყდესო, შენი საქმეა, – შეესიტყვა მესამე.

მადლობა შესწირეთ უფალს, სულს მოვითქვამთ, – ჩაურთო სხვამ.

პაპა კი ფიქრობს: "პირდაპირ ნანატრივით არაა? მაგრამ როგორ უნდა წავიღო ჩემი წილი ხაჭაპური შინ?! რას იფიქრებენ?! ისე კი ბავშვს ნამდვილად გავახარებ. ვეტყვი, ხუთიანი რომ მიიღე, კეთილმა ძიებმა გაიგეს და გამოგიგზავნეს-თქო".

"კეთილმა ძიამ" დაპირებული ხაჭაპურები შემოიტანა და პაპას წინ დაალაგა მაგიდაზე. ყველამ დაითითოვა თავ-თავისი. პაპას ულუფა ხელუხლებლად იდო.

– ჭამე, კაცო, გემოსი რა გითხრა, მარა სურნელი კარგი აქვს, – თქვა მომტანმა და თან მადლიანად ჩაკბიჩა ცხელი ხაჭაპური.

– მე, ხომ იცით, მარხვას ვინახავ. დღეს პარასკევია და ვერ შევჭამ, – მიუგო პაპამ.

– სწორედ სამარხვო ხაჭაპურია, შიგ ყველი კი არა, მარილიანი მოხარშული მაკარონია, – თქვა ერთმა.

– სულ მარხვაზე არა ვართ?! მოგცლია შენც. ღვთისგან ნებადართულია: მებრძოლს, პატიმარს, ავადმყოფს, მეძებარს, პატარა ბავშვს... შეუძლია ჭამოს სახსნილო მარხვაში, – დაანუგეშა პაპა მეორემ.

– მეძებრად ან პატარა ბავშვად თუ მთვლი, არ ვიცი და, არც მებრძოლი ვარ, არც პატიმარი, არც ავადმყოფი, – თქვა პაპამ და ისევ ფიქრი გააგრძელა:

"ესენი რომ გავლენ, გადავახვევ ქაღალდში და წავუღებ ირინეს. დიდება შენ, უფალო, რა ცოტა ჭირდება კაცს?!. ისე კი, სუნი მართლაც კარგი აქვს. გემო არ ვიცი და, პირი ნერწყვით აივსო. სად მომაფიქრდა მარხვა? დიდ მარხვებს კი ვინახავ, მაგრამ



მხატ. გიორგი ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათ-პარასკევს ვერ ვიცავ, ცხოვრების ალიაქოთში მავიწყდება დღეები. მითუკეთესი. დღეიდან დავიწყებ... ნახევარს მაინც შევჭამ. ოო, არა, რას იფიქრებენ ბიჭები?!. მთელს მივიტან შინ და იქ გავუყოფ ირინესა და დემეტრეს. ახლა საცაა დამთავრდება შესვენება და ყველა თავის ოთახში წავა"...

- ვაჰ, თქვენ გენაცვალეთ, დიდი ხანია ამდენი ძმაკაცი ასე ერთად თავმოყრილი აღარ მინახიხართ, უწინ ასეთ დროს პირდაპირ სიმონას სახინკლეში გადავდიოდით ხოლმე, - შემოიძახა შემოსულმა.

- კი, იყო ასეთი დროც...

- მერედა, რა ხინკალი იცოდა სიმონიკამ?!

- ხინკალიც კარგი იცოდა და ხაშიც, კრიალა ყვითელ ცხიმში დაცურავდა კანჭის ნაჭრები, შილდანი, თეთრი ფაშვი, რძესავით გათქვეფილი ნიორი...

- ხინკალი და ხაში, თორემ მწვადი და ხაშლამა არ ვარგოდა?! ან სად არჩევდა ისეთ ხორცს?! უმსაც შეჭამდა კაცი.

- ქაბაბი?! თავისი თუთუბოთი?

- თუთუბო რაღაა?!

- დასავლეთში კოწახურს რომ ეძახიან, სომხები კი სუმახს, - განმარტა მცოდნემ.

- ჩაქაფული ახალი ტყემლითა და ტარხუნით?! დახლილი თუ ღვინიანი ყაურმა?!

- ჩაქაფულსა და ყაურმას აქ ვინ ჭამდა, მაგისთვის თელავში ან სიღნაღში ავდიოდით.

- ხინკალზე ყინვალში ან თიანეთში...

- თევზეული?!.

- კარგით, კაცო, სისხლი ნუ ჩამიქციეთ!

პაპა კი იჯდა და ფიქრობდა. "როგორ დავითრიო ხაჭაპური, რომ არავინ შეჭამოს".

- ეს ხაჭაპური ვისია? - იკითხა ახალშემოსულმა, სუფრაზე შემოსწრებულმა.

- პაპას წილია. მარხვაზეა. არ ჭამს.

- რა დროს მარხვაა, სულ მარხვაზე არ ვართ?!

- პაპა ეგრე არ ფიქრობს.

- აბა, გადაგდებას რას გამოვრჩებით. მე შევჭამ, - და ხელი გაიწოდა ხაჭაპურისაკენ, აიღო და ჩაკბიჩა.

- "ცეცხლი ჭამე, შე უნამუსო! ჩაგისკდეს მუცელი, მე რა, ვერ შევჭამდი?! ბავშვისთვის მინდოდა წამეღო"...

მოსული გემრიელად ილუკმებოდა.

"ვაი, სირცხვილო, ეს რა მემართება? რაღაა ახლა ჩემი კაცობა. რა გახდა ეს ერთი საცოდავი უყველო ხაჭაპური?!.

ბოლო ლუკმა ჩაყლაპა მოსულმა. წყალი დააყოლა.

- აგაშენათ ღმერთმაო, დაამატა, ფეხზე წამოდგა.

რაღაც უცნაური და უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

- რა იყო, ხალხო, რას დაიზაფრეთ ასე?! არ გესიამოვნათ ჩემი მოსვლა თუ რაა?!

ხმა არავის ამოუღია. ისხდნენ ხახამშრალი თევზებივით. მერე ნელ-ნელა ყველა გაიკრიფა პაპას ოთახიდან. მხოლოდ ის გვიან შემოსული დარჩა, პაპას წილი ხაჭაპური რომ მიირთვა.

- არ მეტყვი, რატომ მოვედი ასე? აგაწრიალეთ და აგშალეთ. იქნებ არც კი გეამათ ჩემი მოსვლა... შენ უნდა მენახე. გახსოვს?..

... რასაკვირველია, ყველაფერი ახსოვს პაპას, მაგრამ ამ კაცსაცთუ ახსოვდა, ეს აღარ ეგონა.

- იმ საქმემ გამიმართლა. შენი კაცობა არ დამვიწყებია. ფუძის დამდები შენ ხარ და ესეც შენ გეკუთვნის. არ დამიწყო ახლა ლაილაი. ვიცი მე შენი ხასიათი. ხმა აღარ ამოიღო. კარგად იყავი, - თქვა და მაგიდაზე შეკვრა ფული დადო.

წავიდა, პაპამ სიტყვაც ვერ მიაყოლა.

ზის სახტად დარჩენილი პაპა და არ იცის, რა ქნას. ატრიალებს ხელში მოზრდილ ფულის შეკვრას და თითქოს ხელები ეწვის.

- ღმერთო, რა არის ეს. წილი? ქრთამი? საჩუქარი?.. მაპატიე, უფალო! თუ არ მიწყენ, შენგან მივიღებ წყალობად, შენი ბოძებულია ამ გაჭირვებაში.

ახლა კი ვუყიდი ჩემს გოგონას ხაჭაპურს. ვუყიდი, ვუყიდი, ერთს, ორს, ათს, უამრავს, უამრავს...

ქუჩაში გახალისებული გამოვიდა. ძველი ვერის მაღაზიებში მიიხედ-მოიხედა. უცებ ნაცნობი, სასიამოვნო ხმა - "ხაჭაპური, ცხელ-ცხელი, ფენოვანი ხაჭაპური..."

დახლთან ქალი დგას. დახლზე ის მადისაღმძვრელი, ს უ რ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი, გამაღიზიანებლად დაბრაწული ხაჭაპურები ალაგია.

- არიქა, არ გათავდეს, მშრალზე არ დავრჩე, - ფიქრობს ჩუმად გულში თავისთვის. ხმამაღლა კი იძახის: - ქალბატონო, ქალბატონო, რამდენი ცალი გაქვთ?

ქალმა თვალი გადაავლო თავის საქონელს და შეცბუნებულმა მიუგო:

- თორმეტიღა დარჩა.

- რამდენი მოგართვათ?

- ოთხი ლარი და ოთხმოცი თეთრი. თუ სულ აიღებ, ოთხ ლარად მოგცემთ.

პაპამ ხუთლარიანი ქალს ხელში მიაჩეჩა, ხაჭაპურები პარკში ჩაყარა და ძუნძულით გაქანდა სახლისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკოს ცრემლი



გედნიერად ვთვლი თავს, რომ ბედმა მარგუნა წლების მანძილზე ახლო ურთიერთობა მქონოდა როგორც სიმონ ჯანაშიასთან, ისე მის განუყრელ მეგობარსა და თანამებრძოლ ნიკო ბერძენიშვილთან. ამიტომ ბუნებრივია, ბევრი რამ მაქვს მათზე სათქმელი, მაგრამ ამჯერად დავკმაყოფილდები ერთი პატარა ეპიზოდით, რომელიც ბატონ ნიკოს, აგრეთვე ერთ-ერთ მის მოწაფეს და თანამებრძოლს, აწ განსვენებულ ვარლამ დონდუას შეეხება.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენს ინსტიტუტს "საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა დაავალა. საქმე საშური იყო და ავტორებს ტექსტის დასაწერად ძალიან მცირე დრო მოგვცეს. თითქმის ყველა ავტორი, ვარლამ დონდუას გარდა, მოითხოვდა ვადის გაგრძელებას, ბატონი ვარლამი კი დარწმუნებული იყო, დროზე წარმოადგენდა თავის ნაწერს და თავს არხეინად გრძნობდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ყველა ავტორმა შეასრულა დავალება, ვარლამის ნაწერი კი არ ჩანდა. მთავარმა რედაქტორმა (ბატონმა ნიკომ) არაერთხელ გააფრთხილა ვარლამი, დაეჩქარებინა საქმე, მაგრამ ის ყოველთვის რაღაცას იმიზეზებდა და რამდენიმე ხნით ვადის გაგრძელებას თხოულობდა, საქმე აშკარად ფერხდებოდა.

მთავარი რედაქტორის მოთმინების ფიალა, როგორც ჩანს, აივსო და ერთ მშვენიერ დღეს, როცა სამუშაო დღე დამთავრდა, მან თავისთან მიხმო, პირქუშად შემხედა და მაშინვე მივხვდი, რომ გაჯავრებული იყო.

- ვარლამთან მინდა სახლში მივიდე. თუ კაცი ხარ წამყევი, მეშინია, ხელში არ შემომაკვდეს!

ჩავსხედით მანქანაში და წავედით.

ბატონ ნიკოს ზედმეტი ლაპარაკი მაშინაც კი არ უყვარდა, როცა კარგ გუნებაზე იყო, ახლა კი მთლად დადუმდა.

ვარლამ დონდუა ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, უნივერსიტეტის მრავალბინიან სახლში. ლიფტი არ იყო. სვენებ-სვენებით ავედით მესამე თუ მეოთხე სართულზე და მივადექით ერთ გადახუნებულ კარს. დავრეკეთ და ველოდებით. ცოტა ხნის მერე კარი ოდნავ გაიღო და ვარლამმა დაგვინახა, მაგრამ ისე დაიბნა, რომ ჯაჭვის მოხსნა ვეღარაფრით ვეღარ მოახერხა. ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაგვიღო და თავაზიანად ბინაში შეგვიძღვა...

მაგრამ რაც მე იქ დავინახე, ჩემს დღეში არ დამავიწყდება, პატარა, ერთოთახიანი ბინა სულ წიგნებით იყო გატენილი. წიგნებს ეჭირა ოთახისა და სამზარეულოს ყველა კედელი, წიგნები ეყარა იატაკზე, მაგიდაზე, ფანჯრის რაფაზე, სამზარეულოს ნივთებზე და გაზქურაზეც კი. ოთახში გავლა შეიძლებოდა მარტო პატარა ბილიკით, რომელიც შესასვლელი კარიდან ოთახის პატრონის საწოლისაკენ მიდიოდა. ვიდექით ამ ბილიკზე და გაოცებული შევყურებდით ამ უცნაურად მორთულ ბინას. გაზქურაზე ჩაიდანი იდგა, წყალი ადუღდა, გადმოიღვარა და გაზის ალი ააბოლა. შემეშინდა, ცეცხლი იქ დალაგებულ წიგნებს არ მოედოს-მეთქი და გაზქურა ჩავაქრე. ბატონი ნიკო კი ხმას არ იღებდა, ჯიუტად იდგა შუა ოთახში თავისი განუყრელი ჯოხით ხელში და ისმენდა ვარლამის აშკარად ნირწამხდარ საუბარს. მასპინძელი, რა თქმა უნდა, მიმხვდარიყო, რისთვისაც მივედით, მაგრამ ცდილობდა დრო მოეგო და გარეშე საგნებზე შეეჩერა საუბარი. ცოტა რომ დაწყნარდა, სიტყვა რომელიღაც ძველ ქართულ ტერმინზე ჩამოაგდო (სამწუხაროდ,აღარ მახსოვს, რა ტერმინი იყო) და ნიკოს შინაურულად ჰკითხა:

- ხომ არ გახსოვთ, ბატონო ნიკო, რომელ ძეგლშია ნახმარი ის სიტყვა? სახარება მთლად გადავქექე, ვეფხისტყაოსანიც შევამოწმე, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე, - მთელი ორი კვირაა მასზე ვწვალობ!

ამ სიტყვებმა ისედაც გაბრაზებულ ნიკოს პირდაპირ ცეცხლი შეუნთო და მრისხანედ დაიქუხა:

- ესე იგი, ვარლამ, თქვენ ორი კვირაა რაღაც ჯანდაბურ სიტყვას დაეძებთ, სამსახურებრივი მოვალეობა კი დაივიწყეთ და ურცხვად გვატყუებთ ყველას, ინსტიტუტსაც და ზემდგომ ორგანოებსაც?! რას ჰგავს ეს, მასხარად გვიგდებთ, თუ რა არის?!

ვარლამი არ მოელოდა ასეთ სიმკაცრეს და გაფითრდა, იგი ისედაც პატარა და სუსტი აგებულების კაცი იყო, ახლა კი მთლად დაპატარავდა და მოიკუნტა, თუმცა სიტყვის შებრუნება მაინც გაბედა.

- როგორ გეკადრებათ, ბატონო ნიკო, სახელმძღვანელო ადვილი დასაწერი ხომ არაა, თქვენ თვითონ რამდენჯერ ბრძანეთ, თითოეული სიტყვა...

- მერე და ვინ გეუბნებათ, რომ ადვილია, - უხეშად შეაწყვეტინა სიტყვა ნიკომ, - ადვილი რომ არ არის, სწორედ ამიტომ მოგვანდეს ჩვენ, მეცნიერებს, ამიტომ გაგვათავისუფლეს სხვა საქმეებისაგან და გვითხრეს, პირველ რიგში ეს დაწერეთო, თქვენ კი აქ ზიხართ და სახარებას ქექავთ!

- ძირითადად დამთავრებული მაქვს, ბატონო, და ორ დღეში წარმოგიდგენთ!

- ვიცი, რასაც ნიშნავს თქვენი "ძირითადად" და "ორ დღეში", დიდი ხანია გვესმის ასეთი ცრუ დაპირებები!

- გეფიცებით სინდისს, ორ დღეში მოგართმევთ!

- როგორ მომართმევ, კაცო, როცა დანამდვილებით ვიცი, რომ ორ დღეში კიდევ აგვკვიატება რომელიმე სიტყვა და ორი კვირა მის ძებნას მოუნდები?! არა, ბატონო, გვეყოფა ამდენი მოტყუება, იძულებული ვარ, თქვენი ნაწილი სხვა ავტორს გადავცე.

ამ სიტყვებით ნიკო კარისაკენ დაიძრა და მეც მანიშნა მომყევიო, მაგრამ მე არ შემეძლო ვარლამი ასეთ მდგომარეობაში დამეტოვებინა და ფეხი შევაჩერე.

- დაწყნარდით, ბატონო ვარლამ, გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, ძალიან გაბრაზებულია და ნუ გეწყინებათ, რა ქნას, მასაც ზემოდან ავალებენ!

- ბატონო, ჩემს დღეში ასე სასტიკად არავინ მომპყრობია, რა დავაშავე ასეთი! - ამბობდა აფორიაქებული ვარლამი და თავში ხელებს იცემდა.

როდესაც გრძელი კიბე ჩავირბინე,შევამჩნიე, რომ ქვემოთ, კიბის ბოლოში, ნიკო მელოდებოდა.

- რაო, რას ამბობს? - მკითხა გაბრაზებული ხმით.

- ძალიან შეწუხებულია, ცოდვაა, ბატონო ნიკო!

ნიკომ არაფერი მიპასუხა, ერთხანს ჩაფიქრებული იყო, შემდეგ კი შეწუხებულმა, ნაღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა:

- ხომ ნახე, როგორ ცხოვრობს, ამ უბედურს, ალბათ, საჭმლის გამკეთებელიც კი არავინ ჰყავს! - თქვა და სახე მომარიდა.

ამ დროს მის თვალში ცრემლი შევნიშნე, რამაც ძალიან გამაკვირვა, - გამაკვირვა იმიტომ, რომ ნიკო ბერძენიშვილი ძლიერი ნებისყოფის ადამიანი იყო და მის თვალში ცრემლი არასოდეს მენახა.

კარგა ხანს ვიდექით კიბესთან ხმაამოუღებლივ, ხოლო როცა ცოტა დამშვიდდა, მიბრძანა: - გაბრუნდი და წამოიყვანე, ჩემთან ვისადილოთ! სიხარულით ავირბინე გრძელი კიბე და სასოწარკვეთილი ვარლამი თითქმის ძალით წამოვიყვანე!

ნიკოს მეუღლემ, ქალბატონმა ნინომ, შესანიშნავი სუფრა გაგვიწყო. ჩვენ დიდხანს, თითქმის შუაღამემდე ვისხედით, ცოტ-ცოტა კახურს ვსვამდით და ვმუსაიფობდით საქართველოს ისტორიაზე, სახელმძღვანელოს შედგენის პრინციპებზე, უსაფუძვლოდ დავიწყებულ ძველ ქართულ სიტყვებზე.

ნიკო თანდათან გამხიარულდა, ხუმრობის გუნებაზე დადგა და განაწყენებულ სტუმარს მოეფერა. მას არ უყვარდა თანამშრომლის ქება, მაგრამ ამ შემთხვევაში დაარღვია საკუთარი წესი და დიდად შეაქო ვარლამ დონდუას მეცნიერული მოღვაწეობა.

გარეშე მაყურებელს, ალბათ, გაუკვირდებოდა მისი ასეთი შემობრუნება, მაგრამ მე არ გამკვირვებია... - არ გამკვირვებია იმიტომ, რომ ბატონი ნიკო გულწრფელი იყო იმ შემთხვევებშიც, როცა თანამშრომელს უჯავრდებოდა და იმ იშვიათ შემთხვევაშიც, როცა მას აქებდა.

**პროკოფი რატიანი**

# მოჩვენება

ნოდარ დუმბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყო გაზაფხულის დილა. ჰაერი კამკამა და გამჭვირვალე. მე ვიდექი ათასფერადი ყვავილებით მოჩითულ ველზე და ცის დასალიერზე ავარდნილ უცნაურ ქარბორბალას ვუცქერდი. იგი ფერადი იყო. ცისარტყელას მეშვიდე ფერით გაწყობილი, ცეკვით მოდიოდა ჩემსკენ. მიახლოვდებოდა. ეს ადამიანის ხნის ცაცხვი მაშინ გავერანებული, ტიალი და გაუბედურებული იყო. მე ამ ცაცხვის ძირში ვიდექი. ქარბორბალა მოდიოდა ტრამალზე, უსაზღვროდ ბედნიერი, მზეთუნახავი და უსაშველოდ მრავალფეროვანი. ველზე ამოცენებული ყველა ყვავილს ჰგავდა ერთად და ცალ-ცალკე. უცებ იგი ფაფუკი მანდილივით აფრიალდა და ტანზე შემოეხვია ცაცხვს. რაც შემდეგ მოხდა, ეს არ იყო სასწაული. სასწაული ის იქნებოდა, ასე რომ არ მომხდარიყო - შვიდფეროვანმა მანდილმა სინედლე აჩუქა ხეს და იგი ამწვანდა, აყვავდა, გაზაფხულდა, აბიბინდა, აშრიალდა. შვიდფეროვანი საოცრება ახლა უზარმაზარ პეპლად იქცა და მოშრიალე გოლიათის კენწეროზე აფარფატდა.

- ჩამოდი მიწაზე! - ვთხოვე მე. ეს უფრო ნატვრა იყო, ვიდრე თხოვნა და პეპელა ჩამოფრინდა.

- თქვი რამე! - ვინატრე ისევ. პეპელა შვიდფეროვანი კაბით შემოსილ,უზარმაზარ თეთრი ბაფთებით გაწყობილ, ოქროსთმიან, ლურჯთვალა ვარდისფერ და გამჭვირვალე, ფეხშიშველა გოგონად იქცა. ჩემს წინ დადგა და გამიღიმა. შვიდი-რვა წლისა იქნებოდა.

- გამარჯობა! - მივესალმე ჩურჩულით, თან იმის შიშით, რომ ყოველივე ეს მოჩვენება არ ყოფილიყო და არ გამქრალიყო.

- გაგიმარჯოთ, ბატონო ჩემო! - ეს ლაპარაკი არ იყო, ეს იყო სიმღერა, პატარა მუსიკალური შედევრი. შემდგომ, სადაც გოგონა ილაპარაკებს, ისე ჩათვალეთ, თითქოს ცისარტყელა მღერის.

- შენ ცისარტყელა ხარ? - ვკითხე მე.

- არა.

- გაზაფხული?

- არა.

- აბა, ვინა ხარ შენ, ან რა გქვია?

გოგონამ ისეთი სახელი მითხრა, რომლის მსგავსი არ არსებობს. ამიტომ ვერც ის დავიმახსოვრე.

- მაინც ვინა ხარ შენ?

- მე ყველაფერი ვარ. - ეს სიტყვა გოგონამ ორ სიტყვად იმღერა - "ყველა" და "ფერი"...

- როგორ ყველაფერი?

- ისე, - თქვა გოგონამ და გაუკვირდა, რომ ვერ მივხვდი.

გონებაში საშინელმა ეჭვმა გამიელვა.

- შენ სხვა პლანეტიდან ხარ მოფრენილი? - პასუხის მოლოდინში სისხლი გამეყინა. გოგონამ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. მაშინ მე ტუჩზე ვიკბინე და როდესაც თბილმა სისხლმა გამოჟონა, მივხვდი, რომ ყოველივე ნანახი ცხადი იყო და არა სიზმარი.

- რა ჰქვია შენს პლანეტას?

გოგონამ კვლავ ისეთი სახელი მითხრა, რომლის მსგავსი არ არსებობს. ამიტომ ვერც ის დავიმახსოვრე.

- როგორია თქვენი პლანეტა?

გოგონამ მხრები აიწურა.

- მთიანი, ზღვიანი, ველიანი, კლდოვანი, თბილი, ცივი თუ როგორი?..

- ისეთი, როგორიც მე ვარ!

-ფერადოვანი, გამჭვირვალე თუ უხორცო?

გოგონამ გაიცინა და კვლავ თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად.

- შორს არის თქვენი პლანეტა?

გოგონამ სიტყვა "შორს" ვერ გაიგო, ამიტომ მაღლა ავიხედე და ხელით ვანიშნე...

- შორს... შოორს... - ასე გავაგრძელე.

- შოორს, შოორს... - გააგრძელა გოგონამაც და ხელი ცისკენ აიშვირა.

- ჩვენი ენა ვინ გასწავლა? - ვკითხე.

- ახლა ვსწავლობ, - მიპასუხა.

- თქვენი ენა როგორია?

გოგონა გაუგონარი ხმით ამღერდა. სამყარო ამოძრავდა და დაირწა, მასთან ერთად მღეროდა ცაცხვი, ყვავილი, მიწა, წყალი, ჰაერი, მღეროდა ყველაფერი და მე ამ სიმღერაში ვიყავი ჩაძირული, როგორც თევზი აქვარიუმში. იგი დაახლოებით ერთ წუთს მღეროდა.

- ეს არის თქვენი ენა? - ვკითხე ხმის კანკალით. გოგონამ თავი დაიქნია.

- მოგწონს? - მკითხა.

... და შენ ფიქრობ, რომ ამ ენის სწავლა ყველას შეუძლია?

- რა თქმა უნდა!

- მაინც როგორ?

გოგონამ კვლავ დაიწყო სიმღერა. ახლა იგი ხელს სხვადასხვა საგნებისაკენ იშვერდა, ალბათ, მათ სახელებს თუ ამბობდა, და საგანი, რომელსაც ეხებოდა მისი ხმა, ფერს იცვლიდა და ოთახის ხმაზე მღეროდა, ეს ის განცდა და ნეტარება იყო, რომლის გამოც შეიძლება სიკვდილი ინატრო, თუ გეცოდინება, რომ ეს ნეტარება და განცდა სიკვდილშიც გაგრძელდება. გოგონა მიხვდა, რომ რაღაც მემართებოდა და ამიტომ დადუმდა.

- მოდი ჩემთან ახლოს, - ვთხოვე გოგონას. ის მომიახლოვდა.

- უფრო ახლოს მოდი, მინდა მოგეფერო და გულში ჩაგიკრა. შეიძლება?

გოგონა სულ ახლოს მოვიდა. მე მკლავები გავშალე და გოგონა გულში ჩავიკარი. იგი თანდათან შემოვიდა ჩემს სხეულში და მე ახლა მას, როგორც სითბოს, ისე ვგრძნობდი გულთან.

- სად ხარ, გოგონა? - ვთქვი და გული ყელში მომებჯინა, ისე როგორც ბავშვებს ემართებათ

ხოლმე საქანელაზე ქანაობისას.

გოგონა გამოვიდა ჩემგან და მკერდში სითბო დამიტოვა.

- აქ როგორ გაჩნდი, გოგონავ!

- დედას გამოვეპარე.

- მერედა, არ გეშინია?

- რისი?

- რომ დაიკარგო, დედამ რომ ვერ გიპოვოს?!

- როგორც კი მოვენატრები, მინატრებს და მიპოვის, - თქვა გოგონამ.

- სახლში წასვლა რომ მოგინდეს, როგორღა წახვალ?

- ვინატრებ და წავალ.

- ინატრებ და მეტი არაფერი?

- მეტი არაფერი, - ამიხსნა გოგონამ. სიტყვებმა "რატომ" და "როგორ" აზრი დაჰკარგეს. ახლა, ამ წუთში, ჩემთვის ყველაფერი ერთნაირად გასაგები და გაუგებარი იყო, ურთულესი და უმარტივესი ერთნაირად, ერთმანეთის გვერდით, ტოლფარდოვნად არსებობდა ამ პატარა გოგონაში.

- დედამიწაზე პირველად ხარ? - ვკითხე.

- პირველად.

- სხვა პლანეტაზე თუ ყოფილხარ?

გოგონამ თავი დაიქნია.

- სიცოცხლე თუ შეგხვედრია სადმე?

პასუხის მოლოდინში კვლავ გამეყინა სისხლი და სუნთქვა შემეკრა.

- ძალიან ბევრ პლანეტაზე, ბატონო, - გაიღიმა გოგონამ.

- ასეთი, როგორიც ჩვენთან?

- სულ ნაირ-ნაირი, ბატონო, - გოგონამ ხელები გაშალა და მისი სხეულივით გამჭვირვალე ცას ახედა.

- მაინც?

- არ ვიცი, მე სადაც მივდივარ, ისეთი ვხდები, როგორი სიცოცხლეც იქ მხვდება...

დუმილი ჩამოვარდა.

- შენ ვინა ხარ? - მკითხა უცებ გოგონამ. ეს კითხვა იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ დავიბენი.

- მე... შენ არ იცი, მე ვინ ვარ? - ვკითხე გაკვირვებულმა.

გოგონამ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და მხრები აიჩეჩა.

- ...მე ვარ ძე ხორციელი, ადამიანი, ეს არის ჩემი დიდი სახლი - დედამიწა. ვსაზრდოობ წყლით, ჰაერით, მზით, ხორცითა და მცენარით...

- შენ თვითონ ვინა ხარ?!

- აკი გითხარი, ადამიანი. მყავდა მშობლები, იმათ თავიანთი მშობლები ჰყავდათ, იმათ კიდევ - თავიანთი, იმათ - თავიანთი, იმათ - თავიანთი და ასე შემდეგ...

- როდემდე?

- არ ვიცი.

- ესე იგი, შენ არ იცი, ვინა ხარ!

- არა! - გამოვტყდი მე. - გოგონას ისევ გაეღიმა.

- აქ რას აკეთებ? - მკითხა და გარემოს თვალი მოავლო.

- აქა?.. აქ არაფერს, ისე ვდგავარ... მე ვარ ავად. იცი შენ რა არის ავადმყოფობა, ესე იგი ცუდად ყოფნა? მე ვარ ავად და აქ, ამ ყვავილოვან ველზე, ამ ბებერი ცაცხვის ძირში, შენ რომ ახლა სინედლე დაუბრუნე, ყოველ დილით გამოვდივარ სასეირნოდ სუფთა ჰაერზე, რათა გამოვჯანსაღდე და კვლავ დავიბრუნო ძველი სინედლე, ისე როგორც ამ ცაცხვმა დაიბრუნა.

- რა გჭირს? - შეწუხდა გოგონა.

- მე ძალიან მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე. შენ იცი რა არის გული?

- მე მაქვს გული, მაცოცხლებელი გული, როგორც ყველა ადამიანს, ისე, და მე ეს გული გამიტყდა, გამებზარა ამ რამდენიმე წლის წინ. აი, ნახე.

გოგონამ თავისი ლამაზი, ვარდისფერი ხელი გულზე დამადო და მე კვლავ ვიგრძენი სითბო გულთან.

- ჰოდა, მე ახლა ყოველდღე დავდივარ ამ ყვავილოვან ველზე, რათა გული გამიმთელდეს. მე ახლა ცოტა უკეთ ვარ, მაგრამ დავიბრუნებ კი იმ ძველ სიმწვანესა და სინედლეს?..

გოგონამ არაფერი არ მიპასუხა. კვლავ ხელი შემახო მკერდზე.

- თქვენ არ ხდებით ავად? - ვკითხე.

- როგორ არა, - გაიღიმა მან.

- თქვენ რაღა გემართებათ?

- ფერს ვკარგავთ, ვუფერულდებით, ვფითრდებით.

- მერე, როგორ წამლობთ ერთმანეთს?

- ფერს ვაძლევთ ერთმანეთს, ვეფერებით, ერთმანეთის ფერებში გადავდივართ.

- როდემდე?

- დღემუდამ და ბოლოს მარადიულ ფერში გადაგვყავს ერთმანეთი, ჩვენი პლანეტის სახელი თქვენს ენაზე დაახლოებით ასე ითქმის - მარადიული ფერების პლანეტა, კარგია?

- საოცარია!

გოგონას კმაყოფილებისაგან ლურჯი თვალები აუციმციმდა. უცებ ველი შეირხა. ყვავილები გაფერმკრთალდნენ, ცაცხვი წითლად აენთო, ცისკიდური გაჩირაღდნდა და აბრიალდა. ეს იყო რაღაც მსგავსი ჩრდილოეთის ციალისა, ენით აუწერელი სანახაობა, ისეთი, რომლის მაგვარს მხოლოდ სიზმრად ნახულობენ, ან ზღაპარს ისმენენ.

- დედაა ჩემი, - თქვა აღტაცებულმა გოგონამ და ციალისაკენ შებრუნდა... და უცებ თვალუწვდენელი ტრამალი გასაოცარმა ჰანგმა მოიცვა. მე არ შემიძლია იმ ჰანგის გადმოცემა, თვითონ წარმოიდგინეთ, თუ შეგიძლიათ; დედამიწაზე არსებული ყველა ყვავილი მის მსგავსს მუსიკალურ საკრავად რომ იქცეს და გამოსცეს ყველაზე საამო და ფაქიზი ჰანგი იმ ჰანგთა შორის, რომელიც მას გააჩნია, სწორედ ისეთი. ეს იყო ბუნების დიადი ჰანგი, ეს იყო სამყაროს დიადი სიმთვრალე, ეს იყო მარადიულ ფერთა ქვეყნის, ორი ციალის, ერთმანეთს მონატრებული დედისა და შვილის საუბარი. არ მახსოვს, როდემდე გაგრძელდა დედა-შვილის საუბარი. გონს რომ მოვედი, დიდი ციალი გამქრალიყო და ჩემს წინ კვლავ ჩემი ნაცნობი ლურჯთვალა, გამჭვირვალე გოგონა იდგა და მიღიმოდა.

- მშვიდობით, ადამიანო! - მითხრა მან.

- მიდიხარ? - ვკითხე და ტირილი მომინდა.

- უნდა წავიდე, დედა მეძახის.

- წამიყვანე, ჩემო პატარა, ლამაზო გოგონა, შენი მარადიული ფერების ქვეყანაში, წამიყვანე თან, შენ შემოგევლე...

- კი მაგრამ, დატოვებ შენ შენს სახლს და წამოხვალ ჩემთან, ადაიანო? - გაუკვირდა გოგონას.

- თუკი გული არ გამიმთელდება და მაინც უნდა მოვკვდე, განა სულ ერთი არ არის ჩემთვის?.. წამიყვანე, ვიდრე მომკვდარვარ, გავხრწნილვარ და კვლავ მიწად ვქცეულვარ, მომეცი ფერი შენი, ჰაეროვნება

შენი, უკვდავება შენი და წამიყვანე. მე მეშინია სიკვდილის... წამიყვანე! - ვთხოვე და მის წინ მუხლებზე დავეშვი.

- მე არ შემიძლია შენი წაყვანა, ადამიანო, - სინანულით გაშალა პატარა ხელები გოგონამ.

- რატომ? - დავღონდი მე.

- იმიტომ, რომ შენ ხარ ძე ხორციელი, შენ არ ხარ ჯერ არც ფერი, არც ნატვრა და როდესაც იქცევი ფერად და ნატვრად, მხოლოდ შემეძლება შემდეგ მე გინატრო შენ და მხოლოდ მაშინ შეგეძლება შენ ჩემთან მოსვლა.

- მინატრე! - ვთხოვე მე.

- როგორ გინატრო, როდესაც არა ვარ შენთან ერთად? - გაუკვირდა გოგონას.

- იქ მინატრე, შენს მარადიულ ფერთა ქვეყანაში.

- თუ მომენატრე, ოღონდ მანამდე შენ უნდა იქცე ფერად და ნატვრად.

- როდისოა, როდის?!

- ეგ შენმა დედამიწამ, უნდა იცოდეს.

- და შემდეგ კი მინატრებ?

- გინატრებ:

- გმადლობთ, - ვთქვი მე და წამოვდექი, გოგონა ფერად ნიავად დაირხა.

- მოიცა, არ წახვიდე, თუ შეიძლება ერთხელ კიდევ ჩაგიკრავ გულში და მოგეფერები.

გოგონა მომიახლოვდა. მე მკლავები გავშალე და გულში ჩავიკარი. იგი კვლავ შემოვიდა ჩემს სხეულში და მე ახლა მას, როგორც სითბოს ისე ვგრძნობდი მკერდში. დიდხანს, დიდხანს ვიყავი ასე გატრუნული, თითქოს სულ მუდამ, მრავალ და მრავალ საუკუნეთა მანძილზე ასე გვეცხოვროს, მერე გავცალკევებულიყოთ და მრავალ საუკუნეთა შემდეგ კვლავ გვეპოვოს ერთმანეთი. ბოლოს იგი გამოვიდა ჩემგან. ამჯერად მისი გამოსვლა, როგორც ტკივილი, ისე ვიგრძენი მკერდში და გულზე ხელი დავიდე.

- რა მოგივიდა? - მკითხა გოგონამ. - მე მომეჩვენა, რომ იგი მიხვდა, რაც მომივიდა და მაინც მკითხა.

- არაფერი, ჩემო კარგო, ნახვამდის!

- მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო! - თქვა გოგონამ და ხელი დამიქნია.

...მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო, ოღონდ უკუღმა. გოგონა ჯერ უზარმაზარ, შვიდფეროვან, გამჭვირვალე პეპლად იქცა, შემდეგ ათასი ფერით ნაქარგ ფაფუკ საყელოდ, მერე ველად გაიჭრა და ქარბორბალად დატრიალდა. იგი მიდიოდა ჩემგან ლამაზი რხევით ისე, როგორც უსაზღვრო ბედნიერებისაგან მოცეკვავე და მომღერალი მინდვრის დედოფალი. უსაშველოდ მრავალხმოვანი და მრავალღეროვანი. იგი ველზე აღმოცენებულ ყველა ყვავილს ჰგავდა ერთად და ცალ-ცალკე. ბოლოს გაქრა ცის დასალიერზე, როგორც განუმეორებელი სიზმარი, სიმღერა და ფერთა ციალი, გაქრა, წავიდა და მხოლოდ ეს, მწვანე, აშრიალებული ცაცხვიღა დამიტოვა თავისი არსებობისა და უკვდავების ნიშნად.

- შენ მართლა გახსოვს ეს ცაცხვი გამხმარი და ტიალი? - მკითხა უფროსმა ქალიშვილმა. ამბავი რომ დავამთავრე და ცამდე აზიდულ, სიცოცხლით სავსე, ვეებერთელა, მოშრიალე ცაცხვს ახედა... და როდესაც თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, ძლივს შესამჩნევი ღიმილით თვალი უფროსი დისაკენ გააპარა.

- მერე? - მკითხა უმცროსმა და მღელვარებისაგან გამშრალი ტუჩები ენის წვერით გაილოკა.

- მერე, მე სამი დღე და ღამე ვიწექი ამ ველზე გულაღმა და ყვავილებით ჩარჩენილ იმ ფერთა საოცარ სიმღერას ვისენდი, მე ახლაც მესმის ის ჰანგი სუსტად. თქვენ არ გესმით?

- ვკითხე შვილებს. ბავშვებმა ველს მიაყურადეს, მერე სინანულით გაიქნიეს თავი - არაო.

- აბა, ყვავილებში დაწექით გულაღმა და კარგად მიაყურადეთ, - ვუთხარი. ბავშვები გულაღმა გაწვნენ ყვავილებში, თვალები დახუჭეს და სმენად იქცნენ. ასე იწვნენ გაუნძრევლად, თითქმის ხუთი წუთი და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

- გესმით? - ვკითხე ბოლოს.

- არა! - თქვა უმცროსმა.

- მესმის, ოღონდ ძალიან შორიდან და ძალიან სუსტად, - თქვა უფროსმა.

- არა უშავს, მთავარია, რომ გესმის.

- შენს გარდა თუ უნახავს ვინმეს ის გოგონა? - მკითხა უფროსმა მოულოდნელად.

- არავის. ვისაც არ ვკითხე, ვისაც არ მოვუყევი, არავის არ უნახავს... არც არავის სჯერა...

- დედას.

- რა დედას?

- დედას თუ სჯერა? - მკითხა უმცროსმა.

- არა.

- რაო, დედამ?

- დედამ თქვა, რომ მე გავგიჟდი... რაო, თქვენთვისაც ხომ არ უთქვამს?...

ბავშვებმა თავი დახარეს.

- არც თქვენ გჯერათ? - ვკითხე ბავშვებს. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს და როდესაც მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, უცებ მომიბრუნდნენ, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნიეს, ოღონდ - კიო, არცერთს არ უთქვამს. კვლავ დუმილი ჩამოვარდა და როდესაც მე აღარაფერი ვთქვი, დუმილი უფროსმა დაარღვია.

- მერე რა მოხდა?

- არაფერი. მას შემდეგ მე ყოველ გაზაფხულს, თითქმის ყოველდღე, გამოვდივარ ამ ყვავილებით მოჩითულ ველზე, ვდგები ამ ათასწლოვან ცაცხვის ძირში, გავცქერი სივრცეს და ველოდები, როდის მოვენატრები ჩემს პატარა მეგობარს, როდის გამოჩნდება ცის დასალიერზე ულამაზეს შვიდფეროვან ქარბორბალად, როდის მოვა და როდის წამიყვანს...

ამჯერად დუმილი უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა.

- მოენატრები, მოვა და წაგიყვანს! - თქვა ბოლოს უფროსმა გამქრალი ხმით.

- ჩვენ?!! - ეს უმცროსმა იკითხა.

- თქვენ, რა?

- მერე, ჩვენ რა ვქნათ? - და რომ შევხედე, უზარმაზარი თაფლისფერი თვალები აუარება ცრემლით ჰქონდა სავსე. ქვედა ტუჩი მოპრანჭვოდა, გვერდზე გაქცეოდა და ნიკაპი უკანკალებდა.

მარცხენა ძუძუს ქვეშ რაღაც ამეწვა. მივედი, მკლავები გავშალე და გულში ჩავიკარი. ჩავიკარი და გავოცდი, იგი თანდათან შემოვიდა ჩემს სხეულში და მას ახლა, როგორც სითბოს, ისე ვგრძნობდი გულთან.

## ალი რეზა რაჰიმი — რეზო დავითაშვილი



საქვარი ქართველებს ბევრი გვაქვს, ერთ მოუშუშებელ იარად კი მუდამ დაგვრჩება შორეულ თუ ახლო წარსულში გასხვისებული ჩვენი სისხლი და ხორცი, სამშობლოს დანატრებული უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები... და თუ ვინმეს სჭირდება დღეს მოფერება და თანადგომა, ალბათ მათ. ამადაც მისასალმებელია ამ საქმის მესვეურთა - უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული კავშირის საზოგადოებისა და მისი თავმჯდომარის ბატონ სანდრო ნონეშვილის საერთო ძალისხმევით 1997 წლის ივნისში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია.

გთავაზობთ კონფერენციის მონაწილის ფერეიდნელი ქართველის რეზო დავითაშვილის (ალი რეზა რაჰიმის) სიტყვას.

თაყვანს ვსცემ შენს სასიქადულო შვილებს როგორც
ცოცხლებს, ისე განსვენებულებს!

ვიქნები შენთვის კეთილი და პატიოსანი მოღვაწე;

ვიცავ გემსახურო მკლავით, ჭკუით, სულით და გულით
და თუ შენის განსაცდელის ჟამი დამიდგეს, მზად

ვიქნები შევსწირო ჩემი სიცოცხლე შენს დროშას
შენს სახელს და დიდებასა,

სიკვდილის ჟამს ჩემი უკანასკნელი ამოსკვნა
იქნება: სამშობლო
ძე შენ ჯერ კარგად ვერ გიცნობ; მაგრამ მიყვარხა
მაინც და ვამაყობ; რომ შენი შვილი ვარ!

მიყვარს შენი დიდება, მშვენიერება, სიკეკლუცე,
შენი ზღვა, მთა და ბარი,

შენი სოფლები და ქალაქები, შენი მდინარეები და წყაროე

მიყვარს შენი გულის ცემა,

ფიცავ შევიყვარო ყოველი შენი შვილი, როგორც ჩემი.
შენი

ჩემო ძვირფასო კეთილშობილო სამშობლო!

ჩემო აკვანო და ჩემო საფლავო!

დიდო და დიდებულო მომავლის თაობის ქვეყანავ

რამდენი სიკეთე გიქნია ქვეყნიერებისათვის!

რამდენმა მეომარმა და გმირმა თავი დასდვა შენი
ძლიერებისა და დიდებისათვის!

დიდებულო ედემ!

# ...იმას არ ჰქვია ტამერლანი

„და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან ჰპოვოს იგი„.

მათე - 10, 39

1402 წლის 28 ივლისს, ანგორასთან (მცირე აზიაში) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა თემურ-ლენგისა და ოსმალეთის ხონთქარ ბაიაზეთ ილდირიმის უზარმაზარ ჯარებს შორის. ოსმალებმა სასტიკი დამარცხება იწვნიეს. თემურ-ლენგმა "ცის ვარსკვლავებზე და ღვთის ქვიშაზე მეტი ტყვე იგდო ხელთ" და მათ შორის იყო უიღბლო ხონთქარიც.

გამარჯვებული თემური მივიდა ძვირფასი ტყვის სანახავად, შეხედა უზომოდ დამცირებულს და უნებურად სიცილი აუტყდა. ხონთქარს ეწყინა და თემურს მოახსენა: დღე უღამოდ არავის უნახავს, ყველაფერი იძვრის, მიწად იქცევაო.

თემურ-ლენგი შეცბუნდა და თავი გაიმართლა: ალაჰსა ვფიცავ, ჩემი გულის საამებლად და სამხიარულოდ არ გამიცინიაო. სიცილი იმაზე ამიტყდა, რომ ღვთის წინაშე ქვეყნები რაოდენ უფასონი არიან, რომ ჩემისთანა კოჭლმა და თქვენისთანა ელამმა ცუდ საქმეზე ორასი ათასი კაცი ერთმანეთს შევახოცეთო.

ჩანს, იუმორის გრძნობითაც საკმაოდ დაჯილდოებული ყოფილა მსოფლიოს დაპყრობაზე მეოცნებე ხელმწიფე, რომელსაც მოიხსენიებდნენ ამგვარი ეპითეტით: "საჰებ-ყერანი" (ძლევამოსილი).

## და კვლავ მოგაწყდა შემოდგომა ტამერლანივით

წარსული ხშირად ცოცხლდება ხოლმე ჩვენს ფიქრებსა და ნააზრევში, არა გვშორდება და გვეხმიანება; წარსულის გახსენებას ხან მწარე გაკვეთილი ჰქვია, ხანაც - ტკბილი დარდი. დროთა კავშირს ვერაფერი არღვევს და ზოგჯერ, სრულიად უდროოდ და უადგილოდ, მძაფრი ტკივილი იღვიძებს სულში, გარდასულ ჟამთაგან რომ წამოსულა და ლამის ისეთივე ძალით დაგვთრგუნოს, როგორც აწინდელ ჭირთა განცდამ.

ზემოთქმულს ჩინებულად ადასტურებს გიორგი ლეონიძის ორსტროფიანი შედევრი ლექსთა ციკლიდან "მოგზაურობა სამშობლოში". ლექსის უშფოთველი დასაწყისი საუცხოო გუნებაზე აყენებს მკითხველს და ოცნების ზღვაში შეაცურებს: "მთვარე კაშკაშებს მტრედისფერ ბურში, თამარის სახის დასადარელი. მთები... სიჩუმე, როგორც ბნელ ჭურში... ფოთლის არხევას არსად არ ელი".

ეს ხომ ის მშვენიერი წუთია, რომლის შეჩერება და გაქვავება გსურს, რათა უსასრულობაში გადაიზარდოს. მაგრამ ქართველ პოეტს, ვაი რომ, არასოდეს უწერია მარტოოდენ "ტკბილ ხმათათვის" მოვლინება ამქვეყნად და აი, პირველი სტროფის მომხიბლავ ჰარმონიას სრულიად მოულოდნელად არღვევს მეორე სტროფი: "უცბად მეყნოსა სუნი დამწვრისა, თემურის ხანძართ ნატისუსალი, თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი!"

საქართველოს ისტორიის უებრო ტრფიალსა და მცოდნე პოეტს იმდენად გასჯდომია ძვალ-რბილში ჩვენი წარსულის, ვგონებ, ყველაზე საზარელი ურჩხულის მოლანდება, რომ უკვე სხვა თემაზე დაწერილ ლექსშიც იშველიებს მის სახელს გულში ანთებული დიდი გრძნობის გამოსახატავად: "როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია!" (ტამერლანი - ასე გამოთქვამენ ევროპელები თემურ-ლენგის სახელს).

ძლიერია სიკვდილივით სიყვარულიო - ამბობს "ქებათა-ქება" და ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტს სიკვდილის ნაცვლად ახსენდება ქართველი კაცისათვის, ალბათ, ყველაზე ნაცნობი სიმბოლო სიკვდილისა - სისხლისმღვრელი მახვილი საქართველოს მაოხრებელი ხელმწიფისა, "კოჭლი ვეფხვი" რომ შეარქვეს.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თემურ-ლენგის სახელი შეჭრილა თვით გოეთეს "დასავლურ-აღმოსავლურ დივანში", სადაც სუსხიანი ზამთარი (ანუ სიკვდილი) ასე ემუქრება "სულთა მკვლელ" ტამერლანს: ჩემი დღეც დადგება და არ შეგიწყალებო.

საინტერესოა, რომ თანამედროვე რუს პოეტსაც თემურ-ლენგი ახსენდება, როგორც განსახიერება ბოროტებისა.

სახელდობრ, ანა ახმატოვას ერთი ლექსი, რომელიც ეძღვნება ბორის პასტერნაკს და რომელსაც თარიღად უზის 1958 წლის 25 ოქტომბერი, ასე იწყება: "და კვლავ მოგაწყდა შემოდგომა ტამერლანივით".

ახმატოვას შემოქმედებაში იშვიათი გამონაკლისია, რომ ხაზგასმით იყოს მითითებული ლექსის დაწერის თვეცა და დღეც. და ამგვარი სიზუსტე შემთხვევითი ფაქტი როდია. ყველაფერი ნათელი ხდება, თუკი აღვადგენთ მეხსიერებაში, რომ სწორედ 1958 წლის 25 ოქტომბერს, ხრუშჩოვის კატეგორიული მოთხოვნითა და სამშობლოდან გაძევების მუქარის ქვეშ, ბორის პასტერნაკმა უარი თქვა ნობელის პრემიაზე.

და მისმა დიდებულმა თანამოკალმემ მთელი ეს

კოშმარი და დამცირება - სანატრელ და დამსახურებულ ჯილდოზე "ნებაყოფლობითი" უარი - სამშობლოში თავს რომ დაატყდა მთელს მსოფლიოში აღიარებულ პოეტს, დაუკავშირა სასტიკი და დაუნდობელი ტამერლანის სახელს.

ახმატოვამ მაინცდამაინც ტამერლანს შეუდარა ის ავბედითი შემოდგომა, რომელმაც მტკივნეული დარტყმა მიაყენა ხანდაზმულ ბორის პასტერნაკს და სიცოცხლის დღენი შეუმოკლა.



### მეტსახელის საიდუმლოება

საქართველოს მეფეს - ბაგრატ მეხუთეს განგებამ წილად არგუნა, რომ თემურ-ლენგის თანამედროვე ყოფილიყო.

დიახ, თანამედროვე იყო სახელგანთქმული დამპყრობლისა, რომელიც თამამად იჭერს ადგილს მსოფლიოს ყველაზე გამორჩეულ მტარვალთა შორის.

აი, როგორ ამკობდა მას იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი - თემურის საზარელ საქმეთა თვითმხილველი: ბილწი და ბოროტი ვეშაპი, უმოწყალო და მძვინვარე მხეცი, შეუბრალებელი და სასტიკი ხელმწიფე, აღსავსე ყოველგვარი ბოროტებითა და ეშმაკის მაცდუნებელი ცბიერებით.

მისივე სიტყვით, ერთხელაც თემურს ასეთი ბრძანება გაუცია თავისი ლაშქრისათვის: შვიდასი ათასი კაცი ხართ ჩემთან, დღეს და ხვალ შვიდასი ათასი თავი მომიტანეთ და მათგან შვიდი კოშკი აღმართეთო. ვინც თავს არ მოიტანს, იმას თავად მოჰკვეთენ თავსო.

ამ, ავადსახსენებელი თემურ-ლენგის თანამედროვე გახლდათ ბაგრატ მეხუთე.

ხსენებული მეფე ცნობილია ჩვენს ისტორიაში, როგორც "ბაგრატ დიდი".

რატომ ეწოდა ამგვარი მეტსახელი? რით მოიხვეჭა ასეთი პატივი?

ბაგრატ მეხუთე გამეფდა 1360 წელს. თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში თარიღდება 1386 წლით.

საქართველოს მეფემ რა მოიმოქმედა ისეთი სასახელო ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე, რომ "დიდი" უწოდეს?

ჩვენდა სამწუხაროდ, ბაგრატის მეფობის პირველი პერიოდის შესახებ ცნობები თითქმის არ შემონახულა საისტორიო წყაროებში.

ბერძენი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი "გამოჩენილ სარდლად" იხსენიებს საქართველოს მეფეს, სომეხი ისტორიკოსები "ძლევამოსილსა და ძლიერს" უწოდებენ. მაგრამ გაურკვეველია, თუ რას ეფუძნებოდა ასეთი ქება-დიდება.

საიდუმლოების ამოხსნას, შესაძლოა, ხელი შეუწყოს XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის მონათხრობმა:

"ხოლო ამას დიდი მეფე ბაგრატ იმისათვის ეწოდა, რამეთუ იყო მძლეველი და გამარჯვებული, თვინიერ თემურისა, ყოველთა წინააღმდგომთა თვისთა ზედა, რამეთუ ორასითა მხედრითა არა ჰრიდებდა ათასთა და მოსწყვეტდა სრულიად. კვალად არა დაჰმორჩილდა მძლავრსა და იღვაწა ქვეყნისა თვისისათვის".

აქაც არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ ვისა სძლია და რომელი მტერი დაამარცხა საქართველოს მეფემ, მაგრამ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ვახუშტის სიტყვები: გარდა თემურისა, ყველას სძლევდაო, მაგრამ არც თემურს დამორჩილდაო.

არ დამორჩილდაო?

ზემოხსენებული მიქელ პანარეტოსი გადმოგვცემს, რომ 1386 წლის 21 ნოემბერს თემურმა "ხელთ იგდო საოცარი თბილისი, ტყვედ ჩაიგდო გამოჩენილი სარდალი ბაგრატ მეფე და მისი მეუღლე... ხალხი კი გაჟლიტა მახვილით და გაანადგურა. რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დასწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს".

თომა მეწოფელი გვარწმუნებს, დახოცილები ცოცხლად დარჩენილებზე მეტნი იყვნენო.

თემურ-ლენგი დაჟინებით მოუწოდებდა დატყვევებულ ქართველ მეფეს, რომ გამაჰმადიანებულიყო. ბოლოს და ბოლოს, ისიც დაჰყვა დამპყრობლის ნებას.

"ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს: "მაშინ ლანგ-თემურ განიხარა სიხარულითა დიდითა, და შეიტკბო მეფე ბაგრატ".

დამწუხრებულ ქართველ მეფეს კი შურისძიების წყურვილი არ ასვენებდა.

მან შესთავაზა თემურ-ლენგს: მომეცი შენი ჯარი და მთელ საქართველოს თქვენს რჯულზე მოვაქცევო. თემურმა ისევ "განიხარა სიხარულითა დიდითა" და თორმეტი ათასი მეომარი გააყოლა მეფეს საქართველოში.

ტყვეობიდან თავდახსნილმა ბაგრატმა დაუყოვნებლივ ამცნო საქართველოსაკენ დაძრული ლაშქრის მარშრუტი თავის ძეს - გიორგი ბატონიშვილს. ჩასაფრების ადგილი დათქვეს და "მოსრეს პირითა მახვილისითა ყოველნი სპანი ლანგ-თემურისანი, ვითარ



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორმეტი ათასი და ერთიცა მათგანი არა განერა".

თორმეტი ათასი კაციდან ერთიც არ გადარჩენილა!

ქართული წყაროს ცნობას ადასტურებს თომა მეწოფელიც.

ეს მართლაც რომ სასწაული იყო. საქართველოს მეფემ სასტიკი დამარცხება აგემა უსასტიკესი დამპყრობლის ლაშქარს.

ეგებ ამიტომაც უწოდეს "ბაგრატ დიდი"?

## მაგრამ, ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილი!

გამოხდა ხანი, დადგა XIX საუკუნე და ახალმა დრომ ისევ გააცოცხლა ძველი ტკივილი.

აკაკი წერეთლის მუზა მხოლოდ თორნიკე ერისთავისა და პატარა კახის საგმირო საქმეებს როდი მოუხიბლავს. ბაგრატ მეფის თავგადასავალმა და დრამატულმა განცდებმა თემურ-ლენგის ტყვეობაში ყოფნისას შთააგონა დიდებულ მგოსანს ისტორიული პოემა "ბაგრატ დიდი".

პოემის პროლოგში მოკლედ არის გადმოცემული თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში და ბაგრატ მეფის დატყვევება.

აკაკი წერეთელი ამ პოემაში არ მიელტვის ბრძოლათა აღწერას. მისი ალამი უფრო მძაფრ ვნებას შეუპყრია. ქართველი მეფის

სულში დატრიალებული ორთაბრძოლის გაშუქება სწადია. მისი თამამი და იმ დროისათვის იშვიათი გადაწყვეტილების გამართლება დაუსახავს მიზნად.

პოეტს სცენაზე გამოჰყავს მეფის მოძღვარი, სახელად ისაკი, რომელიც ულმობლად თათხავს ბაგრატს ქრისტიანული სარწმუნოების ღალატისათვის. მკაცრ დაკითხვას უტარებს: რად გვიღალატეო,

ფოლადის გული რამ შეგიცვალაო, შენი გვირგვინი და შენი დიდება შენი ხელითვე რატომ დააჭკნეო, სახელოვანი მეფე ქართველთა ასე როგორ დაეცი სულით, რომ სიკვდილს გამაჰმადიანება ამჯობინეო? ქართველებს რა მაგალითს აძლევ შენი ღალატით, მოგბაძავენ და სულით დაცემა გაუადვილდებათო. ტყუილად გვეგონა, რომ სამშობლო გიყვარდაო. დღეს თვალი აგვეხილა და ვიხილეთ, რაც გულში დაფარული გქონიაო.

მოძღვარი შეაჩვენებს გამაჰმადიანებულ მეფეს და წყევლასავით მიახლის პირში მგზნებარე აფორიზმს: "ცოცხალ მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი!"

ბაგრატ მეფე მოთმინებით უხსნის თავის მოძღვარს, რომ ამქვეყნად არსებობს ორი ჭეშმარიტება - ნამდვილი და მოჩვენებითი, მათი გარჩევა მეტად ძნელია და შენი საბრალო გული ამჯერად შემცდარაო.

შენი შეჩვენებით როგორ შეაშფოთებ იმ კაცს, რომელმაც ტკბილი სამოთხე მწარე ჯოჯოხეთზე გაცვალაო.

ისაკი გმობს მეფეს, პირადი სარგებლისთვის გამაჰმადიანდიო.

მეფე უმტკიცებს: საქართველოს სიყვარულმა მაიძულაო. ბაგრატი შეახსენებს მოძღვარს სამშობლოს თავზე დატრიალებულ უამრავ ვაებას: კალოზე გალეწილ ჩვილებს, მათი დედების მოთქმას, ხელფეხშეკრულ და დატიტვლებულ ქართველ ჭაბუკებს, ველზე რომ დაეყარათ დამპყრობლებს და ზედ დაჯირითობდნენ.

მერე ეუბნება, რომ სამაგიეროს გადახდის უძლიერესი წადილი დაეუფლა მის სულს, მაგრამ რა ძალუძს უძლურ ტყვეს?

ბაგრატ მეფე უმხელს მოძღვარს თავის განზრახვას: რადგანაც ჩვენზე ძლიერ მტერთან პირდაპირი ბრძოლით ვერაფერს გავაწყობთ, ხერხი და ცბიერება თუ გვიშველისო. თემურ-ლენგი მხოლოდ გამაჰმადიანებულს მომენდობა და სული ჩემი ამიტომაც გავწირეო. ვიცი, ჯოჯოხეთის ტანჯვა არ ამცდება, მაგრამ სამშობლოს გამოხსნისათვის მზადა ვარ, ჯოჯოხეთსაც კი დავემონოო.

განსაკუთრებით შთამბეჭდავად ჟღერს ბაგრატ მეფის მიერ წარმოთქმული ფრთოსანი სიტყვები, დევიზად რომ გამოადგებოდა მომავალსაც: "მაგრამ, ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილი!"

აკაკი წერეთლის პოზიცია მკაფიოდ არის გამოკვეთილი. პოეტის რწმენით, თავგანწირვას ზოგჯერ სულის განწირვა სჯობს.

მოძღვარი აღტაცებით მიმართავს მეფეს, მეც შენთანა ვარო. "და დაიყვირა: "უნდა უარგყო და ნუ შემრისხავ შენ, მაცხოვარო!"

მეფე და მისი ერთგული მოძღვარი, მუხლმოყრილნი, მაღლა ხელაპყრობილნი და დადუმებულნი, სასოებით შეჰყურებენ ზეცას და უხმოდ ევედრებიან საქართველოს დახსნას ჭირთაგან. არათუ სიცოცხლეს,სულსაც სწირავენ მამულისათვის.

და აკაკი წერეთლის აზრით, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი მამულიშვილობა.

ეგებ, სწორედ ამ ღვაწლის გამო უწოდეს საქართველოს მეფეს "ბაგრატ დიდი"? და ხაზგასმით თუკი არ აღნიშნავენ, ეგებ იმის ბრალია, რომ ღრმად მორწმუნე მემატიანეთა თვალში მოჩვენებითი გამაჰმადიანებაც კი შეუწყნარებელი იყო, თუნდაც კეთილშობილ მიზანს მომსახურებოდა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ბაგრატ დიდი ცხოვრობდა XIV საუკუნეში და, თუ არ ვცდები, ქართველ მეფეთაგან პირველმა გადადგა ამგვარი ნაბიჯი ანუ განწირა სული თვისი და ამის საზღაურად ერთხელ მაინც დაამარცხა დაუმარცხებელი თემურ-ლენგი, მტარვალი მტარვალთა შორის.

თამაზ ნატროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალ. ორბელიანი ნაპოლეონის შესახებ

როსტომ ჩხეიძემ მიაკვლია ალექსანდრე ორბელიანის საინტერესო წერილს "ნაპოლეონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა", რომელიც დაწერილია 1844 წლის 3 ივნისს კაზრეთში და გამოქვეყნდა "ლიტერატურულ საქართველოში". ვფიქრობთ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს პატარა, მაგრამ საინტერესო პუბლიკაცია ქართული ნაპოლეონიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ალ. ორბელიანს სხვა რომ არაფერი დაეწერა, მისი ანალიტიკური აზროვნების საილუსტრაციოდ, ალბათ, ეს პატარა, მაგრამ ღრმა შინაარსიანი წერილიც იკმარებდა.

ალ. ორბელიანის დაინტერესება ნაპოლეონის მოღვაწეობით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. რომანტიკოსს ნაპოლეონი იტაცებდა და ხიბლავდა, როგორც ძლიერი პიროვნება.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ალ. ორბელიანი შესანიშნავად ერკვეოდა XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ ევროპის ისტორიის რთულ პერიპეტიებში და შილერის მსგავსად ამ ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ დედაძარღვს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბრძოლაში ხედავდა, ხოლო ბაირონივით მისი სიმპათიები მთლიანად პროგრესული საწყისისაკენ, ნაპოლეონისეული საფრანგეთისაკენ იხრებოდა. მიუხედავად ნაპოლეონის განდიდებისა, ალ. ორბელიანის პოზიცია სავსებით მართებული იყო.

ალ. ორბელიანმა მშვენივრად დაინახა, რომ საფრანგეთის მთავარი მეტოქე სწორედ "ნისლიანი ალბიონია". იგი საკმაოდ კარგად არის ჩახედული მათ შორის მიმდინარე ბრძოლის დეტალებში, ხასიათსა და მეთოდებში. "საფრანგეთი თავისი ძალით და საკუთარი გონებით მოქმედებდა, ხოლო "ანგლია" ფულით და საიდუმლო პოლიტიკით. პირველთან მთელი ევროპა ძრწოდა შიშით, მეორე კი მთელი ძალისხმევით უმეგობრდებოდა ევროპას და ნაპოლეონს ძირს უთხრიდა. უკანასკნელმა დასძლია. მაინც ასეა: პირდაპირ კაცს, თუნდაც დიდი გონიერება ჰქონდეს და ბევრის დაკლებაც შეძლოს, ბოლოს წინააღმდეგი ცბიერი კაცი აჯობებს, ნამეტნავად. თუფულის შემწეობა აქვს და დახარჯვასაც არ დაიშურებს".

უნდა ითქვას, რომ ალ. ორბელიანი არსებითად ზუსტად აფასებდა XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპაში შექმნილ ვითარებას, თუმცა შესაძლოა, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას შედარებით შელამაზებული სახით წარმოგვიჩენდა, რაც ნაპალეონისადმი სიმპათიების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. ნაპოლეონის თაყვანისმცემელი ისტორიკოსები (ტიერი, სორელი, ვანდალი, ლევი, მასონი, მადლენი) ვარდისფერებში ხატავენ ნაპოლეონის ომებს, ყოველმხრივ ცდილობენ, მიჩქმალონ საფრანგეთის პოლიტიკის აგრესიულობა და მისი საგარეო პოლიტიკის იდეალიზაციას ეწევიან. "ნაპოლეონი ოდერზე და ვისლაზე რომ იბრძოდა, მაშინაც საფრანგეთს იცავდაო". - წერდა ნაპოლეონის ცნობილი ფრანგი ბიოგრაფი, ალბერ ვანდალი. ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა ოდნავ შელამაზებული სახით არის წარმოჩენილი ა. მანფრედის ნაშრომში"ნაპოლეონი", რაც ამ მშვენიერი წიგნის პატარა მინუსია. ნაპოლეონის მშვიდობისმოყვარეობის გაზვიადება, ცხადია, არ ღირს.

უნდა დავეთანხმოთ გამოჩენილ მწერალს ფრიდრიხ შილერს, რომელიც თავის ლექსში "ახალი საუკუნის დასაწყისი" (1801) ამბობს, რომ ამ ეპოქის საერთაშორისო საკითხებში მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობა. ეს ორივე ქვეყანა იბრძვის მსოფლიო ბატონობისათვის - საფრანგეთი ხმელეთზე, ინგლისი კი ზღვაზე და გულისტკივილით დასძენს: "არ არის დედამიწის ზურგზე ქვეყანა, სადაც ჰყვავის თავისუფლება". მართალია, შილერი სულ სხვა კუთხით მიუდგა საკითხს და ძალიან ახლოს მივიდა ჭეშმარიტებასთან, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მეორე უკიდურესობაშივარდებოდა და ამუქებდა საქმის ვითარებას, რაც ნაპოლეონის აღზევებისადმი შილერის გულგრილი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია. თუ ამ ბრძოლაში ინგლისი უმთავრესად კონსერვატულ საწყისს ასახიერებდა და ცდილობდა, წინ აღდგომოდა კონტინენტზე საფრანგეთის რევოლუციის იდეების გავრცელებას, ნაპოლეონი პირიქით, მიუხედავად საფრანგეთის ომების დაპყრობითი ხასიათისა, უმეტესად მაინც რევოლუციის ტრადიციებს ავრცელებდა ევროპაში. ნაპოლეონი ებრძოდა ევროპის აბსოლუტურ მონარქებს. "ნაპოლეონმაფეოდალიზმს მიაყენა ისეთი ძლიერი დარტყმა, რომ ის ამისაგან წელში მეტი ვეღარ გასწორდა. ამაში მდგომარეობდა იმ ეპოქის პროგრესული მნიშვნელობა, რომელიც, მის სახელთანაა დაკავშირებული" - დასძენს ნაპოლეონის რუსი ბიოგრაფი აკადემიკოსი ევგენი ტარლე.

უეჭველია, რომ ალ. ორბელიანს საკითხის ეს მხარე მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული. საფრანგეთის პოლიტიკისადმი მისი სიმპათიების გასაღებიც, ვფიქრობთ, აქ უნდა ვეძიოთ. ამ შემთხვევაში ალ. ორბელიანის კრიტერიუმი გაცილებით უფრო მისაღები ჩანს, ვიდრე შილერისა. ამ უკანასკნელმა საკითხს სამართლიანობის პოზიციებიდან შეხედა და ძალიან კარგად დაინახა, რომ პროგრესი სამართლიანი გზით არ ხორციელდებოდა.

როგორც ჩანს, ალ. ორბელიანს არც ის გარემოება გამოჰპარვია მხედველობიდან, რომ ინგლისი ამ ბრძოლაში უმთავრესად იყენებდა "სხვისი ხელით ნარის გლეჯის" პოლიტიკას და ამ უშეღავათო ბრძოლაში თავის ფინანსებს ეყრდნობოდა. უხვად ამარაგებდა ფულით ნაპოლეონის წინააღმდეგ მის მიერვე შექმნილ კოალიციებს. მიუხედავად საბოლოო დამარცხებისა ნაპოლეონმა არაერთხელ დასცა ბეჭებზე თავისი ძლიერი მეტოქე და სერიოზული საფრთხე შეუქმნა ინგლისს.

1802 წლის 27 მარტს ხელმოწერილი იქნა ამიენის ზავი ინგლისსა და საფრანგეთს შორის. აღსანიშნავია, რომ ზავის თანახმად ინგლისმა საფრანგეთს ვერც ერთი დაპყრობილი ტერიტორია ვერ დაათმობინა. ეს ნაპოლეონის პოლიტიკის დიდი მიღწევა იყო. ტალეირანი თავის "მემუარებში" შენიშნავდა "ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ ამიენის ზავის შემდეგ საფრანგეთი სარგებლობდა ისეთი დიდებით, სახელით, ძალაუფლებით, რომ ყველაზე პატივმოყვარე გმირიც კი ვერ ინატრებდა უკეთესს თავის სამშობლოსათვის. უფრო საკვირველი იყო ის სისწრაფე, რომელშიც შეიქმნა ეს მდგომარეობა ორწელიწადნახევარზე ცოტა ხანში - 1799 წლის 9 ნოემბრიდან 1802 წლის 27 მარტამდე. საფრანგეთმა თავი დააღწია დამცირებულ მდგომარეობას, რომელშიც ის აღმოჩნდა დირექტორის მეშვეობით და დაიკავა ევროპაში პირველი ადგილი". შემდგომში ინგლისი კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩავარდა. აუსტერლიცთან ბრძოლაში ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებამ შეიწირა საფრანგეთის ყველაზე უფრო დაუძინებელი მტერი უილიამ პიტი უმცროსი. როდესაც 1806 წლის 23 იანვარს მას მოახსენეს აუსტერლიცის ბრძოლაში ნაპოლეონის გამარჯვება, მან ერთი

მწარედ ამოიოხრა და მეორე მხარეს გადაბრუნდა, შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ ევროპის რუქას და წინასწარმეტყველურად წარმოთქვა: "ჩამოხსენით ეს რუქა, იგი ინგლისს ათი წელი აღარ დასჭირდებაო" და სული განუტევა. მაგრამ უინსტონ ჩერჩილის თქმით "თავის ბრძოლებიდან ბრიტანეთი ყოველთვის იგებს ერთს გადამწყვეტს". ეს იყო ვატერლოოს ბრძოლა 1815 წლის 18 ივნისს.

"როგორც ნაპოლეონის დროს მაშინდელი ინგლისის მთავრობა დიდი კაცი იყო, ისე მისი უბედურების დროს მცირე სული შეიქმნა, როგორც ნაპოლეონის ბედნიერების დროს მაშინდელმა ინგლისის მთავრობამ საკუთარი ხასიათი გამოიჩინა, ისე მისი უბედურების დროს უხასიათო შეიქმნა" - დასძენს ალ. ორბელიანი.

ამის შემდეგ იგი წერს: "როგორც ნაპოლეონის ბედნიერების დროს ნაპოლეონის დათრგუნვა უნდოდა მაშინდელი ანგლიის მთავრობას და შეურიგებელი მტერი იყო, ისე მისი უბედურების დროს წყნარი მწუხარებით კლავდა ნაპოლეონს. პირველ ქცევას ანგლიის მთავრობისა ძლიერი პატივი ეკუთვნის და მეორეს სიმდაბლისა". მიუხედავად საფრანგეთისადმი აშკარა სიმპათიებისა ალ. ორბელიანის ეს მსჯელობა ძალზეახლოა სინამდვილესთან.

ამ მცირე მოცულობის საინტერესო წერილის დასასრული ნაპოლეონის აპოთეზად უნდა მივიჩნიოთ. "ნაპოლეონის ბედნიერების დროს ისტორიის მაღალი პირი შეიქმნა მაშინდელი ინგლისის მთავრობა და ნაპოლეონის უბედურების დროს ისტორიის ხარისხისულ დაკარგა და დასასრული რა იყოს? ნაპოლეონი უდიდეს და უსაყვარლეს ნაპოლეონად დარჩა! მაგრამ მაშინდელმა ინგლისის მთავრობამ სულ აღარაფერი სახელი დაიგდო". მართალია, ნაპოლეონი დამარცხდა, მაგრამ ალ. ორბელიანის შეხედულებით, ზნეობრივი გამარჯვება მის მხარეზე იყო, ამას კი ალ. ორბელიანის თვალში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნაპოლეონისადმი მისი სიმპათიების მიზეზიც სწორედ აქ უნდა ვეძიოთ.

ალ ორბელიანმა გააგრძელა ნ. ბარათაშვილის მიერ დაწყებული საქმე. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე ეს იყო საკითხის ორიგინალური ხედვა. იგი ბარათაშვილთან ერთად ევროპულ რომანტიკოსთა იმ რიგებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც განსაკუთრებით პატივს მიაგებდნენ ნაპოლეონს, რაც მათი მსოფლმხედველობის პროგრესულობის ერთ-ერთი საუკეთესო საბუთია.

ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალ, ორბელიანის სახით საქმე გვაქვს დასავლეთ ევროპის ისტორიის, კონკრეტულად კი ნაპოლეონის ეპოქის შესანიშნავ მცოდნესთან, რომლის ანალიტიკური აზროვნების უნარი კარგად გამოამჟღავნა არა მარტო მშობლიური ისტორიის გაშუქების დროს, არამედ ევროპის ისტორიის რთული პერიპეტიების შეფასების საქმეშიც.

მერაბ კალანდაძე

**მერაბ კალანდაძე**

# ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „წმინდა ვალი„
## იანის მილიადისი

მარათონის ბრძოლიდან ათი წელი გავიდა. სწორედ ათი წელი დასჭირდათ სპარსელებს, რათა ორ სამყაროს - აზიასა და ევროპას შორის ახალი ომის სამზადისი დაემთავრებინათ, სპარსელები ხმას ავრცელებდნენ, მხოლოდ ათენელებზე ვიძიებთ შურს. მაგრამ ყველას ესმოდა: თუ ისინი ევროპაში შეიჭრებოდნენ, დამონებას ვერავინ ასცდებოდა.

თითქოსდა მთელი აზია წამოვიდა ევროპისკენ.

ჯარი შვიდი დღე და ღამე გადადიოდა ჰელესპონტის ხიდზე, აზიიდან ევროპაში. მარტო ფეხოსანი მეომარი მილიონ შვიდასი ათასი იყო. სპარსელების, მიდიელების, ბაქტრიელებისა და არაბების ცხენოსნები რომ არ ჩაგეთვალათ.

უსაზღვროდ ბედნიერი და სასიხარულო იყო ქსერქსესათვის ის დღე, როცა მან ევროპაში გადასული მთელი თავისი ჯარი იხილა. ძალიან უნდოდა მეფეს მისი სიხარული რომელიმე უცხოელს გაეზიარებინა და სპარტის ლტოლვილი მეფე დემარეტე იხო და ჰკითხა, როცა შენი თვალით ნახე ჩემი სიძლიერე, მიპასუხე, გაბედავენ ელინები ჩემთან შერკინებასო.

- მეფეო! მითხარი, რა გირჩევნია, სიმართლე გითხრა თუ გასიამოვნო?

ქსერქსემ ფარისევლურად დაუმოწმა, რასაკვირველია, მხოლოდ სიმართლე მჭირდებაო. და მაშინ დემარეტემ თქვა:

- დაე, იცოდე, ქსერქსე, რომ სიღარიბე ისევე განუყრელად თანსდევს ელინებს, როგორც სიმამაცე. ის სიმამაცე, რომელიც სიბრძნით მოიპოვება და მკაცრი კანონების გამო იწრთობა. აი, სწორედ ეს სიმამაცე ეხმარება თავისუფლებისმოყვარე ელინებს სიღატაკესთან და ტირანიასთან ბრძოლაში. არ შეცდე და არ იფიქრო, რომ ელინები ვერ დაძლევენ შენს ძლევამოსილ ჯარს. მე სხვებზე არაფერს გეტყვი, მხოლოდ სპარტელებზე მოგახსენებ. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენნი არიან და როგორი სამხედრო ძალები აქვთ. თუნდაც ათასნი იყვნენ, ან კიდევ უფრო ნაკლებნი, ისინი შიშისა და ყოყმანის გარეშე შეგებმებიან.

- სისულელეს ლაპარაკობ, დემარეტე! როგორ შეერკინება ერთი ათასს? და როგორ შეუძლიათ ელინებს, რომელთაც, როგორც შენ ამბობ, ხელმწიფე არა ჰყავთ და თავისუფალნი არიან, შეებრძოლონ ჩემს მეომრებს, რომელთაც არა მარტო მბრძანებელი ჰყავთ, არამედ თავზე მათრახით ადგანან, რათა ბრძოლის ველი არ დასტოვონ?

- ელინებსაც ჰყავთ მბრძანებელი, რომელსაც პატივს სცემენ, თუმცა ადამიანი არ არის. ეს კანონია, რომელიც მათ მოუწოდებს ყოველთვის მამაცურად შეებან მტერს, ან გაიმარჯვონ, ან დაიხოცონ!..

ქსერქსეს ხარხარმა დემარეტეს სიტყვა გააწყვეტინა. თუმცა არც თუ ისე დიდხანს იცინა ქსერქსემ...

... სახუმარო საქმე როდია, ყველა ელინური ქალაქიდან ლაშქრის საჩქაროდ შეგროვება. სწორედ იმ დროს ქალაქ ოლიმპიაში ოლიმპიური თამაშები მიმდინარეობდა. ბევრი ელინური სახელმწიფოს ყურადღება იქითკენ იყო მიპყრობილი. გადაწყდა, თერმოპილეში ის გაეგზავნათ, ვინც უკვე მზად იყო ლაშქრობისათვის.

ლაშქრობის დაწყების წინ სპარსელებმა ღმერთებს რჩევა სთხოვეს და დელფოს სამისნოს პასუხიც მიიღეს. მეომრები წინასწარმეტყველის სასტიკ განაჩენს ისმენდნენ: "სპარტის მოქალაქენო! ან თქვენ ბრწყინვალე ქალაქს სპარსელები აღგვიან პირისაგან მიწისა, ან სპარტა თავად ჰერაკლეს შთამომავალ მეფეს დაიტირებს..."

მეფე ლეონიდე, რომელიც წინადღით დანიშნეს ელინთა სარდლად, ვაჟკაცურად შეხვდა წინასწარმეტყველებას. ე. ი. ან სპარტა დაინგრევა, რაც ღმერთებსაც არ სურთ, ან თავი უნდა გასწიროს მეფემ. ასეთია ბედისწერა...

ათასობით მეფე მოკვდა და დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა, მაგრამ ყველა იცნობს და ეთაყვანება ლეონიდას არა იმიტომ, რომ მეფე იყო,ლეონიდამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

როგორც იქნა, სპარტელები დაიძრნენ. სამასი მეომარი, დიახ, სულ სამასი მეომარი, მეფე ლეონიდას მეთაურობით.

პელეპონესის გავლისას, ლეონიდა თავის რაზმს უერთებდა იმათ, ვინც უკვე მზად იყო ლაშქრობისათვის, მაგრამ, როცა ელინებმა თერმოპილეს უწიეს, მათ რიგებში ასი ათასი მეომარიც არ იყო.

ამ ადგილებში მცხოვრები ლოკრები და ფოკეელები გამოეხმაურნენ ლეონიდესმ ოწოდებას. ეს ტომები ძალიან კარგად იბრძოდნენ და შესანიშნავად იცნობდნენ ამ მხარეს. მათი დახმარება მეტად საჭირო იყო. ლოკრებმა და ფოკეელებმა უთხრეს ლეონიდეს, რომ, გარდა თერმოპილეს გასასვლელისა, კიდევ ერთი საიდუმლო ბილიკი არსებობდა. ბილიკის ამბავი რამდენიმე იქაურმა მცხოვრებმა იცოდა. ლეონიდემ ფოკელების ათასიანი რაზმი გაგზავნა მთებში მის დასაცავად.

ქსერქსემ რომ გაიგო, სპარტელები ასე ცოტანი არიანო, გაოცდა: ნეტა, შლეგები არიან თუ უგუნურები? რისი იმედი აქვს ამ ერთ მუჭა ხალხსო?

ოთხი დღე ელოდნენ სპარსელები ელინთა უკანდახევას... მაგრამ ელინები ადგილიდან არ იძვროდნენ. სადამდე უნდა ეცადათ? მეხუთე დღეს, განრისხებულმა ქსერქსემ მიდიელებს სპარტელების შეპყრობა უბრძანა.

მიდიელები შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, სპარტელების ცოცხლად შეპყრობა კი არა, მათი უკუქცევა და გასასვლელის გათავისუფლებაც ვერ მოახერხეს. სივიწროვეში მრავალრიცხოვანი მიდიელები საბრძოლო რიგებად ვერ დაეწყვნენ. იძულებული გახდნენ, მტრისთვის ვიწრო, მჭიდრო კოლონით შეეტიათ. ელინები პირდაპირ მიზანში ურტყამდნენ. პირველ რიგებში მდგომი მიდიელები უსულოდ ეცემოდნენ. დაღუპულთა ადგილებს სხვები იკავებდნენ და სისხლისღვრა გრძელდებოდა.

სპარტელები გამოცდილი მებრძოლები იყვნენ და კარგად ესმოდათ, რომ ამ გამოუვალ სიტუაციაში მარტო სიმამაცე არ იკმარებდა. გამჭრიახობა და ხერხი იყო საჭირო. დიდ მანძილზე არ მისდევდნენ მოწინააღმდეგეს და ღია ადგილას არ გადიოდნენ. ქსერქსეს რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. ერთი მუჭა ელინების ურჩობა მეფეს შეურაცხყოფდა. მან გადაწყვიტა, რაც შეიძლება მალე დაემარცხებინა მტერი და ბრძოლაში "უკვდავები" ჩააბა. "უკვდავების" რიცხვი ათი ათასი იყო. ველური ყიჟინითა და შეძახილებით მიეჭრნენ ისინი სპარტელებს.მაგრამ მათი ცდაც ამაო გამოდგა. ხელსაყრელი განლაგება და კარგი წვრთნა ელინებს მსუბუქად ბრძოლის საშუალებას აძლევდა. მაგალითად, სპარტელები ერთბაშად წყვეტდნენ ბრძოლას და მტერს ზურგს აქცევდნენ. სპარსელებს ეგონათ, უკუვაქციეთო და უკან მისდევდნენ. ამ დროს ელინები ერთდროულად შემობრუნდებოდნენ და სპარსელებს ულმობლად ჩეხავდნენ.

"უკვდავთა" რიგები თხელდებოდა. მთის ფერდობებზე მომაკვდავთა გულისწამღები ყვირილი და კვნესა ისმოდა. როცა დედამიწა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თერმოპილესთან

წყვდიადმა დაფარა, თავზარდამცემი შიში გველივით შეცოცდა სპარსელთა გულებში. დატანჯულები, დასახიჩრებულები, ერთმანეთს ეტაკებოდნენ და ბრძოლის ველს ფართხა-ფურთხით სტოვებდნენ.

ლომს არ ეშინია გარეული მხეცისა და უშიშრად ებრძვის. მაგრამ ცბიერ, შხამიან გველს შეუძლია ლომის დაგესვლა. ასეთი საზიზღარი გველი, რომელმაც სპარტელ ლომს უკბინა, სპარსელთა ოქროს დახარბებული, ელინური წარმოშობის ერთი ადგილობრივი გლეხი აღმოჩნდა. მისი საძულველი, საუკუნეებით დაწყევლილი სახელი იყო ეპიალტე, რაც ბერძნულად "კოშმარს" ნიშნავს. ყველაზე საზარელ სიზმრებს ხომ კოშმარებს ვუწოდებთ. სწორედ ასეთი კოშმარი აღმოჩნდა ეპიალტე სპარტელებისა და მთელი ელადისათვის.

როცა ქსერქსე თავზარდაცემული იყო და არ იცოდა, რა ეღონა, მას ეპიალტე ეახლა და საიდუმლო ბილიკის არსებობა აუწყა. ამ ბილიკით სპარსელებს შეეძლოთ ზურგიდან შემოევლოთ ელინებისათვის და ხაფანგი დაეგოთ. ასე ექცევიან ძლიერ მხეცს, როცა მის დაჭერას ვერ ახერხებენ.

როცა მოულოდნელი ამბები შეიტყო, აზიელი მბრძანებლის პირქუშ სახეზე ბოროტმა ღიმილმა გადაირბინა. მეფემ ეპიალტე ბანაკში დატოვა და უბრძანა, სპარსელთა რაზმი ჩამობნელებისთანავე ბილიკისაკენ წაეყვანა.

სპარსელები მთელი ღამე მიდიოდნენ მთებში და მხოლოდ გათენებისას მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ფოკეელები იდგნენ. გარიჟრაჟის სიჩუმეში გუშაგებს მტრის მეომრების ფეხქვეშ აშრიალებული ხმა მოესმათ. ფოკეელები წამოცვივდნენ და იარაღს ეცნენ. სპარსელები დაიბნენ. მტერთან შეხვედრას არ ელოდნენ. ვაი, თუ სპარტელები არიან? მათ თავზარი დაეცათ. ეპიალტემ დაამშვიდა სპარსელები და აუხსნა, რომ ეს ფოკეელების რაზმი იყო. ფოკეელებმა ღალატი ვერ წარმოიდგინეს, იფიქრეს სპარსელები თავს დაგვესხნენო. ცოტანი იყვნენ და მთის მწვერვალისკენ დაიხიეს, რომ იქიდან შებრძოლებოდნენ მტერს. სპარსელებმა გვერდი აუქციეს. ფოკეელები არ აინტერესებდათ, მათ სპარტელები სჭირდებოდათ.

თერმოპილეზე ცისკარმა ინათა. პატივცემულიმოხუცი, სპარტელების წინასწარმეტყველი, მეგისტე აქარნელი მსხვერპლს სწირავდა მისნობდა. თანდათან იღუშებოდა მისანი. ნიშნები ცუდი იყო.

- დაე, იცოდე, ლეონიდე, - უთხრა მეგისტემ, - სპარტელები თუ აქ დარჩნენ, დამარცხება და სიკვდილი ელით!

ლეონიდემ ეს იცოდა, მას არ დავიწყებია პითიას წინასწარმეტყველება: ან ის, ან სპარტა. ლეონიდე შეუდრეკელი იყო. მას უფლება არა ჰქონდა, საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლო გაეწირა. სპარტა - უპირველეს ყოვლისა!

მალე სპარტელთა ბანაკში აქოშინებული შიკრიკნი მიიჭრნენ:

- დავიღუპეთ! გვიღალატეს! სპარტელები ბილიკით ეშვებიან. მალე აქ იქნებიან... ჩვენ ხაფანგში ვართ! ორივე მხრიდან დაგვესხმიან თავს! ურიცხვნი არიან... იმათი ისრები მზეს დაჩრდილავს...

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. უცებ ერთ-ერთი სპარტელის დამცინავი ხმა გაისმა:

- რა გაეწყობა, მით უკეთესი ჩვენთვის! დაე, სპარსელთა ისრებმა დაფარონ მზე. მაშინ ხომ ჩრდილში ვიბრძოლებთ!

ლეონიდეს მომავალი ბრძოლებისათვის რაც შეიძლება მეტი მეომრის გადარჩენა უნდოდა. ამიტომაც პელოპონესისა და სხვა მიწებიდან მოსულ ელინებს შინ დაბრუნება უბრძანა. თვითონ კი რაზმთან ერთად დარჩა, რაც შეიძლება მეტ ხანს, რომ შეეკავებინა სპარსელები. ქალაქ თესპიის მეომრები არ დაემორჩილნენ ლეონიდეს, თერმოპილედან ფეხი არ მოუცვლიათ, რათა სპარტელებთან ერთად დახოცილიყვნენ. არც წინასწარმეტყველმა მეგისტემ მიატოვა მეფე, თუმცა ყველაზეუკეთ იცოდა, რაც ელოდა...



ქსერქსე უცდიდა, როდის აიწევდა მზე შუბის ტარზე, რათა საიდუმლო ბილიკით წასულ რაზმს ელინთას ზურგში მოქცევა მოესწრო. როგორც იქნა, მან დაწყების ნიშანი მისცა. სპარტელებს კარგად ესმოდათ, რას ნიშნავდა ამ ხაფანგში ბრძოლა, მაგრამ მამაცნი და გამბედავნი ყოველთვის პოულობენ თავიანთ თავში ლაჩრებისა და უნებისყოფოებისათვის უცნობ ძალას...

ამჯერად სპარტელებმა სხვა ტაქტიკა გამოიყენეს - ხეობიდან გასვლა და სპარსელებთან შესასვლელში, ველზე დახვედრა გადაწყვიტეს. ლომებივით ეკვეთნენ მტერს. სპარსელები შიშისაგან გაქვავებულ ცხენებს ჰგავდნენ. მხედართმთავრები მათრახით სცემდნენ და ისე მიერეკებოდნენ წინ. ზოგიერთი მეომარი შიშისაგან ზღვაში ჩავარდა და იქ დაიღუპა. წაქცეულებს თავისიანებივე ქელავდნენ. მაგრამ ქსერქსეს სულ არ აწუხებდა დანაკარგი, იგი ნებისმიერ საფასურად წინსვლას მოითხოვდა.

როცა შუბები დაემსხვრათ, სპარტელებმა მახვილებით დაიწყეს სპარსელთაა ჩეხვა. გაჩაღებულ ბრძოლაში გმირულად დაეცა პირველ რიგში მებრძოლი მეფე ლეონიდე. სპარსელები გვამს მისცვივდნენ, მისი ხელში ჩაგდება ეწადათ, მაგრამ სპარტელებმა ცოცხალი ზღუდე შემოავლეს დაღუპულ მეფეს. ოთხჯერ მოიგერია სამასმა ელინმა სპარსელთა შეტევა.

ამასობაში ზურგიდან მოსულმა სპარსელებმაც მოუსწრეს. მაშინ სპარტელებმა ხეობისკენ დაიხიეს და გორაკზე გამაგრდნენ. დაჭრილი მხეცი ასე მიილტვის თავისი ბუნაგისაკენ. იარაღი თითქმის აღარ დარჩათ, მაგრამ სპარტელები ენით აუწერელი სიმამაცით იბრძოდნენ მახვილებით, უიარაღონი ხელჩართულ ბრძოლაზეც გადადიოდნენ. ბარბაროსებმა მათ ალყა შემოარტყეს და ისრები დაუშინეს.ათასობით ნატყორცნმა ისარმა მართლაც დაჩრდილა მზე, მაგრამ სპარტელებმა მაინც არ დათმეს. ყველა, სამასივე როგორც ერთი, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

მრავალი წლის შემდეგ, როცა სპარსელები ელადიდან გააძევეს, თერმოპილეს შესასვლელში ლომის მარმარილოს ქანდაკება აღმართეს. ქვაზე შემდეგი სიტყვები ამოტვიფრეს:

- მგზავრო, წადი სპარტაში და უთხარი ჩვენს მოქალაქეებს - წმინდა ვალის მოხდისას მიწად როგორ ვიქეცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯ

## შოთა რუსთაველის "პასპორტი"

ჯუმბერ ლეჟავამ თურქეთის საბაჟოს პოლიციელს რწმუნების სიგელი და პასპორტი მიაწოდა. პოლიციელმა დოკუმენტებს დახედა და იკითხა:

- აქ რომ ერთი პასპორტია?

- მეც ერთი ვიზა მინდა, - გაკვირვებით მიუგო ჯუმბერმა.

- შოთა რუსთაველის პასპორტი მომიტანეთ.

ველომოგზაურის რწმუნების სიგელი იწყება დევიზით: - "ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია" - შოთა რუსთაველი.

ჯუმბერი არ დაიბნა:

- იცით, რაშია საქმე? შოთა რუსთაველს პასპორტი არა აქვს, არც არასოდეს ექნება... მით უმეტეს საბჭოთა პასპორტი...

- როგორ თუ არა აქვს? - წარბი აჰიმა პოლიციელმა და მთარგმნელი გოგონა მოიხმო.

ერთხანს ითათბირეს, ბოლოს გოგონას გაეღიმა და ჯუმბერს უთხრა:

- გასაგებია, თქვენ ხართ შოთა რუსთაველი, ლეჟავა კი თქვენი ფსევდონიმია, არა?...

### კეთილი ბედუინები

ჯუმბერს ხშირად ღია ცის ქვეშ უხდებოდა ღამის გათევა. ერთხელ სინას უდაბნოში დაუღამდა. დილაუთენია თავს შაშხანიანი ბედუინი დაადგა. ჯუმბერს გაგონილი ჰქონდა, ამ მიდამოებში ბედუინები ხალხს იტაცებენო, თუ დროულად გამოსასყიდ თანხას არ მიუტანენ, ადგილზე ხოცავენო.

რა ექნა, ბედს დამორჩილდა და ბედუინს გაჰყვა.

სოფელში რომ მივიდნენ, ჯუმბერმა სცადა ხელებით აეხსნა "მასპინძლებისათვის", ვინ იყო, სად მიდიოდა, რომ ვერაფერი გააგებინა, იქვე დაემხო და მკლავებზე აზიდვა დაიწყო, ბარე 1000-ჯერ აიწია. ბედუინები გაკვირვებულები მისჩერებოდნენ. ბოლოს გადაიხარხარეს, სუფრა გაუშალეს, შემდეგ ველოსიპედიანად აქლემზე შესვეს და უგზო უდაბნოდან ტრასაზე გაიყვანეს.

### ფრონტის ხაზზე

იემენში ჯუმბერ ლეჟავას ფრონტის ხაზის გადაკვეთა მოუხდა. სამხედროებმა ურჩიეს: უკან გაბრუნდი, სხვა გზით წადიო, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა: ჩემი მიზანია მშვიდობა, მეგობრობა და სიყვარული, თქვენ თუ ერთმანეთში ვერ მორიგებულხართ, რა ჩემი ბრალიაო?.. თეთრი დროშა დააძრო.

სამხედროებმა მოწინააღმდეგე რაციით გადასცეს: ესა და ეს კაცი მოდის და დროებით სროლა შეწყვიტეთო.

სროლა შეწყდა, ჯუმბერმა დროშა აღმართა და გზა გააგრძელა.

მეორე მხარეს მხიარულად შეეგებნენ, საველე კარავში შეიყვანეს, დააპურეს, გააცილეს, შემდეგ ისევ განაგრძეს სროლა...

**P. S. სიმბოლურია. ამ შემთხვევიდან ორ კვირაში იემენი გაერთიანდა.**

### შორია სინგაპურამდე

ინდოეთში ჯუმბერს სპონსორებმა 700 დოლარი გაუგზავნეს და შეუთვალეს, ეს თანხა სინგაპურამდე უნდა იკმაროო.

ჯუმბერმა შეიცხადა: ინდოეთს წრე უნდა შემოვუარო, მალდივში გადავიდე, იქიდან შრი-ლანკაში, მერე ზევით ნეპალისაკენ, შემდეგ ბუტანი და ბანგლადეში, ინდოჩინეთის ქვეყნები... სინგაპურამდე ოცი ათასამდე კილომეტრია გასავლელი, ეს ფული კი ბომბეიმდეც არ მეყოფაო!

რუსეთ-ინდოეთის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილემ ნიკოლოზ თოფჩიევმა დაამშვიდა: ნუ გეშინია, მე დაგეხმარებიო, და მოლარე ქალს გასძახა: - ნინა პეტროვნა, რა ღირს ბილეთი სინგაპურამდე?

- 730 დოლარი, - მიუგო ქალმა.

ბატონმა ნიკოლოზმა ჯუმბერს ხელი გადახვია და ღიმილით უთხრა: 700 ხომ გაქვს, ოცდაათსაც მე დაგიმატებ და თუ გინდა სინგაპურში დღესვე გადაგაფრენო...

### სახალისო სანაძლეო

პანაჯის (დას. ინდოეთი) ნავსადგურში პორტუგალიელი მეზღვაური იატაკიდან აზიდვაში ვარჯიშობდა.

- რამდენჯერ შეგიძლია აიზიდო? - ჰკითხა ჯუმბერმა.

- ორმოცჯერ! - ამაყად მიუგო მეზღვაურმა.

- მე ორმოცდაერთჯერ შემიძლია.

ას დოლარზე დანიძლავდნენ. წამსვე ხალხი მოგროვდა. პორტუგალიელი 43-ჯერ აიწია. მეგობრები წინასწარ გამარჯვებას ულოცავდნენ. ჯუმბერი, ვითომ რის ვაი-ვაგლახით 44-ჯერ აიწია და დავარდა... ატყდა ერთი ამბავი. ანგარიში შეგვეშალა, გაიმეორეო!... ჯუმბერი შედეგის გაუქმებაზე უარს ამბობდა, რომ არ მოეშვნენ - კი ბატონოო... დაიწყო და... ხუთასამდე აიზიდა...

- რას მიყურებთ, გინდათ სანაძლეო, ოღონდ ათას დოლარზე, შემიძლია 24 საათის განმავლობაში ავიზიდო... გინესის წიგნის დიპლომი დააძრო, - თუ არ გჯერათ, დახედეთ, 45 ათასჯერ შემიძლიაო...

ხახაგამშრალი მისჩერებოდნენ.

### თუ სპილო არ გყავს, ცოლს ვერ მოიყვან...

მალდივის კუნძულზე ჯუმბერი ერთ გლეხს შეშის დატვირთვაში წაეხმარა. გლეხმა სახლში დაპატიჟა. ჩემი ცოლები და შვილები უნდა გაგაცნო, ამ რამდენიმე დღის წინ ახალი ცოლი მოვიყვანე, ძვირი დამიჯდა, სპილოში გავცვალეო.

ჯუმბერი მალიან დაინტერესდა სპილოში გაცვლილი ცოლის ნახვით და სტუმრობაზე სიამოვნებით დათანხმდა.

მაჰალას (ასე ერქვა მასპინძელს) მართლაც და ლამაზი გოგონა მოუყვანია მეოთხე ცოლად.

ცოლებმა ჯუმბერს სუფრა გაუშალეს, ბავშვებმა ხელ-პირი და ფეხები დაბანეს.

ქალებს ყველაფერი აინტერესებდათ, ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა მამაკაცს ერთი ცოლის მეტი არ ჰყოლოდა, მით უმეტეს უცოლო?... ერთ-ერთმა

**ქართველი**

საკუთარი დაც კი შესთავაზა, აქვე მეზობელ კუნძულზე ცხოვრობსო.

- მე რომ სპილო არა მყავს? გამატანენ დიჰევლები ქალს? - იკითხა მოგზაურმა...

### თავზეხელაღებული "დუდუ"

ნეპალში, ქალაქ ბარდიბასის მახლობლად სისხამ დილით ჯუმბერს მარტორქა გამოენთო. მოგზაურმა თავს ხეზე ასვლით უშველა. მარტორქა მანამდე იჯდა ხის ძირას, სანამ სპილოებზე ამხედრებული გლეხები არ გამოჩნდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ იკადრა გაქცევა. სასაცილო სანახავი იყო, როგორ მიჩანჩალებდა და ღრუშუნებდა, გლეხები კეტებით მისდევდნენ, სპილოები კიოდნენ.

-მოიცათ! არ მოკლათ ჩემი დუდუ! - აყვირდა ჯუმბერი, - იგი ჩემი მეგობარია! მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია! უბრალოდ, ხის ძირას იჯდა და მდარაჯობდა!

### ბენგალელთა მიტინგზე

დაკაში ჯუმბერს მასპინძლობა კვლავ რუსეთის საელჩომ გაუწია. კარგად დააბინავეს და მეთვალყურედ ბანგლადეშელი სალმანი დაუყენეს. უთხრეს: ეს დღეები საელჩოდან ფეხი არსად გაადგა, რადგან ქალაქში არეულობაა მოსალოდნელი, თუ

მთავრობა მომიტინგეების მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, კაციშვილმა არ იცის, რა მოხდება.

ჯუმბერი ფანჯარასთან დგას და მომიტინგეებს ათვალიერებს, ბოლოს მობეზრდა, სიტყვა გატეხა და ქუჩაში გავიდა. ერთ-ერთ სტუდენტთა ნაკადს შეუერთდა.

ხალხი ცენტრალური მოედნისაკენ მიემართებოდა. ყველას ხელში ჩირაღდანი ეჭირა. ჩირაღდანი ჯუმბერსაც დააჭერინეს. იძახიან რაღაც სიტყვებს, ჯუმბერიც ხმას აყოლებს.

- ჯუმბერ! - ანაზდად უკნიდან ნაცნობი ხმა მოესმა.

მობრუნდა. მის წინ სალმანი იდგა და უკმაყოფილოდ აქნევდა თავს.

- ეჰ, სალმან, სალმან! როგორია მთელი დღე ოთახში ჯდომა... მე აქ მიტინგზე გამოსვლას კი არ ვაპირებ... ა, ბატონო! - ჩირაღდანი მიაწოდა და სადღოსაკენ მოქუსლა.

# კურიოზები...

## იანგონის აეროპორტში

ბირმაში (მიანმა) ჩასული ნებისმიერი უცხოელი ვალდებულია ამერიკული დოლარები ადგილობრივ დოლარებზე გადაახურდაოს, რადგან ადგილობრივ დოლარებს ფასი არა აქვს. ჯუმბერმა სცადა უსიამოვნო პროცედურა თავიდან აეცილებინა. საბაჟოს გვერდით დაიწყო ველოსიპედის რემონტი.

- აბა, ჩქარა! გზა გაანთავისუფლე! - უყვირის პოლიციელი.

ჯუმბერს ვითომ არ ესმის, ველოსიპედს თვალი მოხსნა და პოლიციელს დააჭერინა, თან უთხრა, მეორე პოლიციელს დაუძახე, სატერფულისა და ჯაჭვის დამაგრებაში მომეხმარონო. თითქმის ნახევარი საათი აწვალა პოლიციელები. ბოლოს თავის ველოსიპედიანად მაინც მიიყვანეს სალაროსთან.

- მეც თქვენნაირი საწყალი ქვეყნის შვილი ვარ, ქართული და ბირმული ასოები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თქვენთან ომია, ჩვენთანაც ომია, ჩვენ მეგობრები ვართ... - იმდენი ქნა, რომ დახურდავება თავიდან აიცილა.

## "რუსულ აბანოში"

რუსეთის კონსულმა მალაიზიაში კუზნეცოვმა ჯუმბერისთვის მხოლოდ აბაზანა გაიმეტა: სხვა გზა არ არის, ღამე აქ უნდა გაათიოო... ეს არის თქვენი დამოუკიდებლობა, ეს როგორ მოუვიდათ ქართველებს, ერთ კაცს, მით უმეტეს ჩემპიონს, ვერ გიპატრონებსო?

საკონსულოს თანამშრომელმა ქალმა ჯუმბერს უთხრა: არაყი რომ მიგეტანა, განსაკუთრებით თქვენი ჭაჭა უყვარს, ოთახს იმწამსვე გამოგიძებნიდაო. - საიდან მივიტანო ჭაჭა, სამი წელია საქართველოდან წამოსული ვარ, - შეწუხდა ჯუმბერი და ბედს დამორჩილდა, - გარეთ ღამის გათევას, ისევ აქ სჯობსო.

დილით კონსულმა აბაზანაში თავი შემოყო.

- როგორ გეძინა, ჯუმბერ, კარგად?

- ამაზე დიდი მადლობა, ამხანაგო კონსულო, ჩამოვლენ ჩემი სპონსორები, ყველაფერი რიგზე იქნება.

კონსულმა ღიმილით მიუგო: - შენ რომ სპონსორი გყავდეს, აბაზანაში კი არ გაათევდი ღამესო.

## ღამე გერმანელ ბიზნესმენთან

ეს ამბავიც დასავლეთ ავსტრალიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში მოხდა. ჯუმბერი ადგილობრივი ფერმერის სასტუმროში ათევდა ღამეს. მის გარდა ოთახში ერთი გერმანელი ცხოვრობდა. გერმანელი ძალიან შეწუხებული იყო, რადგან ვერ შეძლო ადგილობრივ ბიზნესმენებთან ხელსაყრელი საბუთების გაფორმება. მთელი ღამე არ ეძინა. ბარე ოცჯერ გავიდა გარეთ სიგარეტის მოსაწევად. ყოველ სიგარეტს თითო ბოთლ ლუდს აყოლებდა.

დილით, როცა ჯუმბერი ფარდას ასწორებდა, კარნიზი ჩამოვარდა და გერმანელს თავზე დაეცა. გერმანელი აყვირდა.

- რა გაღრიალებს, ძალით კი არ ჩამომიგდია! - დაუყვირა ჯუმბერმაც.

- სტალინი ხარ! სტალინი! - კედლისკენ მიბრუნდა და თავი საბნის ქვეშ შეყო.

- კი ბატონო, ოღონდ შენ ნუ ინერვიულებ და ვიქნები სტალინი, - ღიმილით ჩაილაპარაკა ჯუმბერმა.

## ოჰ, ეს ვიზა!

ქალაქ პერტში მატერიალურად ძლიერ შეჭირვებული ჯუმბერი ინგლისელთა ოჯახმა შეიკედლა. ჰოულთერებმა მას საყვავილეში დააწყებინეს მუშაობა. ჯუმბერი გასამრჯელოზე უარს ამბობდა, რადგან საყვავილე ოჯახის სიძეს ეკუთვნოდა: თქვენ ჩემთვის ისედაც ბევრი გააკეთეთო... საღამოობით ნავსადგურში დადიოდა, ტომრებსა და ყუთებს ეზიდებოდა. ნავსადგურის მენეჯერმა 120 დოლარი გადაუხადა.

ჯუმბერი არჩევანის წინაშე დადგა: ამ თანხით ან გზა უნდა გაეგრძელებინა ან ახალი ზელანდიის ვიზა აეღო. ბევრი იფიქრა, ბოლოს გზის გაგრძელება აირჩია: ჩემი სპონსორები რომ ჩამოვლენ მელბურნში, ვიზებსაც ამიღებენ და ოლიმპიურ სტადიონზე რეკორდის დამყარებაშიც დამეხმარებიანო...

სახლში დაბრუნებისას სასიხარულო ამბავი დახვედრეს: შენმა სპონსორებმა ფაქსი გამოგიგზავნეს, ხვალვე, ალბათ, ბანკში გაიქცევიო.

ფაქსში ეწერა: - ჩვენო ჯუმბერ, თუ ვიზებს გამოგვიგზავნი, შეიძლება ჩამოვიდეთო.

## "ლაზიკას" ქართველ სტუმარს იმედი გაუცრუვდა

სიდნეის ქუჩებში სეირნობისას ჯუმბერმა ნაცნობ აბრას მოჰკრა თვალი: "ლაზიკა?!" - გაუხარდა, თან გაუკვირდა, - ნეტავ ვინ არიან, აქ რა უნდათ ლაზებსო?

სალავაშეში შავგვრემანი ულვაშა კაცები მუშაობდნენ.

- ლაზები ხართ? - იკითხა ჯუმბერმა.

- არა, არა ვართ ლაზები.

- მაშინ რატომ ჰქვია თქვენს სალავაშეს ლაზიკა? ლაზები და მეგრელები ერთ ენაზე საუბრობენ, სინი, როგორც მეგრელები, ქართველები არიან.

- ლაზებს ვიცით, ქართველებიც ვიცით, მეგრელებზე კი წარმოდგენა არა გვაქვს, ჩვენ ქურთები ვართო.

- ვერაფერი გავიგე, მაშინ რატომ აწერია ლაზიკა, - გაუკვირდა ჯუმბერს, - დაგეწერათ ქურთიკა?!

## დელტაპლანით გასეირნება

ახალ კალედონიაში ჯუმბერმა ფრანგი დელტაპლანელი, მსოფლიო ჩემპიონი ჟაკ ალ ლაინი გაიცნო.

- ჯუმბერ, გინდა დელტაპლანით კალედონიას შემოუფრინო. ხომ არ გეშინია?

- მე არაფრის მეშინია, დღესვე მზად ვარ!

მართვის სისტემაში მალე გაერკვა. მალე ჰაერში აიჭრა.

ქართული სიმღერაც შემოსძახა.

- ეჰეჰეიიი! მოგესალმებათ ჯუმბერ ლეჟავა! მოგზაური საქართველოდან!.. რას იფიქრებდა ჩემი გეოგრაფიის მასწავლებელი, უპატიოსნესი ადამიანი, დარიკო მეტრეველი, მის ნათელ სულს ვენაცვალე!.. რომ მისი წარჩინებული მოსწავლე დელტაპლანით კალედონიის კუნძულს შემოუფრენდა?!



ლალი გორდაძე

# ვეტერანი

შემოქმედებითი მოღვაწეობის გრძელი გზა განვლო მან. ქართული დოკუმენტური კინოს სათავეებიდან მოყოლებული ექვს ათეულ წელზე მეტი იძიებდა და ქმნიდა ქართული დოკუმენტური კინოს შთამბეჭდავ მატიანეს.

საქართველოს მწერალთა კავშირის საგზურით 1926 წელს მოვიდა სახკინომრეწვში. ქართული კინემატოგრაფიის დაწყებით პერიოდს უკავშირდება მისი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები. იგი უხმოდ, უპრეტენზიოდ, მაგრამ საიმედოდ ეწეოდა დიდ სამამულო საქმეს, იმკვიდრებდა თავის ღირსეულ ადგილს.

შალვა ჩაგუნავამ ლენინგრადის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, სადაც მისი მომავლის გზის გამკვალავი მასწავლებლები, დოკუმენტური კინოს გამოჩენილი დიდოსტატები ლევ კულიშევი და სერგეი ეიზენშტეინი იყვნენ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიდი ინტერესით ჩაება ქართული დოკუმენტური კინოს შექმნისა და განვითარების საქმეში. მისი შემოქმედებითი თემატიკა იმთავითვე ყურადღებას იპყრობდა პროფესიონალის ხედვით, მრავალფეროვნებითა და სიღრმით. მან მხატვრული ალღოთი, მაღალი ოსტატობით ასახა ქართველი ხალხის ცხოვრება. ალექსანდრე წუწუნავამ და კოტე მარჯანიშვილმა აზიარა იგი კინოხელოვნებას.

მაყურებელმა შეიყვარა პროფესიონალი ოსტატობით გადაღებული მისი ფილმები: "შოთა რუსთაველი", "ნიკოლოზ ბარათაშვილი", "ილია ჭავჭავაძე", "აკაკი წერეთელი", "ლერმონტოვი საქართველოში"" "გიორგი ლეონიძე", "ნიკო კეცხოველი", "მირზა გელოვანი", "ბორჯომის ხეობა", "აფხაზეთი აყვავებული მხარეა", ",მზიური აჭარა", "რიონის ხეობა" და ამით ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მეტად საინტერესო კინემატოგრაფიული პორტრეტები შექმნა.

1956 წელს ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე შალვა ჩაგუნავას დოკუმენტურმა ფილმმა "ალაზნის ველი" საპატიო დიპლომი დაიმსახურა. საზღვარგარეთის პრესამ მაღალი შეფასება მისცა ამ ფილმს.

"ძვირფასო შალვა თადეოზის ძევ, ვაშა! ჩვენი "ლერმონტოვი საქართველოში" დამთავრდა. მიიწურა 1964 წელიც, როდესაც ჩვენ ერთად ვმოგზაურობდით, ვშრომობდით, განვიცდიდით, ვხარობდით. დაე, 1965 წელი იყოს უკეთესი". თქვენი ირაკლი ანდრონიკოვი.

ფილმის სცენარის ავტორმა და მთხრობელმა ირაკლი ანდრონიკოვმა ასეთი წარწერა გაუკეთა თავის წიგნს "ლერმონტოვს", რომელიც ფილმზე "ლერმონტოვი საქართველოში" მუშაობის დასრულების შემდეგ რეჟისორს უსახსოვრა.

65 წელი თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში იმოღვაწა. გადაღებული მასალების თადარიგი, შერჩევა, მონტაჟი, ეს მისი ყოველდღიური სისხლ-ხორცეული საქმე გახლდათ, სიცოცხლის მომნიჭებელი საინტერესო ცხოვრება.

საოცრად შეუყვარდა სინქრონიულ ჩანაწერებზე მუშაობა. წლები გავლენ და საინტერესო პიროვნებათა საუბრები უნიკალურ მასალად დარჩებაო, - ამბობდა იგი.

ამას წინათ ლია სოხაძე გაზეთ "ქართულ ფილმში" წერდა: "არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ის კინოდოკუმენტალისტები, რომლებიც ზოგჯერ სიცოცხლის ფასად ქმნიდნენ კინომატიანეს. თავისთავად ცოცხალი გალაკტიონის ნახვა ეკრანზე თავად მოგეხსენებათ, რას ნიშნავს და თუ იგი სინქრონითაა ჩაწერილი, მაშინ სრულქმნილი დოკუმენტია.

- მახსენდება ბატონ შალვა ჩაგუნავას მიერ 1938 წელს გადაღებული ხუთნაწილიანი ფილმი "შოთა რუსთაველი", რომელიც "ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავს მიეძღვნა. ეს ფილმი სინქრონითაა დახუნძლული. პავლე ინგოროყვა, იოსებ გრიშაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, ცაცა ამირეჯიბი, დავით ცხაკაია, მიკოლა ბაჟანი, ნიკოლოზ ტიხონოვი, სამედ ვურღუნი, ნაირა ზარიანი, ილია სელვინსკი, ყაზახეთის სახალხო პოეტი ჯამბული და სხვები. და ეს ყველაფერი ერთ ფილმშია თავმოყრილი.

-ანდა როგორ არ მოვიხსენიოთ ბატონი შალვა ჩაგუნავა დიდი ივანე ჯავახიშვილის სინქრონული გადაღებისათვის 1937 წელს, თუნდაც ბორის პასტერნაკის აღბეჭდვისათვის, რომელიც კითხუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობს თავისივე თარგმანს - ბარათაშვილის "ცისაფერს", ბარათაშვილის საიუბილეო დღეებში 1945 წელს".

შალვა ჩაგუნავას ფილმების სიუჟეტური ქარგა მარტო ფაქტობრივ მასალაზე არ იყო აგებული. იგი მისი გმირების ცხოვრებას პოეტური ფერადოვნებით ასახავდა. დიდი რეჟისორული გააზრებით ქმნიდა დაუვიწყარ სახეებს. ფეხით შემოიარა მთელი საქართველო. რეპორტაჟები შექმნა სვანეთზე, ხევსურეთზე, მთა-თუშეთზე, აფხაზეთზე, აჭარაზე.

იგი ორასზე მეტი დოკუმენტური ფილმისა, ხუთასამდე კინოჟურნალისა და კინოალმანახის ავტორია, ათეული წლების მანძილზე ქმნიდა ქართულ დოკუმენტურ კინომატიანეს, მიღწეულით როდი კმაყოფილდებოდა. მუდამ ძიებაში იყო.

დიდი სამამულო ომის დროს კინორეჟისორი ყირიმის, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების მოქმედ არმიებში გადამღებ ჯგუფებს ხელმძღვანელობდა. მან ფირზე აღბეჭდა და გერმანელ ფაშისტებთან გმირული ბრძოლის არაერთი ფილმი შექმნა: "ფაშისტ მხეცთა ნაკვალევზე", "გენერალ ჩანჩიბაძის გვარდიელები", "სტალინგრადის ეპოპეა", "არ დაიდარდო დედაო", "კავკასიის დამცველები".

# მემორიალი





ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავზე მიძღვნილ კინომატოგრაფისტთა საკავშირო პლენუმზე მოსკოვში, რომელზეც მოხსენებებით გამოვიდნენ ცნობილი კინოდოკუმენტალისტები რომან კარმენი და ვლადიმერ გოლოვნია, ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საფრონტო ჯგუფის ხელმძღვანელმა, კინორეჟისორმა შალვა ჩაგუნავამ.

შალვა ჩაგუნავას ბოლო ნამუშევარი - "ხევსურეთი - მითის გაცოცხლება" იყო. ფილმი მწერალ კობა არაბულის სცენარით შალვამ ვაჟიშვილთან, რეჟისორ მერაბ ჩაგუნავასთან ერთად გადაიღო. მამა-შვილმა მეტყველ, შთამბეჭდავ ორიგინალურ ფორმაში გადმოსცეს ხევსურთა ის დაუოკებელი სული, რაც მათ საუკუნეების მანძილზე გამოატარეს. "ვინ დაადუმა ეს სამყარო და ვინ წაართვა ბალახი და მცენარე მიწას, სიცოცხლე და სიხარული ერს, რომელიც აქ ცხოვრობდა, ნადირობდა, ხნავდა, თესავდა, ათენეგენობდა. ვინ დაადუმა მითისა და ფოლკლორის სამყარო "...კაცის სიკვდილი წესია, მაგრამ სოფლის სიკვდილი? ეჰ, ღმერთო, ღმერთო! მე არ ვიცი, რომელია ჩემი სოფელი და სადაური ვარ - ამბობს ხევსური". არ შეიძლება სოფლის სიკვდილი. მშობლიური მიწა, ნასახლარები უხმობს მთის შვილთ დაბრუნებას. ასეთია ფილმის ლაიტმოტივი.

შალვა ჩაგუნავამ ბოლო წლებში შექმნა შემოქმედებითი გაერთიანება "ჩანჩქერი", რომელიც სახვალიო გეგმებს სახავდა. რეჟისორს ჩაფიქრებული ჰქონდა შეექმნა ფილმების ციკლი "საქართველოს მთიანეთი". გატაცებით მუშაობდა თავისი რაიონის - ხონის გადასაღებ მასალაზე.

ცხოვრების ძნელბედობისას, სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს შემოქმედებითი მიზანსწრაფვით, სადადგმო საქმიანობაში ისევ ახალ-ახალი ჩანაფიქრის განხორციელებაში დახმარებასა და მხარდაჭერას ელოდა, და ამ მოლოდინში ჩუმად, უხმაუროდ დატოვა წუთისოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რანუ რანუნ' აინა

მამუკა ცეცხლაძე

(გაგრძელება) * და საწყისი იხ. "დროშა" #7-9, #10-12, 1996 წ. #1-2, 5, 1997 წ.

ზეპირი ცივილიზაციის ხალხია-მეთქი მალაგასები, ზემოთ რომ მოგახსენეთ სხვათა სიტყვებით, არ არის ეს მთლად მართალი. მადაგასკარზე ძველთაგანვე არსებობდა ხალხური გადმოცემებისა და მეფეთა ცხოვრების არაბული ასოებით მალაგასურ ენაზე ჩაწერის ტრადიცია. "სურაბე", ანუ ასომთავრული ერქვა, ამ ანბანსა და ამ ტექსტებს. უძველესი მათ შორის, თუ არ ვცდები, მეთერთმეტე საუკუნით თარიღდება. ანტაიმურუს ტომის ხალხი, არაბი მუსულმანების პირდაპირი შთამომავალი, ინახავდა და თაობიდან თაობას გადასცემდა ამ ტრადიციას, იმერინები შედარებით გვიან დაინტერესდნენ ამ ამბით. ოცამდე ბავშვს შეასწავლიდნენ ხოლმე ყოველ თაობაში ამ ასოებს და აი, იმ ოც-ოცი ბავშვის ნახელავია ეს ტექსტები. ძალიან ბევრ, უაღრესად საყურადღებო ცნობას შეიცავს ჩვენი ისტორიკოსებისათვის, ფოლკლორისტებისათვის, ეთნოგრაფებისათვის და, რაც მთავარია, ჩვენი რუსთველოლოგებისათვის. ინგლისელებს, ფრანგებს, ნორვეგიელებს, სხვებსაც, საკმაოდ კარგად აქვთ შესწავლილი ეს ტქსტები, მაგრამ ჩვენები, უნდა ვიფიქროთ, რომ უწინარეს ყოვლისა იმას დაინახავენ, რომ თავად იციან სხვებზე უკეთ.

თანამედროვე მალაგასური ანბანი კი - "აბიდი" - 1823 წელს არის შემოღებული, ლათინურის საფუძველზეა შექმნილი და მოიცავს ოცდაორ ასონიშანს:ა, ბ, დ, ე, ფ, გ, ჰ,ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, რ, ს, ტ, ვ, ი, ზ. აქედან ორი ასონიშანი - ი და ეგრეთწოდებული ბერძნული ი, იგრეკი, ერთსა და იმავე ბგერას - ი - გამოხატავს. ც ბგერა გამოიხატება ლათინური "ტს" კომპლექსით. "დრ" და "ტრ" სხვადასხვანაირად გამოითქმის დიალექტების მიხედვით და კვალობაზე და ზოგჯერ ქართულ "ჩრ-სა" და "ჭრ-ს" უახლოვდება. ო ბგერა შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არის მალაგასურში, ყველგან, სადაც ო სწერია ლათინურად, უ უნდა წავიკითხოთ, არც უ ასონიშანი აქვთ. ამიტომ მე ქართული ტრანსკრიპციით ყველგან უ-ს ვხმარობ. გამონაკლისია ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მალაგასური ო ქართულ წოდებითის ო-ს უახლოვდება და ო-დ გამოითქმის ისევე, როგორც იწერება ""ტუმპუკუ-ო", მაგალითად, ნიშნავს "ბატონი-ო". აქ ყველგან ო სწერია, მაგრამ ო-დ მარტო ეს, ჩემს მიერ ცალკე გამოწერილი ო გამოითქმის.მალაგასები ამ ო-ს ფრანგულად მეტყველების დროსაც კი ვერ ელევიან - "მონ პერ", მაგალითად, ფრანგულად "მამაოს" ნიშნავს, მალაგასი რომ მიმართავს ფრანგ, ან რომელიმე ფრანგულად მეტყველ კათოლიკე მისიონერს - "მონ პერ-ო" - აუცილებლად ასე ეტყვის. თანაც ეს ო ამ შემთხვევაში ყოველთვის დაგრძელებულია და სიყვარულის, მოწიწების, პატივისცემის უეჭველ ნიუანსსაც შეიცავს. არასოდეს დამავიწყდება, ბეცმისერაკების ერთ სოფელში (ტომის სახელია - მრავალნი, განუყოფელნი, ასე ითარგმნება ეს სახელი) მე დავესწარი ერთი პოეტი-ჯამბაზის გამოსვლას. გაჭიმულ თოკზე შიშველი ფეხით გადიოდა ეს კაცი და იქიდან უკითხავდა მის მიერვე გალექსილ მადაგასკარის ისტორიას თავის თანამემამულეებს. აი, ამ კაცის ფსევდონიმი იყო კიდევ ო - ონორე ო. ო-ს მსგავსად გამოითქმის აგრეთვე დიფთონგი "აუ" - "ვაუ-ვაუ" მაგალითად, ახალ ამბავს ნიშნავს, ჩვეულებრივ ლაპარაკში "ვოვო" ისმის მეტწილად, მაგრამ იგივე "აუ"სიტყვის ბოლოს მეორე პირის ნაცვალსახელია, მახვილი ა-ზე მოუდის და ყოველთვის აუ-დ გამოითქმის. ხმოვანი, მახვილი თუ არ ეცემა, ყველა ყრუა მალაგასურში, მარტო ე გამოითქმის ყველა შემთხვევაში მკაფიოდ...

მახვილს საერთოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მალაგასურში, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ მაინცდამაინც საგრძნობია და გამოთქმის სიმკვეთრით ქართულს ბევრით არ აღემატება - "ტანანა", მაგალითად, სოფელია, როცა მახვილი პირველ ა-ზე მოუდის და ხელი, როცა - მეორეზე. შეუჩვეველი ყურისათვის ცოტა არ იყოს ძნელი დასაჯერიც კია ეს განსხვავება.

საინტერესოა ბგერათა მონაცვლეობა: "ნ-ბ" გადადის "მბ-ში" და "მ-ში", "ნ-ფ" - "მპ-ში" და "მ-ში", "ნ-პ" - აგრეთვე "მპ-ში" და "მ-ში", "ნ-ვ" - "მბ-ში" და "მ-ში", "ნ-ჰ" - "ნგ-ში" და ასე შემდეგ. ფ-ს ენაცვლება პ,, ჰ-ს - კ, ლ-ს - დ, რ-ს - დრ, ს-ს - ც, ვ-ს - ბ, ზ-ს - ძ და სხვა.

ფუძე სიტყვები ორ კატეგორიად იყოფიან: პირველადი და მეორადი ფუძეები. მეორადია უკვე პრეფიქსშერწყმული ფუძე, რომელიც მთლიანი სახით თავად დაირთავს სხვა პრეფიქსს. ხშირად პირველადი და მეორადი ფუძეები ორივე სახეზეა და მათი მეშვეობით სულ სხვადასხვა შინაარსის სიტყვები იწარმოება, ხშირად კი პირველადი ფუძე საერთოდ დაკარგულია, და დაკარგულია, ესე იგი, ამ მეორადი ფუძის ამოსავალი მნიშვნელობაც. მალაგასურისათვის საერთოდ დამახასი-ათებელია პრეფიქსებისა და სუფიქსების სიმრავლე. ზოგიერთი მათგანი, ფორმითაც და შინაარსითაც, ქართულ პრეფიქსებსა და სუფიქსებს უახლოვდება.

მალაგასურს არ გააჩნია არც სქესი და არც რიცხვი. დრო სამია: წარსული, აწმყო და მომავალი. აწმყო დრო იწარმოება მ-თი, წარსული - ნ-თი და ტ-თი, მომავალი - ჰუ-თი სიტყვის წინ და ჰ-თი, რომელიც სიტყვას თავში ერწყმის ისევე, როგორც მ, ნ და ტ აწმყოსი და წარსული დროების საწარმოებლად. ცხადია, ეს ყოველთვის არ არის საკმარისი და ამიტომ იშველიებენ დამხმარე სიტყვებს - "მერე", "უკვე" და ასე შემდეგ. "ტე" სიტყვის თავში სურვილს აღნიშნავს და ენაცვლება სიტყვას "ნდომა", წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვისაგან "ტია", რაც სიყვარულს ნიშნავს. წინადადების წყობას ამგვარია - პასიური, რელატიური და აქტიური, უფრო საყოველთაოა პასიური. ჩემი ეს ლინგვისტური დახასიათება მალაგასური ენისა მეცნიერული თვალსაზრისით, ალბათ, არავითარ შემთხვევაში არ არის სანდო, მაგრამ, როგორც შევიძელი, ისე აგიხსენით ის, რაც და როგორც ვიცი და ნუ დამძრახავთ ამის გამო. ახლა უშუალოდ სიტყვანს მივხედოთ.

აბი - ყველა; მიდრეკილება აქვს, გამოხატოს მრავლობითი რიცხვის ფუნქცია, რაც მალაგასურს საერთოდ არ გააჩნია. "ანდრიანა აბი", მაგალითად, ნიშნავს - "ყველა კეთილშობილი", ანუ "კეთილშობილ-ები". "მანაკური აბი" ნიშნავს - - "როგორ ხარ ყველა". გამოთქმა კუთხურია და მალაგასურად ისევე არასწორად ჟღერს დაახლოებით, როგორც ქართულად - "გამარჯობათ", "ნახვამდისთ" და ასე შემდეგ. სწორი ფორმა იქნება - "აკური იანაუ" - "როგორ ხარ შენ" და - "აკური იანარეუ" - "როგორ ხარ (თ-ს გარეშე, რა თქმა უნდა) თქვენ". "აბი" - (ყველა) - ამ შემთხვევაში ქართული მრავლობითის "თ-ს" ფუნქციას ასრულებს. შეადარეთ ქართული "ებიანი" მრავლობითი და აგრეთვე "ობა" - "ახალგაზრდ-ობა", მაგალითად. შეადარეთ აგრეთვე რუსული "ობა", "ობე", "ობა-დვა" და სხვა. სხვა ენების მონაცემებიც შეადარეთ...

აინა - სიცოცხლე, ცხოვრება. მალაგასურში არის ასეთი სუფიქსები: ანა, ენა, ინა, ფანა, სინა, ზანა, ზინა, ვანა. ეს სუფიქსები ყველა ამ "აინადან" არის წამომდგარი, მიმღეობას აწარმოებენ და ამიტომ იმ სიტყვებს, რომელთაც ეს სუფიქსები დაერთვის, სუფიქსიან მიმღეობებს უწოდებენ. ამ სუფიქსების შინაარსი ზოგადად მსგავსობისა და განკუთვნილობის გამომხატველია და ამავე დროს შეიცავს მოფერებითობის ნიუანსსაც. უცნაურად აქ მე ის მეჩვენება, რომ დაახლოებით იგივე ფორმისა და შინაარსის სუფიქსი გვქონია ქართულშიც. ქალბატონი ქეთევან ლომთათიძე, მაგალითად, თავის შრომაში - "ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის ია სუფიქსის საკითხი ქართულში" - ასეთ სისტემას წარმოაჩენს: "ბიძია, ბიძინა - ბიძაინა", "მამია - მამინა - მამაინა" ("მამაილა" და "დედაილა", ესე იგი) - და დაასკვნის, რომ აღნიშნულ ნა წარმოებათა იგივეობის გამოვლენა იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ განხილული ია სუფიქსიანი წარმოება (თავისი ნაირსახეობებითურთ) არსებითად კნინობითობის შინაარსის მქონე არ უნდა ყოფილიყო. იგი ამოსავალში მსგავსობის, განკუთვნილობის ფუნქციის გამომხატველი გამოდის". ენათმეცნიერები ამის უფლებას არ მოგვცემენ ალბათ,მაგრამ ქართულ სუფიქსსაც თუ იმ მალაგასური სიტყვის - "აინა" - (ანუ სიცოცხლე დედის, ან მამის, ან თუნდაც ბიძის (დედაილა, ან მამაილა, ან ბიძაილა), ანუ ბავშვი, რომელიც დედას, ან მამას, ან ბიძას ჩამოგავს და ამ თვალსაზრისით მისი სიცოცხლეა და მის სიცოცხლეს აგრძელებს) - გავიაზრებთ, რომელიც ზემოთაღნიშნული მალაგასური სუფიქსების ამოსავლად არის ნავარაუდევი, მაშინ გამოვა, რომ ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა



სუფიქსიც ერთდროულად არის მსგავსობისა და კნინობითობის, ანუ მოფერებითობის გამომხატველი და ყველა შემთხვევაში აუცილებლად - განკუთვნილობითი ისევე, როგორც მალაგასური.

ცალკე მინდა შევჩერდე კიდევ ერთ მალაგასურ სუფიქსზე, რომლის გენეტიკური კავშირიც ამავე. "აინასთან", ჩემი აზრით, სრულიად აშკარაა. ეს სუფიქსია - "ნი". "ნი" მალაგასურში განიხილება, როგორც განუსაზღვრელი არტიკლი, გაურკვეველი რიცხვითი მნიშვნელობის ნაცვალსახელი და სუფიქსი, რომელიც აგრეთვე ყოვლად კატეგორიულად შეიცავს მსგავსობის, განკუთვნილობისა და მოფერებითობის ნიუანსებსაც. "აბის" გარდა აი, სწორედ ეს "ნი" იჩენს კიდევ მალაგასურში მრავლობითი რიცხვის ფუნქციის გამოხატვისაკენ მიდრეკილებას. ნარიანი მრავლობითის გარდა, ეს "ნი" ქართული ნარიანი საწყისის "ნ-საც" ძალიან წააგავს და ამავე დროს ძალაუნებურად დაგაფიქრებს ადამიანს იმ "იან", "აან", "ინ" და "ია" სუფიქსებზე, რომელთა მრავლობითობა და კრებითობა სრულიად თვალსაჩინოა ქართულის გარდა აგრეთვე სომხურ და რუსულ გვარის სახელებში. ქართული გვარის სახელია, მაგალიდად - "ფალიანი", სომხურისა - "ფალიან", რუსულისა - "ფალინ". მალაგასებს საერთოდ არა აქვთ გვარის სახელები იმ გაგებით, რა გაგებითაც ჩვენ გვესმის ეს, მაგრამ ეს "ფალი" მალაგასურად კმაყოფილს ნიშნავს, განზოგადოებას თუ მოვინდომებთ ამ სიტყვისას და რომელიმე ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის ამ ნიშნით გამოყოფას - "ფალინი" - ასე უნდა ვთქვათ მალაგასურად და "კმაყოფილი", ან "კმაყოფილნიო", ეს გამოგვივა ნათქვამი; "კმაყოფილთაგანიო", ასეც შეიძლება ვიგულისხმოთ. არ უნდა იყოს ეს მთლად უბრალო დამთხვევა.

ქართული ენის კავშირის საკითხი ინდოევროპული ენების დიდ ოჯახთან, თუ არ ვცდები, ცოტა არ იყოს, სხვაგვარად განიხილება ამ ბოლო დროს გამყრელიძე-ივანოვის ფუნდამენტური ნაშრომის შუქზე და ამ ზღაპრის დედააზრიც შეიძლება სწორედ ამსიბრტყეზე მოინიშნებოდეს.

ა

ალიკა - ძაღლი. ენათმეცნიერები "ლეკვს" ჭანურ "ლაკს" უკავშირებენ და ძირძველ ქართველურ სიტყვებად მიაჩნიათ ორივე, იგივეა ეს "ალიკაც".

ანგალი - ხუშტური. მიანგალი - ხუშტურიანი, ახირებული. ითქმის სიმღერაზე და ბავშვზე, აგრეთვე სახუმარო სიმღერების შემსრულებელზე. მალაგასურში ეს "ანგალი" აშკარად მეორადი ფუძეა, გამოიყოფა პრეფიქსი "ან", ხოლო პირველადი ფუძის - "გალი" - მნიშვნელობა დღესდღეობით გაურკვეველია. შეადარეთ: ანგალი და ანგლობა, გალი და გალობა.

არი - იგივეა, რაც ქართული "არი", ანუ ის, რაც არის, რაც არსებობს.

არი-არი - რაც არის, არისო, ჩვენ რომ ვიტყვით, ამას ნიშნავს ეს მალაგასურადაც.

ჰარი-(საწყისი "ჰ" მომავალი დროის აღმნიშვნელია) - ის არის, რაც ანი უნდა იყოს, მოსავალს ნიშნავს. მიჰარი კი ყოველივე ამით გამდიდრებას ნინავს, დოვლათით ავსებას. ამისი იმპერატივია - მიჰარია. ჰარი-ჰარი - ამ სიმდიდრის (მოსავლის) გამოფენას, სააშკარაოზე, სამზეოზე გამოტანას ნიშნავს. გზაზე გამოფენას თუ ვიტყვით, არსენასავით "გზებზე სუფრის გადაფენას", მაგალითად, ასე უნდა ვთქვათ - ჰარი-ჰარი-ლალუ, ან, რედუბლიკაციის გარეშეც შეიძლება, - ჰარუ-ლალუ.

ავი - ავი სენი (მალარია, მაგალითად). მანავი - ამ სიავით შეპყრობილი ადამიანი, ანუ ავადმყოფი. მეორე მნიშვნელობა ამ "ავისა" გახლავთ "მოსვლა". ჰუ ავი - ის, რაც, ან ვინც უნდა მოვიდეს, ანუ აგრეთვე "მოსავალი". შეადარეთ - "ხვავი". შეადარეთ აგრეთვე - "ნიავი", ნი ავი - უკვე მოსულს ნიშნავს, იმას, რაც, ან ვინც უკვე მოვიდა.

ბ

ბაუ, იგივეა ვაუ - ახალი, სიახლე. მეორე მნიშვნელობაა ამ სიტყვისა - რუფიის ტოტი. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ასეა ეს სიტყვა განმარტებული: 1. მცირე ჩრდილი. 2. ჩვილი. იოანე ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო ლექსიკონში "ბაიას" ერთ-ერთ მნიშვნელობად მოტანილია "დანაკის რტონი". ქგლ-ს თანახმად კი "ბაო" მოლს ნიშნავს, ანუ ახალ ბალახს. თანამედროვე ქართულშიც "ბაია" ჩვილს ნიშნავს და ამავე დროს საკუთარი სახელიც არის. არის ასეთი საკუთარი სახელი მადაგასკარზეც - "ბაუ", ახალს ნიშნავს, რა თქმა უნდა, ამოსავალში; არის "ბაუცარაც" - ახალი და კარგიო, ეს გამოდის.

ბე - ბევრი, ანუ "ბე-ური". მალაგასები ამ "ბე-ს" "ცაკასაც" უმატებენ, "ბეცაკა" აგრეთვე ბევრს ნიშნავს მალაგასურში, ქართულად კი "ური" ემატება, როგორც ჩანს, და ფუძეში ორივე შემთხვევაში გვრჩება "ბე". შეადარეთ ისევ და ისევ რუსული "ობა-დვა" და ქართული "ბე-ორი". ბევრი მეორენაირად "მარუ" იქნება კიდევ მალაგასურად - "მრავალი" უნდა შევადაროთ ალბათ, ამ "მარუს" და კიდევ უფრო საინტერესო გახდება მაშინ ეს ამბავი.

ბირა - ხიბლი, ჯადო. შეადარეთ ქართული "გადაბირება" და "უბირი". ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში "ბირებას" ერთ-ერთ მნიშვნელობად, აგრეთვე სწორედ "ხიბლია" მოტანილი.

დ

დადა - მამა. დადაბე - დიდი მამა, ანუ ბაბუა.

დაკა და დაკადაკა - წიხლი და წიხლების რტყმა. თამაშია ერთგვარი, ბავშვები ერთიმეორეს აპანღურებენ.

დია - პირველი მნიშვნელობაა "ძალიან", მეორე - "და" კავშირი ისევე, როგორც ქართულში.

ე

ეძა - ეშხი, სილამაზე, აღნაგობა. მიეძა - ეშხიანი, ლამაზი, აღნაგი.

მეძავავი - ეშხიანი, ლამაზი, აღნაგი ქალი, ანუ "მეძავი". "ბოზიც" ლამაზს ნიშნავდა ოდესღაც ქართულში, "ბუზი", ანუ იგივე "ჰუზი", გოგოს ნიშნავს მალაგასურად.

ფ

ფადი - ტაბუ. "მიეფადილაო" - გურიაში გამიგონია ეს სიტყვა - გამორჩენის მიზნით მოფერებას ნიშნავს, პატივისცემის, სიყვარულის სიმულაციას.

გ

გასი - მალაგასი. მალაგასები თავიანთ თავს თვითონ უბრალოდ გასებს უწოდებენ, ამ "მალას" გარეშე. კასი და კასი-კასი - მედიდური, ზერელე კაცი, გარეგნულად მხარეს რომ ანიჭებს უპირატესობას. აკასი - ის, რითიც თავი მოსწონთ. კასილაჰი - თავმოყვარე, თავდაჭერილი, კარგად ჩაცმული კაცი.

კაცუ და კაცუ-კაცუ - კვიმატი, მახვილი, ავყია, შუღლის ჩამომგდები კაცი.

კაცულაჰი - ეშმაკი, მოხერხებული კაცი (ამგვარივე მნიშვნელობით იხმარება, სხვათაშორის, სიტყვა "ვაზაჰაც", რაც საერთოდ უცხოელს, კერძოდ თეთრკანიან უცხოელს, ანუ ევროპელს ნიშნავს„. კაძი - ყურადღება, სიფხიზლე, თვალყურის დევნება, დაცვა და ყოველივე ამის აღმსრულებელი კაცი, ანუ "ქაჯი". სიტყვის "კაცი" (მამაკაცი) მალაგასური შესატყვისია საერთოდ "ლაჰი", ეს "გასი", "კასი", "კაცუ", "კაძი" და სხვა რომელიღაც კონკრეტულ კაცებს უნდა გულისხმობდეს. დაახლოებით იმას ჰგავს ეს - "ინჟინერი კაციაო", "ექიმი კაციაო", "გლეხი კაციაო" და ასე შემდეგ, ქართულად რომ ვიტყვით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქეთრინ მენსფილდი



# ექვსი პენსი

ბავშვები ძნელად ამოსაცნობი პატარა არსებანი არიან. რატომ არის, რომ დიკი, ჩვეულებრივ ასეთი წყნარი და წესიერი, მგრძნობიარე, მოსიყვარულე, დამჯერე და თავისი ასაკისათვის საოცრად გონიერი ცუგრუმელა პატარა ბიჭი, როგორც დიკის დები ამბობენ ხოლმე, ზოგჯერ ისეთ გუნებაზე დგება, რომ სრულიად უმიზეზოდ, უეცრად, მოულოდნელად "აიწყვიტავს" და ამ დროს მისი დაშოშმინება არავის არ შეუძლია.

- დიკი მოდი აქ! სერ ახლავე მობრძანდი აქ! დედა გეძახის, გესმის? დიკი!

მაგრამ დიკი ამას აინუნშიაც არ აგდებს და მოსვლას არც აპირებს. მშვენივრად ესმის, რომ ეძახიან. პასუხად მისი წკრიალა ხმა გაისმის. დიკი მხიარულად იცინის, ბიჭი თავს გაქცევით შველის. იმალება, მერე მხუილით დაჭქრის გაუთიბავ ბალახში, მდელოზე, თავქუდმოგლეჯილი ჩაუქროლებს შეშის ფარდულს, მერე ბოსტნისაკენ გაინავარდებს და იქ ფუსფუსებს. სულ რაღაც ოინებს იგონებს, ხავსით დაფარულ ვაშლის ხეებს ამოფარებული იჭყიტება და დედამისს იქედან უთვალთვალებს, თანაც ზევით-ქვევით ხტუნვა-ხტუნვით დაჯირითობს ნამდვილი ველური ინდიელივით.

ეს ამბავი ჩაის სმის დროს მოხდა, როცა დიკის დედა და მისის სპირსი სასტუმრო ოთახში იყვნენ კერვით გართულნი. ბავშვები მაგიდასთან წყნარად და თავაზიანად ისხდნენ და კარაქიან პურს შეექცეოდნენ. მოსამსახურე გოგომ ის-ის იყო რძიანი ჩაი ლამბაქებში ჩამოასხა, რომ დიკიმ მოულოდნელად პურის თეფში ამოაყირავა, თავზე ჩამოიფხატა, დანას ხელი სტაცა და მთელი ხმით იყვირა: აბა შემომხედეთ!

შეცბუნებული დები დიკის გაოცებულნი შეცქეროდნენ და სანამ მოსამსახურე რაიმეს მოასწრებდა, თეფში შეტორტმანდა, დიკის თავიდან ჩამოცურდა, იატაკზე გასრიალდა და ნამსხვრევებად იქცა. გოგონები ერთად აწივლდნენ:

- "დედა, მოდი ნახე, დიკიმ რა ჩაიდინა!"

- "დედა, დიკიმ დიდი თეფში გატეხა!"

- "დედა, მოდი რა, დიკი გააჩერე!"

დედამისი გულგახეთქილი მაშინვე შემოვარდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. დიკი სკამიდან ჩამოხტა, კარს ხმაურით დაეჯახა და ვერანდაზე გავარდა. დედა კი უმწეოდ იდგა და სათითეს აწვალებდა. ანდა, რა უნდა ექნა? რომც დადევნებოდა, ვერ დაიჭერდა. ვაშლის და ღოღნოშოს ხეებში ხომ ვერ ჩაუსაფრდებოდა და თავის თავს უფრო სასაცილო მდგომარეობაში ხომ არ ჩაიგდებდა. არადა, ეს ყველაფერი უბრალოდ გულსატკენი კი არა, უკვე აუტანელი იყო. დიკის დედა მოთმინებიდან იყო გამოსული. განსაკუთრებით იმიტომ, რომ სასტუმრო ოთახში მისის სპირსი ელოდებოდა, სწორედ ის მისის სპირსი, რომელსაც გამორჩეულად ზრდილობიანი, სამაგალითო ბიჭები ჰყავდა.

- "ასე არა? დიკი, იცოდე, შენ ეს არ შეგრჩება!"

- "სულ არ მენაღვლება," - პასუხად ისევ დიკის მხიარული კისკისი გაისმა.

ბიჭმა მართლაც აიწყვიტა...

- "ოჰ, მისის სპირს, მაპატიეთ, გეთაყვა, ამდენ ხანს მარტო რომ დაგტოვეთ".

- "რას ბრძანებთ, მისის ბენდოლ," - ჩაიდუდუნა მისის სპირსმა რბილი, დათაფლული ხმით და მისთვის დამახასიათებელი მანერით წარბები აწკიპა. ხელით ტანსაცმლის ნაოჭები ჩაასწორა და თან თავისთვის ილიმებოდა: "ასეთი უმნიშვნელო წვრილმანები ყოველთვის ხდება. იმედია, სერიოზული არაფერი მომხდარა".

- "ოჰ, ისევ დიკი ანცობს, - თქვა მისის ბენდოლმა და თან უმწეოდ მოათვალიერა იქაურობა. თავის ერთადერთ წმინდა ნემსს ეძებდა. აღელვებულმა მისის სპირსს ყველაფერი უამბო: "ყველაზე აუტანელი, მისის სპირს, ის არის, რომ როცა ასე გიჟდება, არ ვიცი მასთან რა გავაწყო. ბიჭზე არაფერი არ მოქმედებს, ყველაფერი ამაოა".

მისის სპირსმა თავისი უფერული თვალები ფართოდ გაალო და იკითხა, - "არც გაწკეპვლა შველის?"

მისის ბენდოლმა ნემსში ძაფი გაუყარა და ტუჩები მაგრად მოკუმა. "ბავშვებს ჩვენ არ ვწკეპლავთ. გოგონები ამას არასოდეს არ იმსახურებენ, დიკი კი ჯერ მთლად ერთი ციდაა, თანაც ეს ერთადერთი ბიჭი გვყავს და რატომღაც..."

- "ოჰ, ჩემო კარგო," - თქვა მისის სპირსმა და საკერავი გვერდზე გადადო. "აბა დიკის უსაქციელობა

სულაც არაა გასაკვირი. ხომ არ გწყინთ, ამას რომ გეუბნებით? ერთი კი ნამდვილად ვიცი, ძალიან დიდ შეცდომას უშვებთ, ბავშვებს დაუსჯელად რომ ზრდით. გაწკეპლვას არაფერი შეედრება. მათთვის ეს პირდაპირ წამალია. ჩემო კარგო, ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნებით. ლმობიერი საშუალებებიც ვცადე", - სტვენით შეისუნთქა ჰაერი მისის სპირსმა. - "საპონიც კი წავუსვი ენაზე, აი ყვითელი სარეცხის საპონი რომაა, ისეთი. შაბათ საღამოობით მაგიდაზეც ვაყენებდი, მაგრამ დამიჯერეთ,ჩემო კარგო, არაფერი, არაფერი არ მოქმედებს მათზე ისე ეფექტურად, როგორც მამის ხელი!"

მისის ბენდოლი "სარეცხის საპონმა" შეაძრწუნა, მაგრამ მისის სპირსი ისე თავდაჯერებული იყო და ამას ისე გულგრილად ყვებოდა, რომ მისის ბენდოლმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც მისთვის იყო რაიმე გასაკვირი.

- "მათი მამა? ესე იგი, ბავშვებს თქვენ თვითონ არასოდეს არ ცემთ?"

- "არასოდეს", - მისის სპირსს აშკარად შეეტყო, რომ ამის გაფიქრებაც კი ზარავდა. "არა მგონია ბავშვების ცემა-ტყეპა დედის საქმე იყოს. ეს მამის მოვალეობაა და გარდა ამისა, ხომ იცით მამებს ყოველთვის უფრო დიდი გავლენა აქვთ შვილებზე".

- "დიახ, ჰო როგორც ჩანს ასეა," - ძლივს გასაგონად წარმოთქვა მისის ბენდოლმა.

- "ახლა ორივე ჩემი ბიჭი", - გულთბილი და დამაიმედებელი ღიმილით შეაცქერდა მისისსპირსი დიკის დედას, - "შიში რომ არ ჰქონდეთ, ზუსტად ისევე მოიქცეოდნენ, როგორც დიკი მოიქცა, მაგრამ რადგან ეშინიათ..."

- "ოჰ, თქვენი ბიჭები, პირდაპირ სამაგალითო ბავშვები არიან!" - წამოიძახა მისის ბენდოლმა.

ბიჭები მართლაც სამაგალითონი იყვნენ. ძნელად თუ იპოვიდით, უფრო წყნარ და კარგად აღზრდილ პატარა ბიჭებს. მისის სპირსის სტუმრებს არა ერთხელ უთქვამთ, რომ სპირსების სახლში დასადგურებული სიჩუმე დაგაეჭვებდათ, რომ იქ ბავშვები ცხოვრობდნენ. ეს მართლაც ასე იყო.

ჰოლში დიდი სურათი ეკიდა. ამ სურათზე მსუქანი მღვდლები მდინარის პირას ანკესმომარჯვებულნი ჩამომსხდარიყვნენ და თევზაობდნენ.ამ სურათის ზემოთ სქელი, შავი ცხენის მათრახი ეკიდა. მათრახი მისტერ სპირსის მამის საკუთრება იყო. რაღაც მიზეზის გამო ბიჭები ამ მათრახს ყოველთვის თვალს არიდებდნენ და აქ დიდი ხნით არასოდეს არ ჩერდებოდნენ. უმეტესად ერჩიათ ძაღლის სადგომის უკან, იარაღის საწყობში ან ნაგვის ყუთთან ახლოს ეთამაშათ.

- "დიდი შეცდომაა ბავშვის თავის ნებაზე მიშვება, მით უმეტეს, როცა პატარები არიან. გული არ უნდა აგიჩუყდეთ", - ქსუტუნით შეისუნთქა ჰაერი მისის სპირსმა და საკერავი დაკეცა. - "ეს ისეთი საშიში, სანანებელი, თან ისე ადვილად დასაშვები შეცდომაა.. ერთი რამ კიდევ არ უნდა დაგვავიწყდეს. ეს, ბავშვის, მიმართ ძალიან უსამართლო საქციელია. მე ვფიქრობ, დიკის დღევანდელი ოინები შემთხვევითი არ ყოფილა. ბიჭი ასე განგებ მოიქცა. უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ "გატყეპვა სჭირდება".

- "თქვენ ნამდვილად ასე ფიქრობთ?" - მისის ბენდოლი თვინიერი, სუსტი არსება იყო და მისის სპირსის სიტყვებმა იგი უცბად დათრგუნა.

- "რა თქმა უნდა. მე ამაში ეჭვიც არ მეპარება. მამამისის მკაცრი და დროული ჩარევა, თქვენ, მომავალში ბევრ უსიამოვნებას აგაცილებთ", - ხმამაღლა პროფესიული ტონით წარმოთქვა მისის სპირსმა. - "დამიჯერეთ, ჩემო კარგო" - მისის სპირსმა თავის მშრალი, ცივი ხელი მისის ბენდოლს ხელზე დაადო.

- "ედუარდი როგორც კი მოვა, დაველაპარაკები", - თქვა დიკის დედამ გადამწყვეტი ტონით.

ბავშვებმა უფრო ადრე დაიძინეს, ვიდრე ბაღის ჭიშკარი გაიჯახუნებდა და დიკის მამა ბარბაცით ამოვიდოდა ბეტონის კიბის გასრიალებულ საფეხურებზე, თან ხელით ველოსიპედს მოაგორებდა.ოფისში ის დღე უიღბლო გამოდგა. მისტერ ბენდოლი სახლში დასიცხული. დამტვერილი და დაღლილი დაბრუნდა.

ამ დროისათვის ბავშვების ახლებურად აღზრდის მეთოდმა მთლად დაიპყრო მისის ბენდოლის წარმოსახვა. კარები ქმარს მან გაუღო:

- "ოჰ, ედუარდ, როგორ მიხარია, რომ როგორც იქნა მოხვედი".

- "რა იყო, მოხდა რამე? - ედუარდმა ველოსიპედი დააყენა და შლიაპა მოიხადა. შლიაპისაგან გაწითლებული ზოლი მტკივნეულად ემჩნეოდა შუბლზე.

- "მოდი, მოდი, სასტუმრო ოთახში შემოდი", - სწრაფად ალაპარაკდა მისის ბენდოლი. - "მე არ შემიძლია იმის თქმა, დღეს რა საზიზღრად იქცეოდა დიკი. შენ წარმოდგენა არა გაქვს ან საიდან უნდა იცოდე, მაგ ასაკის ბავშვი ზოგჯერ როგორ გიჟდება ხოლმე. მთელი დღე კანტორაში ზიხარ. დღეს კი პირდაპირ აუტანელი იყო. ბავშვს უკვე სრულებით ველარ ვიმორჩილებ. ედუარდ, ყველაფერი ვცადე, მაგრამ სულ ამაოდ. ერთადერთი საშუალებაღა დარჩა, - სუნთქვა შეეკრა მისის ბენდოლს, - გაწკეპვლა. შენ უნდა გაწკეპლო დიკი, ედუარდ".

სასტუმროოთახის კუთხეში ეტაჟერი იდგა. ზედა თაროზე ყავისფერი, ჩინური ფაიფურის დათვი წამოსკუპებულიყო. პატარა წითელი ენა და კბილები ისე დაეკრიჭა, თითქოს დიკის მამას ნიშნისმოგებით ეუბნებოდა: "ყოჩაღ, ამისათვის სახლში მოსვლა ნამდვილად ღირდა".

- "ეშმაკმა დალახვროს, ერთი მითხარი, რატომ უნდა გავწკეპლო, - თქვა ედუარდმა და დათვს შეაცქერდა. - ამდენ ხანს ხომ არასოდეს დაგვისჯია".

- "იმიტომ, რომ მეტი გამოსავალი არა გვაქვს. ედუარდ, ბავშვს ველარ ვიმორჩილებ..." სიტყვები შეუწყვეტლივ მოფრინავდნენ ქალის ბაგეთაგან, ისინი ზუზუნით ტრიალებდნენ კაცის გარშემო, მტკივნეულად ეხლებოდნენ მის ისედაც დაღლილ თავს. - "შენც კარგად იცი, ძიძას ვერ ავიყვანთ. მოსამსახურე კი თავის საქმეს ძლივს უვლის. სიტყვები არ მყოფნის იმის აღსაწერად, ბიჭის თავხედობამ ყველა საზღვარს როგორ გადააბიჯა. შენ არ გესმის, არც შეგიძლია გაიგო, ედუარდ, მთელ დღეს ოფისში ატარებ".

დათვი ენას უყოფდა. გაბრაზებული ხმა ისევ გაუთავებლად ზუზუნებდა. ძალაგამოცლილი ედუარდი სავარძელში ჩაეშვა.

- "რითი უნდა გავლახო?" - მისუსტებული ხმით იკითხა.

- "შენი ჩუსტით, რა თქმა უნდა", - უპასუხა ცოლმა. ქალმა ჩაიჩოქა და ქმრის დამტვერილი ფეხსაცმელების ზონრების გახსნა დაიწყო.

- "ოჰ, ედუარდ, - ამოიკვნესა მან, - შარვლის დასამაგრებელი სარჭები ისევ არ მოგიხსნია, არ ვიცი პირდაპირ..."

- "კარგი ჰო, მორჩი," - ედუარდმა ცოლი ლამის ხელის კვრით მოიშორა. "ის დაწყევლილი ჩუსტი მომეცი". ედუარდი მაღლა ავიდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ხაფანგში იყო გამომწყვდეული. ისეთ ხასიათზე დადგა, ახლა მართლა მოუნდა დიკი დაესაჯა. "წყალსაც წაუღია ყველაფერი, ოჰ, როგორ უნდა ჯავრი ვილაცაზე იყაროს. ღმერთო, ეს რა ცხოვრებაა!" სიცხისაგან ჩაწითლებულ, დამტვერილ თვალებს ძლივს ახელდა, დაღლილობისაგან ხელებს ველარც გრძნობდა.

დიკის ვიწრო ოთახის კარი ხელის კვრით შეაღო. დიკი პერანგის ამარა ოთახის შუაგულში იდგა. ბიჭის დანახვაზე ედუარდი ისე განერვიულდა, საკუთარი გულის ცემას გრძნობდა.

- "დიკი, იცი რატომ მოვედი?" - ჰკითხა ბავშვს.

ბიჭს ხმა არ ამოუღია.

- "მოვედი, რომ კარგად მიგბერტყო!"

არავითარი პასუხი.

- "აბა, ერთი, ღამის პერანგი აიწიე".

დიკიმ თავი ასწია და მამამისს შეხედა. ბიჭი სახეზე წამოწითლდა.

- "პერანგი ავიწიო?" - ჩურჩულით შეუბრუნა კითხვა მამამისს.

- "ჰო, აბა, სწრაფად გაინძერი!" - თქვა ედუარდმა, ჩუსტი ხელში ჩაბღუჯა და მთელი ძალით ბიჭს სამჯერ დაარტყა.

- "ესეც შენ, აი ახლა გეცოდინება, დედას როგორ უნდა მოექცე".

დიკი უხმოდ იდგა თავჩაქინდრული.

- "ჭკვიანად იყავი, მეორედ არ გაბედო. წადი ახლა და დაწექი", - უბრძანა ედუარდმა.

დიკი არ განძრეულა, მხოლოდ გაბზარული ხმით თქვა: "ჯერ კბილები არ გამიხეხიან მამიკო".

- "რაო, რა თქვი?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლუდმილა გურჩენკო:

# მე არ ვაბამ რომანს მსახიობებთან და რეჟისორებთან




... გურჩენკო ხალათში ჩაცმული შემეგება. სპექტაკლი გვიან დამთავრდა და მეც ადრიანად დავადექი თავზე. მე და მისმა მეუღლემ, სერგეიმ, სამზარეულოში მოვიკალათეთ ყავის დასალევად. ქალურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია,მალულად თვალი შევავლე - ნეტავ როგორია უბერებელი გურჩენკო გრიმის გარეშე?

გამაოცა გადატკეცილმა, უნაოჭო სახემ, ყოველგვარი ნაიარევის გარეშე, რომლებიც მას ხალხის მიერ ნავარაუდევი პლასტიკური ოპერაციების შედეგად უნდა დარჩენოდა. იგი მომხიბვლელი, ჭკვიანი, მკაცრი და დილიდანვე ენერგიით აღსავსე მოსაუბრე გამოდგა.

ეს-ეს არის სომერსეტ მოემის მიხედვით შექმნილ ახალ სპექტაკლში "მიუწვდომელი" გურჩენკომ შეასრულა გმირის როლი, რომელმაც ომი გამოუცხადა ასაკს, გარემოებებს და მამაკაცთა ინტელიგენტურ ღალატს.

ესე იგი წარმოაჩინა ის, რასაც თვითონ ლუდმილა მარკოვნა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აკეთებს. იგი ხომ იოლად ვერაფერს აღწევს.

ჯერ კიდევ ორი თვის წინ თვით ექიმებიც ვერ იფიქრებდნენ, რომ ლუდმილა გურჩენკო სიკვდილს დაამარცხებდა.

**კორესპ:** - ლუდმილა მარკოვნა, რა დაგემართათ ორი თვის წინ?

**ლ. გრუჩენკო:** - ყველაფერი უცებ მოხდა. ჩვენ ვიმყოფებოდით რიგაში გასტროლებზე, მიმდინარეობდა სპექტაკლი "ბრძოლის ველი". მე თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. იმ დღეს, როდესაც ჩემს მეუღლესთან ერთად ვსადილობდი, უცებ ამაცახცახა. სიცხე გავიზომე, 38 მქონდა, მეორე დილით უკვე - 39 , სიცხის დამწევმა წამლებმა არ მიშველა. მაინც გამოვედი სცენაზე. თურმე ანტრაქტის დროს ჩემთან შემოსულან რაიმონდ პაულსი, ლაიმა ვაიკულე. არაფერი მახსოვს. სპექტაკლის შემდეგ სასწრაფო დახმარებით წამიყვანეს საავადმყოფოში.

როგორც იმ ქვეყნიდან მობრუნებული, ისე გამოვედი საავადმყოფოდან: ხელ-ფეხი მიკანკალებდა, ქარი მაქანავებდა... 10 კგ. მქონდა დაკლებული, ხოლო 5 დღის შემდეგ უკვე მიღებდნენ ფილმში "სიმღერები მთვარეზე". გრიმიორი შეძრწუნებული მიყურებს: თვალები ისე საშინლად მაქვს ჩაწითლებული, რომ გრიმს ვერ წამისვამს, წამწამებს ვერ მიმაწებებს...

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ სპექტაკლის რეპეტიციაზე წავედი. კიბე რომ დავინახე, ... ვაი, დედა! მეგონა მოვკვდებოდი. და მაინც ავუყევი საფეხურებს...

**კორესპ:** ასე მგონია, თქვენ უბრალოდ იზიდავთ ყოველგვარ



გასაჭირსა და სიძნელეს, სტიქიურ უბედურებებს, ხოლო შემდგომ წარმატებით გადალახავთ ხოლმე მათ...

**გურჩენკო:** მართალია, მე ყოველთვის რაღაცის ზღვარზე ვიმყოფები, ინსტიტუტიდან დაწყებული დავქრივარ ცხოვრების გზაზე. როდესაც ყველაფერი ნორმალურადაა - თითქოს ვიბნევი. მე

---

დიკიმ თავი ასწია. ტუჩები უცახცახებდა, მაგრამ თვალები მშრალი ჰქონდა. ბიჭს ხმა არ ამოუღია. ერთი ცრემლიც კი არ გადმოვარდნია თვალიდან. ხოლო ყელში გაჩხერილი რაღაც გადაყლაპა და ყრუდ გაიმეორა: "ჯერ კბილები არ გამიხეხია, მამიკო".

ამ ციცქნა სახის დანახვაზე ედუარდი დამდუღრულივით შემობრუნდა და უაზროდ, ისე რომ არც კი იცოდა, რას აკეთებდა, ოთახიდან სწრაფად გამოვიდა, სწრაფად გამოვიდა დაეშვა და ბაღში გავარდა.

- ღმერთო, დიდებულო! ეს რა ჩაიდინა? - ბაღის ბოლომდე ბარბაცით მივიდა და ღობესთან მდგარი მსხლის ხის ქვეშ შეიყუჟა. ჩუსტით სცემა შვილი, თავის პატარა ვაჟკაცი და რა,ჯანდაბისათვის, რა მიზეზით, წესიერად არც კი იცოდა. ოთახში მიეჭრა და პატარა, პერანგისამარა ბიჭს თავს დაესხა. დიკის მამამ ამოიკვნესა და ორივე ხელით ღობეს ჩაეჭიდა. ბიჭმა არც იტირა, ერთი ცრემლიც არ დაანახა მამამისს. ეტირა მაინცაა ან წყენა დატყობოდა სახეზე... თანაც კიდევ ეს "მამიკო". ეს მართლაც მეტისმეტი იყო. ისევ ჩაესმა ბავშვის აკანკალებული ჩურჩული. ასე უსიტყვოდ როგორ აპატია ყველაფერი! მაგრამ თვითონ ამას თავისთავს არასოდეს არ აპატიებს. ლაჩარია! სულელი! უგულო მხეცი! უცბად ის შემთხვევა გაახსენდა, როცა ერთად თამაშობდნენ და დიკი მუხლებიდან ჩამოუვარდა. ბიჭმა ხელი იღრძო, მაგრამ არც მაშინ უტირია. სწორედ ამ პატარა კაცზე, სწორედ ამ პატარა გმირზე აღმართა ხელი.

- "არა, რაიმე უნდა ვიღონო", - გაიფიქრა ედუარდმა. ისევ სახლში შებრუნდა, კიბე აიარა და დიკისთან ოთახში შევიდა. ბიჭი ლოგინში იწვა. საღამოს ბინდ-ბუნდში მის წინ მოკლედ შეჭრილი შავი თმა თეთრ ქათქათა ბალიშზე მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა. წყნარად, გაუნძრევლად იწვა და არც ახლა ტიროდა. ედუარდმა კარი მიხურა და ზურგით მიეყრდნო. ძალიან უნდოდა დიკის საწოლთან მუხლებზე დაეჩოქა,ეტირა და შვილისთვის პატიება ეთხოვა. მაგრამ მართლაც ასე ხომ ვერ მოიქცეოდა, თავს ცუდად გრძნობდა, გული ეკუმშებოდა.

- "დიკი, კიდევ არ გძინავს?" - შეეცადა ხალისიანი ხმით დალაპარაკებოდა შვილს.

- "არა,მამიკო".

ედუარდი მივიდა და ბიჭის საწოლზე ჩამოჯდა. გრძელი წამწამებით შემოჯარული თვალებით დაკვირვებით შეაცქერდა.

- "რაიმე ხომ არ გტკივა, შვილო?" - ნახევრად ჩურჩულით იკითხა ედუარდმა.

- "არა, მამიკო", - გაისმა პასუხად.

ედუარდმა ხელი გაიწოდა და დიკის ცხელ, პატარა თათს ფრთხილად დასწვდა.

- "აღარასდროს არ გაიხსენო, რაც ახლა მოხდა, პატარა კაცო", - თქვა ედუარდმა ჩახლეჩილი ხმით. გესმის? ყველაფერი მორჩა. მოდი, ყველაფერი დავივიწყოთ. ეს არასდროს აღარ განმეორდება. გაიგე?"

- "დიახ, მამიკო".

- "ნუ დანაღვლიანდები, გამოცოცხლდი, ჩემო ბიჭუნა. აბა, გაიღიმე", - ედუარდმა თვითონ საცოდავად, დამნაშავის ღიმილით გაიღიმა. მოდი, დავივიწყოთ, შვილო, რაც მოხდა... ა? რას იტყვი, პატარა კაცო..."

დიკი ისევ გაუნძრევლად იწვა. ეს აუტანელი იყო. ედუარდი ლოგინიდან წამოხტა და ფანჯარასთან მივიდა. ბაღში თითქმის უკვე ბნელოდა. სახლიდან მოსამსახურე გოგო გამოვიდა, ბუჩქებზე გადაფენილ სარეცხს კრეფდა და მხარზე იფენდა. ცის უსასრულო სიღრმეში მწუხრის ვარსკვლავი კიაფობდა, უფერო სივრცეში ტანაშოტილი,მაღალი გუმფისის ხე გრძელ ფოთლებს არხევდა. ედუარდი ბაღს თვალს არ აშორებდა. ჯიბე მოჩხრიკა, ფულს ეძებდა. რამდენიმე მონეტა ამოიღო.ახალი ექვსპენსიანი ამოარჩია და ისევ დიკის საწოლს მიუახლოვდა.

- "ა, შვილო, ამით შენთვის იყიდე, რაც გინდა", - წყნარად თქვა და მონეტა დიკის ბალიშზე დაუდო.

მაგრამ წაშლიდა კი რაიმე ამ ტკივილიან დღეს დიკის მეხსიერებაში?

**მთარგმნელი ნანა კოპალეიშვილი-დარჩიაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ სულ დამტვრეული ვარ თავიდან ფეხებამდე - პროფესიული ტრამვები მივიღე ფილმის "20 დღე ომის გარეშე" გადაღებების დროს. სამი თვე 40 ყინვის დროს ვაგონში ვიცხოვრე და ჰაიმორიტი ავიკიდე. მთებშიც მომიხდა ყოფნა. ვიღებდით "თეთრ აფეთქებას" - გოვორუხინმა შეგვაგდო ნამდვილ კლდეზე. ერთი თვე ალპინისტებივით ვვარჯიშობდით.

**კორესპ:** თქვენ რუს მარლენ დიტრიხს გეძახიან.

**გურჩენკო:** რომელ მარლენ დიტრიხს? ის ხომ მხოლოდ ერთ ტონალობაში მღერის! უდავოა, რომ ის მომხიბვლელია როგორც ქალი, როგორც მსახიობი. მაგრამ მისი ცხოვრება სულ სხვაა. უყვართ კიდევ ლიუბა ორლოვასთან შედარება. მაგრამ ეს ხომ სხვადასხვა ჟანრია. ლიუბოვ პეტროვნა ყოველთვის თამაშობდა იდეალურ ქალებს, მისი ყველა გმირი სიმსუბუქით ხასიათდებოდა - რეალისტური ტრაგედიების გარეშე. ხოლო ჩემთვის ადამიანი დრამის გარეშე - რა ადამიანია?!

**კორესპ:** გიგრძვნიათ ღალატი მამაკაცის მხრიდან?

**გურჩენკო:** აი, ახლა კი გეტყვით რამდენიმე სიტყვას მამაკაცების შესახებ - არა როგორც მსახიობი, არამედ როგორც ქალი. თავდაპირველად მამაკაცს "ცაში აჰყავს" ქალი, აღმერთებს მას, ხოლო შემდეგ, როცა მის გულს მოიგებს, სხვა ქალს ეძებს და ახლა მას იპყრობს, მერე კი, უსათუოდ უკან ბრუნდება. ასეთ დროს ყველაფერი ქალზეა დამოკიდებული. ქალების ერთ კატეგორიას ისე უჭირავს თავი, თითქოს არაფერი მომხდარა. და ასეთ ქმართან მთელი ცხოვრება შეუძლია გაატაროს, ხოლო მეორენი არ პატიობენ. მე მეორე კატეგორიას განვეკუთვნები.

**კორესპ:** ე.ი. თქვენ არ პატიობთ?

**გურჩენკო:** ეს როგორ? გატეხილი ლამბაქი შევაწებო? მომიტევეთ! მე გულღვარძლიანი ადამიანი ვარ, ყველაფერი მახსოვს. ასეცი კი, ოცი წლის წინ გავხდი ფილმ "საკარნავალო ღამის" შემდეგ. მაშინ იმდენი თაყვანისმცემელი მყავდა... და უცებ, ერთი გამანადგურებელი სტატიის შემდეგ, სადაც მე ქარაფშუტა, ევროპული სტილის მსახიობად ვიყავი გამოყვანილი - ყველამ ზურგი შემაქცია. მე კი არავისთვის მიღალატია.

**კორესპ:** თქვენ ოთხი ქმარი გყავდათ...

**გურჩენკო:** დიახ, მაგრამ სხვადასხვა დროს!

კორესპ: მაშ, პატარა ქალური ეშმაკობები, ხრიკები?

გურჩენკო: ღმერთმა დამიფაროს! თუმცა, მჯერა, რომ ქალი მოქნილი უნდა იყოს, მაგრამ... მე არ გამომდის - მაქსიმალისტი ვარ.

კორესპ: დიქტატორი რეჟისორები თუ გიყვართ?

გურჩენკო: ჭკვიან დიქტატორებს ვეთაყვანები!

კორესპ5 ამბობენ, სუსტ რეჟისორებს დაუნდობლად ექცევით.

გურჩენკო: რატომ დაუნდობლად. არ მიყვარს უაზრო მსჯელობა. მითხარით, სად ვდგევარ, საით უნდა წავიდე, ბოლოს და ბოლოს ჩართეთ მოტორი, გეთაყვა!

**კორესპ:** თქვენ და მიხალკოვები ხომ კვლავ მეგობრებად დარჩით. სხვათაშორის, რომელ ძმასთან უფრო საინტერესო იყო მუშაობა?

**გურჩენკო:** არაკორექტური კითხვა, თითოეული მათგანი თავისებურად საინტერესოა. ანდრონი მე ძალიან დამეხმარა ცხოვრებაში. ის ფილმ "სიბირიადას" იღებდა, მე რომ ფეხი მოვიტეხე. მივედი ყავარჯნებით და თან ვფიქრობ ჩემთვის, გამაგდებს-მეთქი. ის კი მეუბნება: არა უშავს. იმ წლების განმავლობაში, როდესაც გმირები ერთმანეთს ვერ ხვდებოდნენ, გმირი შეიძლება დაკოჭლებულიყო. ნახევარი წელიწადი მელოდა. მე გამოვედი გატანჯული, შესიებული თვალებით და გაშეშებული ფეხით დავიწყე გადაღება. ვუყურებ: დგას ჩემს წინ ნიკიტა, ახალგაზრდა, ჯანმრთელი! ანდრონმა შეამჩნია ჩემი შიში და მითხრა: - შენ ყველაზე ლამაზი ხარ!

მე შევხვდი საკუთარ თავს - მართლაც, არა მიშავდა რა! და ნიკიტასთან სიმღერით გადავედი შეტევაზე.

**კორესპ:** კადნიერება ხშირად გშველით ხოლმე?

**გურჩენკო:** მე ჩაკეტილი ადამიანი ვარ. მაღალ საზოგადოებას არ განვეკუთვნები, ცოტა ვინმესთან თუ მაქვს ურთიერთობა. ხოლო მუშაობაში... ადრე, რასაც კადნიერებით თავს ნებას ვაძლევდი, დღეს პატიოსნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან დღესდღეობით დასაშვებია ყველაფერი და თუ შენ ამ ყველაფერს არ აკეთებ - იდიოტად ითვლები. ასე რომ, თავხედობაზე თუ იქნება ლაპარაკი - პირველობას ნამდვილად ვერ დავიკვეხნი.

**კორესპ:** ლუდმილა მარკოვნა, ერთი რამ გაუგებარია: ყველა თქვენი ყოფილი ქმარი შემოქმედებითი პროფესიის ადამიანი იყო: სცენარისტი, მომღერალი, მუსიკოსი, პროდიუსერი და არც ერთი - რეჟისორი. ეს თითქოს დამახასიათებელი არ გახლავთ მსახიობისთვის.

**გურჩენკო:** მსახიობსა და რეჟისორს შორის რაღაცნაირი იდუმალი გრძნობა უნდა არსებობდეს. ასე ვთქვათ - დაახლოების მუდმივი სურვილი - მაგრამ არა ბოლომდე. და საერთოდ, მე არ ვაბამ რომანს მსახიობებთან და რეჟისორებთან. ნიკიტა და მისი ძმა ანდრონი ძალიან მიყვარდა - ადამიანურად. ნიკიტა როგორც მსახიობი - პირდაპირ დემონია... ხოლო როგორც რეჟისორთან მუშაობა სასიამოვნოა. აი, ახლაც რომ მიხმოს, ყველაფერს მივატოვებდი და მისკენ გავქანდებოდი.

**კორესპ:** როგორი ურთიერთობა გაქვთ თქვენს ქალიშვილთან. თქვენ თქვით, რომ იგი სულ არა გგავთ, ჩვეულებრივი მედდაა და ოჯახის ქალი. ხშირად თუ ნახულობთ?

**გურჩენკო:** მე მის პრობლემებში არ ვერევი და ვთვლი, რომ სწორადაც ვიქცევი. ჩვენ სხვადასხვა ცხოვრება გვაქვს. რა თქმა უნდა, თავს დამნაშავედ




ვგრძნობ მის წინაშე - არასოდეს შემეძლო საკმაო ყურადღების მიქცევა. ადრე მსახიობი შვილს არ აჩენდა. ხელოვნება ან შვილი - ამ ალტერნატივაში არის რაღაც...

**კორესპ:** ლუდმილა მარკოვნა, ქალები არ მაპატიებენ, თუ არ გკითხავთ თქვენი სიახალგაზრდავის რეცეპტს?

**გურჩენკო:** რეცეპტი არ მაქვს. დილის გამამხნევებელ ვარჯიშს არ ვაკეთებ, მასაჟისტს არ მივმართავ. თუ საავადმყოფოში არ ვიმყოფები. ახლა მე ვარ 166 სმ. სიმაღლისა და ვიწონი 54 კგ.-ს, ხოლო X კლასში ვიწონიდი 53 კგ. და 500 გრამს. ამ ხნის მანძილზე მე არავითარი და არანაირი დიეტა არ დამიცავს. შემიძლია ვჭამო და ვიწვე, ვჭამო და ვიწვე... ალბათ, ეს მე ღმერთისგან მაქვს ბოძებული.

**კორესპ:** მაკიაჟი რამდენ დროს გართმევთ? ლაიმა ვაიკულე, მაგალითად, თავის ფორმაში მოყვანას დაახლოებით 2 საათს ანდომებს...

**გურჩეკნო:** ორ საათს?! რას ამბობთ, სერგეი ხომ გამეყრებოდა! 10 წუთი - ჩვეულებრივი გრიმისათვის, ნახევარი საათი სერიოზული გრიმისათვის გადაღების ან რაიმე ღონისძიებისათვის. მანიკურის გასაკეთებლად კი ვერ ვიცლი, შეხედეთ ჩემს ხელებს! თქვენთან შეხვედრისათვის ათწუთიანი გრიმის გაკეთებაც კი ვერ მოვასწარი!

**კორესპ!** შესანიშნავად გამოიყურებით!

**გურჩენკო:** ჯერ არც ისე კარგად გამოვიყურები, თანაც ავადმყოფობის შემდეგ. აი როცა ფორმაში ჩავდგები, შევუდგები მიუზიკლს.

**კორესპ:** ასეთი ავადმყოფობის შემდეგ იმღერებთ და იცეკვებთ?

**გურჩენკო:** ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემა სხვა რამეა - ჩვენთან ბევრს როდი ესმის, თუ რა არის მიუზიკლი.

**კორესპ:** ეს კი თქვენ ყველაზე უკეთ შეგიძლიათ!

**გურჩენკო:** რაც მართალია, მართალია. ხანდახან გადაღებებზე წვიმს, როცა მზეა საჭირო. და მე შემიძლია კვირაობით ველოდო ამ მზეს. არაფერს ვაკეთებ ამ დროს. არც ვკითხულობ, არც ვჭორაობ. უბრალოდ, დაკონსერვებულ მდგომარეობაში ვარ და ველოდები. ხოლო როცა ეს ნანატრი დღე დგება, მე არც ერთ წუთს არ ვკარგავ. ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ მითხრან: ვიღებთ!

**გადმოაქართულა ირმა ნინიძე**

## პოეტის არქივიდან

### უკანასკნელი სტრიქონები





"სიცოცხლე — ეს საჩუქარია! საჩუქარი, რომელიც შემთხვევით შეგხვდა, რომელიც შეეძლოთ არც ეჩუქებინათ, ანდა შეუძლიათ ადვილად წაგართვან კიდეც!"

მონიკა მანო, თომას მანის ქალიშვილი

"ღიმილის ბიჭი ვიყავი",
თმა თავზე გადამდიოდა,
თამბაქო, ღვინო, არაყი
ჩემამდე არ დადიოდა.
ჩემსავით ალალმართალი
ყრმა, ბევრი არ დადიოდა.
კეთილი საქმე მწყუროდა,
კეთილი საქმე მშიოდა,
მტანჯავდა სხვისი ტანჯვადა
სხვისი ტკივილი მტკიოდა...
და ვეცხებოდი ჭრილობას
სხვისას, მალამოდ, იოდად.
"ღიმილის ბიჭი ვიყავი",
ზაურ ბოლქვაძე მქვიოდა.

მე იმდენი სიკეთე მაქვს ნათესი,
რომ უფალი სულ მამყოფებს

ნათელში!

### ბავშვობის მონატრება

დედაჩემი აცხობს მჭადს,
მამაჩემი ხილავს სკას,
მე ბლის ხეზე დავცოცავ,
გაზაფხულის დილა დგას!

1997 წელი

### ცოცხალი დამხვდა

წლეულს ჩავედი სოფელში,
სული ამევსო სიმშვიდით:
სულ ჩვენს ეზოში რომ ფრენდა,
ცოცხალი დამხვდა ის ჩიტი!

### დედაჩემის საფლავთან

როგორ დაბერებულხარ,
დედაჩემის საფლავო?! -
დაპატარავებულხარ,
სანახევროდ გამქრალხარ!!

1997 წელი

### პაოლო იაშვილი

ის სინდისი იყო ცისფერყანწელთა,
სათვალთმაქცოდ არ იღწვოდა,
არ წერდა!..
არიკადრა მან ღალატი მეგობრის,-
"თავის ქალა აიფეთქა"
"ლებო"-თი!..
ჯოჯოხეთის "ცეცხლში
გამოხვეული"
დაიფერფლა ტვინი
ამბოხებული!..

P. S.
არ გჭირდებათ, ცალკეულო-
მწერლებო,
თოფი გმირი პაოლოსი:
თქვენ, "ლებო"!

1996 წელი

### ჩემ შვილს ელისო ბოლქვაძეს

ელისო, შვილო, რჩეული ხარ
მაღალი ღმერთის
და ნუ იქნები ნურვისი და
ნურაფრის მონა!
"გამარჯვებას და დამარცხებას
თანაბრად შეხვდი
და ამ ორ თაღლითს მიეგებე
ტოლად და სწორად!"

* * *

მე ვარ ჩემი ერით
ეგზალტირებული
ერთი ლირიკოსი -
ლექსატირებული!..

10 ნოემბერი 1995 წელი



* * *

ცრემლად მიციმციმებს გული,
ტირის გული, გლოვობს გული
და ვარ მისიკვდილებელი,
მისაქართველოებული!..

* * *

გულზე ცეცხლი მენთება,
გულს კი შხამით მივსებენ!..
ტრაგიკულო შემთხვევავ,
გეხვეწები მიმსხვერპლე!

### მამის დარიგება
### შვილის ელისოსადმი

1. შვილო, შენ ხარ უნიჭიერესი და უმშვენიერესი, ახლა გიყურებს მთელი საქართველო იმედით, მალე მთელი მსოფლიო შეგხედავს და, გთხოვ, დაიჯერო ეს!

2. იყავი ლაღი, ამაყი, თავისუფალი, მომხიბვლელი და შენი დიდი ცხოვრება გაინათე ამ სიტყვებით: - შენი გზით იარე: ოღონდ დედას ნუ დაივიწყებ, თორემ საკმარისია გაგიჭირდეს, ისევ მშობელს დაუბრუნდები და მარტოობით შეშინებული, სასოწარკვეთით იყვირებ: - ხელს ნუ მკრავ დედა!..

მამაშენი

მე პოეტი ვარ - მიწა ვარ, ცა ვარ!..
მე პოეტი ვარ,
სივრცე ვარ, დრო ვარ!..
მომენატრება სიკვდილი
წავალ!..
მომენატრება სიცოცხლე
მოვალ!..



* * *

ამოგალაკტიონდა მზე
დადუმებულ მთაწმინდაზე,
დაუჩრდილა ცისკრის ვარსკვლავს
სიკაშკაშეც, სილამაზეც!..

**1996 წელი**

### საკუთარ თავს

ზაურ, მე შენი ვარ მადლობელი,
ქართველი რომ ხარ მანათობელი,
ლექსები რომ გაქვს
დამათრობელი,
ზაურ მე შენი ვარ მადლობელი!

**25 ოქტომბერი, 1995 წელი**

* * *

გადაუარა ბალახმა
საფლავს - სიცოცხლის
წერტილს!..
შენ ჩემთვის როგორ არა ხარ.! -
მე აღარა ვარ შენთვის!..

* * *

ვალია ჩვენი:
დაცვა მამულის -
სისხლით და ცრემლით
დაცვარნამულის!

**3 სექტემბერი, 1995 წელი**

* * *

ჩემი ტვინის თხუთმეტი
მილიარდი უჯრედი
შენზე ფიქრობს, მამულო,
ყველა, ყველა - უკლებლივ!

სამოცდაათი
ათასი გენით
ვარ, საქართველოვ,
ერთგული შენი!

### მამულო საყვარელო

დაპატარავდი!.. შემცირდი!!.
დაეცი!.. გფლეთენ მტრები!!.
ვერ წინავუსწარ შენს სიკვდილს
და შენთან ერთად ვკვდები!..

**1996 წელი**

* * *

მეც ყოველდღე ვიბადები
და ყოველდღე ვკვდები,
მეფინება ღვთის ნათელი,
შუქი უკვდავების!

**1995 წელი**

### ლექსი

უნდა დაგაფიქრიანოს,
სულით ძვალ-რბილამდე შეგძრას,
გული გადაგიტრიალოს,
სისხლი აგიდუღოს ლექსმა!..

**15 ოქტომბერი, 1995 წელი**

* * *

ისე განლაგდნენ პლანეტები, -
მალე ვკვდები!..
ისე მიმქრალდნენ ვარსკვლავები,
ახლავ ვკვდები!..

**30 ოქტომბერი, 1995 წელი**

* * *

მედავება მე გული
მელოდიით მეგრულით!..

# სპორტული კალეიდოსკოპი

სპორტული კალეიდოსკოპი

XXX

როგორც ცნობილია, თურქეთის "ტრაბზონსპორი" გოჩა ჯამარაულის გარდა ყველა ქართველმა ლეგიონერმა ფეხბურთელმა დატოვა. თურქებმა მხოლოდ შოთა არველაძეს შესთავაზეს კონტრაქტის გაგრძელება (წელიწადში მილიონი დოლარი), მაგრამ უარი მიიღეს. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, დიდად არც ჯამარაულს ენატება გულზე იქ დარჩენა. მოკლედ, "ტრაბზონსპორი" მათ შემცვლელებს აქტიურად დაეძებს. თურქებმა უკვე გაუფორმეს კონტრაქტი ნორვეგიის ნაკრების მცველს კიეტილ რეკდალს და ჩეხეთის ნაკრების მცველს კარედ რადას.

XXX

ყველასათვის ცნობილი იყო, რომ თუ თსუ წლეულს პირველ ჯგუფში შეინარჩუნებდა ადგილს, IX ეროვნულ ჩემპიონატში უფრო მაღალი მიზნებისათვის დაიწყებდა ბრძოლას.

ასეც მოხდა. სტუდენტური კლუბის ხელმძღვანელობა უკვე გაძლიერებაზე ფიქრობს. მათ ამ მხრივ პირველი ნაბიჯებიც გადადგეს. მართალია, მთავარმა მწვრთნელმა ელგუჯა ხუციშვილმა წლევანდელ სეზონში გუნდს ჯგუფში ადგილი შეუნარჩუნა და საკმაოდ კარგი კოლექტივიც ჩამოაყალიბა, მაგრამ მაინც პოსტის დატოვება გადაწყვიტა.

მომავალი სეზონიდან კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტს ოთარ გაბელია დაიკავებს.

XXX

ქუთაისის "ტორპედოსა" და ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია 300 ათას დოლარად შეიძინა ვლადიკავკაზის "ალანიამ". როგორც ჩანს, მისი მიწვევა გუნდის თავკაცს ვალერი გაზაევს შეტევის ხაზის უსუსურმა თამაშმა გადააწყვეტინა, სადაც მილიონ დოლარად ნაყიდმა, რუსული პრესის მიერ ხოტბაშესხმულმა ვანია მეცქომ ვერაფრით გამოიჩინა თავი.

XXX

ინგლისელი რობი ელიოტი "ნიუკასლიდან" "ბოლოტონში" გადავიდა, რითაც მომავალ ჩემპიონთა თასზე თამაშის საშუალება მოუსპო 23 წლის ფეხბურთელს, რომელიც ადრე ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, 4 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა.

როგორც ვხედავთ, კარგი მოთამაშის შესაძენად კლუბები ფულს არ იშურებენ. ასეთია ფეხბურთი!

XXX

თურქულმა "გალათასარაიმ" 4,5 მილიონ ამერიკულ დოლარად "ბარსელონასაგან" იყიდა რუმინეთის ნაკრების ნახევარმცველი გეორგ პაპესკუ, რომელიც "ბარსას" კაპიტნობდა და 14 მაისს თასების მფლობელთა თასიც ჩაიბარა, თურქეთში სამი წლით გადავიდა.

XXX

გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ, 36 წლის აივე იმელმა ფეხბურთს თავი დაანება. ამის მიზეზია ტრამვების გამო ნაწყალობევი თეძოს დაუსრულებელი ტკივილები.

XXX

ფრანგულმა "ბასტიამ" ამას წინათ ორი მოთამაშე ინგლისში გაყიდა. პატრიკ ვალერი ამიერიდან "ბლექბერნში" ითამაშებს, პიერ ლორენი კი "ლიდს იუნაიტედში". მათ სანაცვლოდ კლუბმა შეიძინა არგენტინელი ცენტრალური მცველი პასკუალე გარიდო და იუგოსლაველი ფორ ვარდი ნენად იესტროვიჩი. გარიდო 22 წლისაა. იგი "ბოკა ხუნიორსში" თამაშობდა, 20 წლის იესტროვიჩი კი ბელგრადის "ოსიეკის" წევრი იყო.

XXX

ბრაზილიის სპორტის მინისტრმა და ყოფილმა ფეხბურთის ვარსკვლავმა პელემ, როგორც სჩვევია, ახლაც დაასახელა ფეხბურთის მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტები. მართალია, პელეს ამ საქმეში ხშირად არ უმართლებს ხოლმე (გავიხსენოთ 1994 წელი, როცა მან ჩემპიონობა კოლუმბიელებს უწინასწარმეტყველა), მაგრამ პელემ ამჯერად ასე განაცხადა: ბრაზილიას მეტად ძლიერი ნაკრები ეყოლება. მისი წევრების დაახლოებით 70 პროცენტი ევროპაში თამაშობს დამიტომ გუნდს არ გაუჭირდება ევროპულ ნაკრებებთან შერკინება. საფრანგეთის გუნდიც საკმაოდ ძლიერია. ფრანგების ასეთი ძლიერი ნაკრები მე ჯერ არ მახსოვს. ასე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულს ამ ორი ნაკრებიდან ერთ-ერთი დაისაკუთრებს.

XXX

პარიზში გაიმართა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა (შვეიცარია) თავის მოხსენებაში ილაპარაკა ჩემპიონატისათვის მზადების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

ითქვა, რომ დღეისათვის უკვე გაყიდულია მილიონ 700 ათასზე მეტი ბილეთი, რაც საერთო რაოდენობის ნახევარია. ყველაზე ძვირია ბილეთები პარიზის განახლებულ ცენტრალურ სტადიონზე, სადაც გაიმართება ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილი ცერემონიალი და ფინალური მატჩი.

XXX

ამას წინათ ჰონკონგში გაიმართა საჩვენებელი მატჩი - მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები აზიელი ვარსკვლავების წინააღმდეგ. გაიმარჯვეს მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებმა - 5:3.

XXX

ინგლისის ჩემპიონატის "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ჩეხი ფეხბურთელი კარელ პობორსკი გუნდში სასამართლოს ძალით შეინარჩუნა. საქმე ის გახლავთ, რომ კარელმა გასულ სეზონში თამაშების 75 პროცენტი ვერ ჩაატარა, რაც მას ინგლისში მუშაობის უფლებას ართმევდა. ფერგიუსონმა საბოლოოდ გაიარა საქმე და ჩეხი დაიტოვა, მაგრამ ახლა ასეთი ამოცანის წინაშეა: იგი ან ხშირად უნდა ათამაშოს, ანდა გაყიდოს. ამ საქმით დიდად იყო დაინტერესებული "შეფილდ იუნაიტედიც", რომლის მწვრთნელს დევიდ პიტს, პობორსკის შეძენა დიდიხანია სურს.

ასეთივე მეთოდით შეინარჩუნა ჩეხივე პატრიკ ბერგერი "ლივერპულმა".

XXX

იტალიის "ინტერმა" დაადასტურა, რომ მონტევიდეოს "ნასიონალედან" გადაიბირა ურუგვაელი მოთამაშე ალვარო რეკობა. მასში მილანელებმა 4,1 მილიონი დოლარი გადაიხადეს. რეკობამ, რომელმაც ხელი ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა, განაცხადა: - მწამდა, ერთ მშვენიერ დღეს ამ გუნდში ამოვყოფდი თავსო. "ინტერი" ჩემი ოცნების გუნდი იყო, - თქვა ფეხბურთელმა, - ათი წლის წინ რომ ვიყავი, არ ვიცი, რატომ, მამამ "ინტერის" ემბლემიანი გასაღების საკიდი მაჩუქა".

XXX

შოტლანდიის "გლაზგო რეინჯერსის" უცხოელებმა ისედაც უმწვრთნელოდ დარჩენილ გუნდს ახალი თავსატეხი გაუჩინეს. ვარჯიშებზე არ ცხადდებიან იტალიელი პაოლო დი კანიო და პორტუგალიელი ჟორჟე კადეტე. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯეკ ბრაუნმა ყურადღება ძირითადად დი კანიოზე გაამახვილა. მან თქვა, შოტლანდიაში იტალიიდან ჩაუსვლელობის მიზეზი შეიძლება ძალიან ბევრი იყოს, მაგრამ ამას შეტყობინება და ახსნა სჭირდება.

არაა გამორიცხული დი კანიო დააჯარიმონ.

როგორც ვხედავთ, დისციპლინის პრობლემა ევროპულ გუნდსაც აწუხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXX

შოტლანდიელი ანგუს მაკასკილი უთუოდყველაზე მაღალ გოლიათად ითვლება დღემდე. ჯირკვლების ფუნქცია ნორმალური ჰქონდა, ათლეტური აღნაგობის, უაღრესად ძლიერი ადამიანი იყო. დაიბადა შორეულ ჰერბრიდის კუნძულზე 1825 წელს, მალე წამოიზარდა, ტანი საოცრად აიყარა, შვიდი ფუტისა და ცხრა დიუმის (2.36 მ.) სიმაღლეს მიაღწია, მკლავიც ერჩოდა და ჯანიც მოსდევდა. მეოცე საუკუნეში რომ ეცხოვრა, ეჭვგარეშეა, ოლიმპიური ჩემპიონობა არ ასცდებოდა. თავის ძალას იყენებდა კიდეც. ამბობენ, სათევზაო ნავის ანძას ცალი ხელით სწევდა და ორმოცდაათკილოგრამიან ტომრებს ფსკერიდან პირდაპირ ჯებირზე ისროდა. ერთხელ სასწაული მოხდა: ახალ შოტლანდიაში მხარზე შეგდებული ღუზა - ეს უმძიმესი ტვირთი - გადაიტანა.

მაკასკილი ეხმარებოდა ცირკის მეპატრონეს პ.ტ. ბარნუმს დიდი კონუსისებური კარვების დადგმაში. 14. გირვანქიან (6,35 კგ.) ჩაქუჩებს მარჯვედ ხმარობდა და არჭობდა ბოძებს. ათი კაცის სამუშაოს ასრულებდა, ერთის ხელფასს კი ღებულობდა. ჩააგონებდნენ, ჭიდაობაში ეცადა ბედი, მაგრამ ბუნებით დინჯი, წყნარი, ერთი სიტყვით სხვა ყაიდის კაცი იყო. შემთხვევით სამიკიტნოში შეხვდა ყოყოჩი და აგრესიული კანადელი მოჭიდავე, რომელიც ცდილობდა საასპარეზოდ გამოწვევას. რა, მისი ცოდვა დავიდოო, მეტოქეს მიესალმა და ისე მოუჭირა ხელი, რომ ფრჩხილებიდან სისხლი ადინა. სული გაუმწარა. ამაყი კანადელი მიხვდა, ვერას გახდებოდა. მის წინ იდგა ნამდვილი დევგმირი, თუკი ოდესმე არსებულა.

დედოფალი ვიქტორია ისე გაიტაცა მაკასკილის საგმირო ამბებმა, რომ უინძორის კოშკში მიიწვია. გულჩვილ გოლიათს აღელვებდა 4 ფუტისა და II დიუმის (1.50) სიმაღლის წრიპა დედოფალთან მოსალოდნელი შეხვედრა. დიდრონ ფეხსაცმელებზე ცხენის ნალები ჰქონდა დაჭედებული. აფლატუნებდა და სულ გადაქელა დაგებული ხალიჩები.

XXX

ბევრ ჩვენთაგანს უყვარს ლიტერატურული გმირებისა და კინორეჟისორების მიბაძვა. მაგრამ... 23 წლის ქასტინ უოფერი - გრაფი დრაკულას დიდი თაყვანისმცემელია. ერთ დროს იგი კიდევაც შეეცადა თავისი სახელი "დრაკულათი" შეეცვალა. მან 180 მარკა გადაუხადა კბილის ექიმს, რათა თავის კერპს დამსგავსებოდა. ექიმმა მას კბილები ისე გაუქლიბა, რომ "ვამპირის ეშვებს" დაუმსგავსა - და ახლა მისი ღიმილი შიშის ზარს სცემს გარშემო მყოფთ. თუმცა საკუთარი ოჯახი მხარს უჭერს მის ასეთ გატაცებას. იგი თავს კარგად გრძნობს (მხოლოდ საუბრის დროს ცდილობს ენა არ მოიკვნიტოს).

XXX

ახალგაზრდა ოჯახურ წყვილს, რომელიც მემკვიდრეს ელოდებოდა, ულტრაბგერითი გამოკვლევიდან შინ დაბრუნებისას ახლობლებმა ჰკითხეს: როგორ არის საქმე, ვინ იქნება, გოგო თუ ბიჭი?

- თვითონ გადაწყვეტს, როცა გაიზრდება...

XXX

მცირე ზომის საათის პირველი შემქმნელის პეტრე გენლეინის შესახებ არსებული 1511 წლის ჩანაწერი გვაუწყებს: "ის რკინისაგან აკეთებს საათებს მრავალი გორგოლაჭით, რომელთა მომართვაც შეიძლება. მექანიზმი მუშაობს და რეკავს ორმოცი საათის განმავლობაში და მისი ტარება შეიძლება მკერდზე ან ჩანთით.

XVI საუკუნეში საათს უმეტესად ატარებდნენ ძალიან ძვირფას ჯაჭვებზე, რომლებიც ყელზე ჰქონდათ ჩამოკიდებული. მოდამ იმთავითვე დაიწყო თავისი მოთხოვნების წამოყენება და უპირატესობას მცირე ზომის საათებს ანიჭებდა.

XXX

ჯერ კიდევ უძველეს დროს, აზიაში, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები თავზე ან შუბლზე ატარებდნენ დიადემას, რომელიც რგოლის ფორმის ქსოვილის ან ლითონის ნაჭერს წარმოადგენდა და მბრძანებლების სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ბიზანტიის იმპერიაში მისი ფუფუნების კულტად გადაქცევასთან დაკავშირებით დიადემას რთავდნენ სულ უფრო და უფრო ლამაზად და მდიდრულად. იუსტინიანეს მეფობის დროს დიადემამ გვირგვინის ფორმა მიიღო.

## სალმან რუშდის თავი გაძვირდა

ეს ცნობა წამსვე მოედო მსოფლიო საინფორმაციო არხებს, დამნაშავე, ბედის წყალობით უჩინარი რომ გახდა, ამჯერად დიდხანს არ უძებნიათ. მწერალმა უგულებელჰყო უსაფრთხოება და ძლიერი რისკის მიუხედავად, დათანხმდა ლონდონში ფრანგ ჟურნალისტთა შეხვედრას. საჯაროება ყველაზე კარგი დამცველიაო, გადაწყვიტა მან და "ენა გამოუყო" მკვლელ - ფანატიკოსებს.

- სალმან რუშდი ერთი წამითაც არ დუნდება, ვინაიდან იცის, რომ ნებისმიერი ფანჯრიდან შესაძლოა სწორედ ახლა აქვს ზურგში დამიზნებული ოპტიკური თოფის "თვალი". მცველები ნიადაგ ფხიზლობენ, მაგრამ ამისდა მიუხედავად, რუშდი მაინც შებოჭილივითაა, ფრთხილად მოძრაობს. შეხვედრა ჯაშუშობანას თამაშს წააგავს. მწერალი ჩაის მიირთმევს ლონდონის სახლის ტერასაზე, თითქოს აღებს თავის საკანს და ამბობს: - მე არ მეშინია. დიახ. სალმან რუშდი განაგრძობს წერას. ახლახან გამოვიდა მისი ნოველების კრებული: "დასავლეთი, აღმოსავლეთი" და, მაშასადამე, მან გაიმარჯვა. იცხოვრო და იმუშაო - საუკეთესო პასუხია მუქარაზე.

ბომბეის მკვიდრმა, უბრალოდ მუსულმანურ ოჯახში გაზრდილმა, მან ანაზდად, თითქოს ერთ საათში, მოიპოვა მსოფლიო სახელი და დიდება. სამყაროში, სადაც უკვე დაავიწყდათ, რომ წიგნებს წვავდნენ, ხოლო მათ ავტორებს და გამომცემლებს სპობდნენ - უცებ დაიქუხა არსებულმა სიტყვამ "ფატვა", რომელიც 1989 წელს მოწყდა ირანის აიათოლა ჰომეინის ბაგეს. იგი ნიშნავდა სასიკვდილო განაჩენს რწმენის დამამცირებლის მიმართ. ყველა ჭეშმარიტი მუსულმანი ვალდებული იყო შეესრულებინა ეს ბრძანება. ასე დაიწყო ნადირობა ადამიანზე, ცუდი რომ არაფერი უკეთებია თავის სიცოცხლეში, არავის სისხლში რომ არ ჰქონდა ხელი გასვრილი. სალმან რუშდიმ უბრალოდ დაწერა "სატანური ლექსები" მოციქულ მუჰამედსა და მის ცოლებზე, ამის გამო იგი დღემდე იძულებულია იცხოვროს ფარულად, უოჯახოდ და ხიფათში ამყოფოს გარშემომყოფნი.

შიიტი-თეოლოგები ირწმუნებოდნენ: ფატვა კვდება მისი წარმომთქმელის სიკვდილთან ერთადო. აიათოლა ჰომეინი კარგა ხანია ტკბება სამოთხის სიამით, ხოლო "დაწყევლილმა" ტყუილად იფიქრა, აწი დამივიწყებენო. რუშდის ფასმა, პირიქით, ორი მილიონი დოლარიდან კიდევ ხუთასი ათასით იმატა. და ეს მოხდა "სატანური ლექსების" გამოსვლის მერვე წლისთავზე. ეს კიდევ არაფერი: ირანელმა ისლამისტებმა განაცხადეს, რომ ფულს მისცემენ ყველას, ვინც აღასრულებს განაჩენს, თუნდაც მუსულმანი არ იყოს, თუნდაც მწერლის მცველი გახლდეთ იგი.

"განკიცხული" უკვე რამდენჯერმე დაიხსნა ლონდონის ხელისუფლებამ, რომელმაც ათასამდე პოლიციელი მიუჩინა მას მცველად. ამან კი, - მისი მტრების სასიხარულოდ, კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც განდგომილების დაძაბული ატმოსფერო რუშდის ირგვლივ. თვითონ მწერალმა საკუთარი თავის გაძვირების ამბავი უფრო ზიზღით აღიქვა, ვიდრე შიშით. დიახ, რუშდი, ფიქრობს სიკვდილზე უფრო ხშირად, ვიდრე ვინმე სხვა მის ასაკში, მაგრამ ის მშვიდადაა. ფრანგ ჟურნალისტს რუშდიმ უთხრა: "მე მიმაჩნია, რომ თანდათანობით ვუახლოვდები სიკვდილს. მაგრამ თქვენც ხომ ასევე ხართ? შეიძლება მოვკვდე ფილტვების კიბოსაგან ანდა შიდსისაგან. ამისათვის სრულებითაც არაა საჭირო "ფატვა". ფატვას სამი ამოცანა ჰქონდა: - უპირველესად, "სატანური ლექსების" განადგურება. ეს ჩანაფიქრი ჩაიფუშა, ვინაიდან წიგნი ახლა შეიძლება შეიძინო მსოფლიოს ყველა კუთხეში. მეორე: მას უნდა გავეჩუმებინე მე. მაგრამ ამასაც ვერ მიაღწიეს, რადგან ხვალ რომც მომკლან, უკვე დაწერილი მაქვს ხუთი ახალი წიგნი. მესამე: ფანატიკოსებს სწადიათ ტერორის ატმოსფეროს შექმნა მთელ ქვეყნიერებაზე. მაშინ ისინი ძლიერები იქნებიან. აი, ეს კი სამწუხაროდ, მეტნაკლებად მაინც განახორციელეს. თუკი ვინმე დაიწყებს ახლა ისლამზე წერას და თავის თავს უფლებას მისცემს რამეში შეეჭვდეს, დარწმუნებული ვარ, ბევრი გამომცემელი ვერ გაბედავს მის დასტამბვას. მე კიდევ გამოვეცი ახალი რომანი "მავრის უკანასკნელი ამოოხვრა". ეს წიგნი იმაზეა, რომ ადამიანი სულაც ვერ ფლობს დროის იმდენ მარაგს, რამდენიც მას ეჩვენება. ჩემი გმირი, ვასკო დე გამას შთამომავალი, დაბადებულია უცნაურ გარემოებაში, რომელიც აიძულებს მას დაბერდეს ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი".

- განრისხება, - ამბობს მწერალი, - ადვილია. მაგრამ საქმე ისაა, რომ მრისხანების ეს მხარი ბოლოსდაბოლოს თვით მის მატარებელს ღუპავს. თუ თქვენ მთელი სიცოცხლე შურისგებას მიუძღვენით, წაგებული ხართ.

რუშდი მოერია შიშს და სასოწარკვეთას. წერს წიგნებს, ესწრება კერძო მიღებებს, ტელევიზიაში რეკლამას უწევს თავის ახალ ნაწარმოებებს, ოღონდ... არასოდეს მარტო არ გამოჩნდება ხოლმე, თან ყოველთვის ახლავს დაცვა.

უსაზღვრო თანაგრძნობამ რუშდი თანამედროვე მსოფლიო მნიშვნელობის მწერალთა შორის ფანტასტიკურ სიმაღლეზე აიყვანა, თუმცა სპეციალისტები საკამათოდ მიიჩნევენ თუნდაც მის "სატანური ლექსების" მხატვრულ ღირებულებას.

ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ხუმრობით შენიშნა, რომ მიეკუთვნება ინგლისის ერთ-ერთ დახურულ კლუბს, რომლის წევრად გახდომა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ამ წიგნს მეჩვიდმეტე გვერდის შემდეგ წაიკითხავს.

სალმან რუშდისაც აქამდე არ დაუკარგავს იუმორის გრძნობა, როცა მას ჰკითხეს, რა წარწერას ამოტვიფრავდა თავის საფლავის ქვაზე, მან გაიცინა და უთხრა: "ამაზე ჯერ არ მიფიქრია. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთხელ ნანახი ეპიტაფია მომეწონა. ფილაზე ამოტვიფრული იყო სიტყვები: "მე ხომ გეუბნებოდი, ავად ვარ-მეთქი".

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თარაზულად:** 7. კომპოზიტორ ჟ. ოფენბახის ოპერეტა. 8. ლექსის ერთ-ერთი სახეობა, თავისუფალი ლექსი. 11. ხის რკალზე ცალ მხარეს ტყავგადაკრული საკრავი. 12. XIX ს-ის ფრანგი მწერალი. 13. უძრავი, ცალკე მდგომი საგანი, რომელიც კარგად ჩანს და გამოდგება ადგილმდებარეობაში გასარკვევად. 16. ეკლიანი ველური ბუჩქი. 17. XIX ს-ის ინგლისელი მწერალი. 18. ფისიანი ქვანახშირის სახეობა შავი და მკვრივი, რომლისგანაც აკეთებენ მძივებს და სხვა სამკაულებს. 21. ძველებური ფრანგული ცეკვა. 22. რუსი მწერალი; 23. კინოსცენარში მცირე მნიშვნელობის მქონე სცენა შემსრულებელთა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას. 24. შეჯიბრების დაწყების მომენტი. 29. იტალიელი კინომსახიობი ქალი. 30 მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი, რომელშიც ცალ მუხლზე დგებიან და ისე უსვამენ. 31. ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანება, ამხანაგობა. 35. ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 37. შესაძლებლობა, მოხერხება, სიმარჯვე. 38. ანკეტა (კითხვარი), რომელსაც ავრცელებენ როგორც მასალის კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის მიზნებისათვის. 39. სპილენძის სასულე საკრავი. 40. ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებზე მხატვრული ჭრის ხელოვნება.

**შვეულად:** 1. ხუროთმოძღვარი და მოქანდაკე ბერძნულ მითოლოგიაში. 2. წარწერა კინოფილმის კადრზე. 3. ბალეტ "კომედიანტების" ავტორი, საბჭოთა კომპოზიტორი. 4. მეფის საბჭოს წევრი, მეფის მრჩეველი მუსულმანურ აღმოსავლეთში. 5. აზიის სახელმწიფო. 6. თეატრალური პიესის, ოპერის, ბალეტისა და სხვ. პირველი წარმოდგენა. 9. წყლის საღებავით დახატული სურათი ახლად შელესილ კედელზე, ჭერზე. 10. ჰორიზონტალურად გაჭიმული ბადე, რომელზედაც ხტომებს ასრულებენ ტანმოვარჯიშეები, აკრობატები და სხვ. 14. ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი — ფორტეპიანოს წინამორბედი. 15. სტადიონი ინგლისში, სადაც ძაღლებს სირბილში აჯიბრებენ. 19. რაიმე დარგში მუშაობის ან რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის რიგებში ყოფნის ხანგრძლივობა. 20. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი. 25. ამერიკელი კინომსახიობი. 26. ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი. 27. ამერიკის შტატი. 28. გამოცდილება, დახელოვნება რაიმე საქმიანობაში. 32. იტალიელი კინორეჟისორი. 33. მცენარის ან ცხოველის ცალკეული სახეობის სასარგებლო წიაღისეულის და ა. შ. გავრცელების არე დედამიწის ზედაპირზე. 34. მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით, წვერის, ულვაშის დაწებება და სხვ. 36. მზისა და წვიმისაგან დასაცავი ტილოს ფარდული, ჩარდახი.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა.

### "დროშა" №5-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ავლაბარი. 6. მირზოევი. 9. ტერმინი. 11. სიგელი. 12. ვარძია. 14. ასურეთი. 17. "მინდია". 20. ლიდერი. 22. ბალი. 23. ეტნა. 24. აიზა. 25. იასი. 26. გარისი. 29. ადამია. 31. ლიტანია. 33. იონიკა. 35. რომანი. 37. ბადრიძე. 38. ირლანდია. 39. ფოლკლორი.

**შვეულად:** 1. სვავი. 2. ქარტია. 3. არქივი. 4. ხვავი. 7. ემირი. 8. შერი. 10. არსი. 11. სეიდაბადი. 3. აკროსტიხი. 15. სოინარი. 16. თანრიგი. 18. დვირი. 19. ალენი. 20. ლიანა. 21. დაირა. 27. სოია. 28. კადრი. 30. დამი. 31. ლაბადა. 32. არეალი. 34. ოპერა. 36. ნიხრი.

სტამბა "კავკასია", ტელ. 98-62-41; 98-72-69

# იუმორი

მხატვარი: ბიგლა ფირცხალავა

## ხსოვნა



სასწორს უყურო თუ ამ ქალს.

დასასვენებლად კომფორტით.



უსიტყვოდ



ეს ავეჯი არ დამანახო, სასამართლოს მაგონებს.




ბედნიერი ხარ ალიმენტს რომ არავის უხდი.



უსიტყვოდ



ეროვნული
ბიბლიოთეკა










WORLD RECORD

GUINNESS BOOK
OF RECORDS

JUMBER LEZHAVA

PRESS-UPS - 24 HOURS

43,028

GEORGIAN NATIONAL SPORTS CLUB

'SHEVARDENI', TBILISI

9-10 SEPTEMBER 1992

PETER MATTHEWS    NORRIS McWHIRTER

Peter Matthews    Norris McWhirter

